უილიამ შექსპირი

თარგმანი გივი და ზაზა გაჩეჩილაძეებისა

ილუსტრაციები მედეა ბაჟრაძისა

მოქმედი პირები

პრიამე, ტროას ხელმწიფე.

ჰექტორი,
ტროილოსი,
პარისი,
დეიფობოსი,
ჰელენოსი,
} მისი შვილები.

მარგარელონი, პრიამეს უკანონო შვილი.

ენეასი,
ანტენორი,
} ტროელი სარდლები.

კალხასი, ტროელი ქურუმი, ბერძენთა მომხრე.
პანდაროსი, კრესიდას პირა.
აგამემნონი, ბერძენთა მთავარსარდალი.
მენელაოსი, მისი ძმა.

აქილევსი,
აიაქსი,
ულისე,
ნესტორი,
დიომედე,
პატროკლე,
} ბერძენი სარდლები.

თერსიტე, გონჯი და უხეში ბერძენი.
ალექსანდრე, კრესიდას მსახური.
ტროილოსის მსახური.
პარისის მსახური.
დიომედეს მსახური.
ელენე, მენელაოსის მეუღლე.
ანდრომაქე, ჰექტორის მეუღლე.
კასანდრა, პრიამეს ასული, წინასწარმეტყველი.
კრესიდა, კალხასის ასული.

ტროელი და ბერძენი მეომრები და მხლებლები.

მოქმედების ადგილი – ტროა და ბერძენთა ბანაკი.

პ რ ო ლ ო გ ი

სცენაზე ტროა აღმართულა. ამაყ მბრძანებლებს
გაუგზავნიათ საბერძნეთის კუნძულებიდან
ათენში მათი ხომალდები სისხლამღვრეულებს,
სასტიკი ომის საჭურველით დატვირთულები.
მათი დროშები სამოცდაცხრა გემზე ფრიალებს
და ათენიდან ფრიგიისკენ[1] მიეშურება.
დაუფიციათ, შევმუსრავთო თავგასულ ტროას,
რომლის შეუვალ კედლებს იქით ტურფა ელენეს,
მენელაოსის მოტაცებულ დედოფალს სძინავს
ურცხვი პარისის სარეცელზე. ეს მიზეზი აქვთ
და აჰა, უკვე ტენედოსში[2] ჩაუშვეს ღუზა
წყალში ღრმად მჯდარმა, დატვირთულმა მძიმედ გემებმა.
დასვენებულმა, უომარმა ბერძნების ჯარმა
დასცა ბანაკი დარდანიის[3] გაშლილ მინდორზე.
ექვსჯერ შკრიანი აღმართულა მათ თვალწინ ტროა,
მეფე პრიამეს მიუვალი, მტკიცე ქალაქი
და მტრისგან ჰფარავს საიმედო საკეტით შვილებს.
სასტიკი ომის მოლოდინი გულებს აღაგზნებს
და ტროელებსაც და ბერძნებსაც წინ უსწრებთ სული.
მეც გეახელით იარაღში ჩამჯდარი[4], მაგრამ
არა იმიტომ, რომ წარემართო მწერლის კალამი,
ან მსახიობის ხმით მოგმართოთ, არამედ რათა
შესაფერისი სამოსით და აღჭურვილობით
შეგატყობინოთ, დიდებულნო მაყურებელნო,
რომ ეს პიესა გამოსტოვებს ამბის დასაწყისს
და შუაგულით დაიწყება იმის ჩვენება[5],
რისი დანახვაც თქვენს სულსა და გულსაც ენება.
ვითარცა ომში, მოლოდინი ჩვენი დიდია·
ჩვენი მარცხიც და გამარჯვებაც თქვენზე ჰკიდია.



მოქმედება პირველი

სურათი პირველი

ტროა. პრიამეს სახახლის წინ.

შემოდიან ტროილოსი, იარაღასხმული და პანდაროსი

ტროილოსი

მსახურს მოუხმეთ. საჭურველი უნდა მოვიხსნა.
რატომ ვიომო, აბა, ტროას გალავანს გარეთ,
როცა ჩემს გულში გამართულა სასტიკი ომი?
ომში წავიდეს თავის გულის ბატონ-პატრონი,
ტროილოსმა კი, ეაგლახ, გული ტყვედ სხვას ჩაუგდო.

პანდაროსი

ნუთუ მაგ ამბავს არაფერი არ ეშველება?

ტროილოსი

ბერძნებს ძალა აქვთ, ხელოვნებაც ომისა მოსდგამთ,
არც სიმამაცე აკლიათ და არც სისასტიკე,
მე კი, უღონო, ქალის ცრემლზე უფრო სუსტი ვარ
და თვინიერი უფრო, ვიდრე მძინარე კაცი;
უვიცზე უფრო მიამიტი; ნაკლებ თამამი,
ვიდრე ღამეში მიმავალი, ქალწული ქალი
და გულუბრყვილო ბავშვზე მეტად გამოუცდელი.

პანდაროსი

კარგია, გეყოფა, თუ ღმერთი გწამს. მაგაზე საკმაოდ გელაპარაკე და ახლა მეტს აღარ გავერევი მაგ საქმეში. ვისაც გამომცხვარი პური უნდა, ხორბლის დაფქვას უნდა მოუცადოს.

ტროილოსი

მერე და განა არ ვუცადე?

პანდაროსი

მართალია, დაფქვას კი უცადე, მაგრამ გაცრასაც უნდა დაელოდო.

ტროილოსი

მერე და განა არ ველოდე?

პანდაროსი

ძართალია, გაცრასაც ელოდე, მაგრამ ცომის აფუებასაც უნდა მოუცადო.

ტროილოსი

მაგასაც ვუცადე.

პანდაროსი

მართალია, ცომის აფუებასაც უცადე, მაგრამ ცოი მოზელა უნდა, ცეცხლს — დანთება, პურს — გამოცხობა. მერე და, გაცივებაც ხომ უნდა აცალო, თორემ პირსაც დაიწვავ.

ტროილოსი

თვით მოთმინება, რა ქალღმერთიც არ უნდა იყოს,
ტანჯვის ატანით ჩემებრ მაინც არ გაფითრდება.
პრიამეს მეფურ სუფრას როცა ვუზივარ ხოლმე,
შემომეჭრება ფიქრში უცებ ტურფა კრესიდა,
შემომეჭრება, მოღალატევ, მაგრამ საღ არის?

პანდაროსი

წუხელ მართლაც რომ მეტად მშვენიერი იყო. ასე ლამაზი ჯერ არც თვითონ ყოფილა და არც სხვა ქალი ვინმე.

ტროილოსი

იმას ვამბობდი, როცა გული ჩემი მზად არის,
ჩემივე ოხვრით გამსჭვალული ორად გაიპოს,
ვშიშობ, ჰექტორმა არ გამიგოს ან მამაჩემმა,
და ისე, ვით მზე გაანათებს საავდრო ღრუბელს,
ოხვრას ღიმილის საბურველით დავმალავ ხოლმე.
მაგრამ შეცდება ამ ღიმილით ჩემი მნახველი,
რადგან უეცრად ხელს ისევე დამრევს ნაღველი.

პანდაროსი

თმა რომ ელენეს თმაზე ცოტა უფრო მუქი არა ჰქონდეს, უნდა გითხრა, არც კი ვიცი, რომელი აჯობებდა მათ შორის[1]. მაგრამ ეგ ხომ ჩემი ნათესავია და მე ქება არა მმართებს, თუმცა გუშინ რომ ვისმე ჩემსავით მოესმინა მისი ლაპარაკი! მე არ ვამცირებ შენი დის, კასანდრას ჭკუა-გონებას[2], მაგრამ..

ტროილოსი

ეჰა, პანდაროს! გეუბნები, ჩემო პანდაროს!
გულის სიღრმეში ჩამიხრჩვია ყველა იმედი
და ნუღა მკითხავ, რა სიღრმეზე მაქვს ჩამარხული.
გავგიჟდი-მეთქი, გეუბნები, ამ სიყვარულით,
შენ კი ერთთავად გაიძახი, „მშვენიერია“.
პირდაღებული გულის წყლული გამშიშვლებია
და ჩასახულა შიგ მისი ხმა, თვალები, თმები,
მისი ღაწვები, მიხრა-მოხრა და სიარული.
ნუ მეუბნები, თვითონ ვიცი, მისი ხელები
ისე თეთრია, რომ მათ გვერდით შავად ჩანს ყველა
თეთრი სხეული და სირცხვილი სწვავს ყოველ მათგანს.
მათი შეხების შემდეგ გედის ნაზი ბუმბული
გლეხკაცის უხეშ და ტლანქ ხელად მოგეჩვენება.
შენც მეუბნები, რომ ის მიყვარს და მართალს ამბობ,
მაგრამ ამის თქმათ მალამოს კი არ მადებ წყლულზე,
არამედ უფრო მიწყლულებ გულს, გრძნობით
დაკოდილს,
გულში მცემ დანას.

პანდაროსი

სიმართლის მეტს რას მოგახსენებ?

ტროილოსი

ასე მგონია: სრულ სიმართლეს არ მეუბნები.

პანდაროსი

არა, ღმერთმანი, მაგ საქმეში არ გაეერევი. ის ქალი, თავისთვის იყოს. თუ ლამაზია, მით უკეთესი მისთვის, თუ არ არის და თავის გალამაზებაც მის ხელთაა.

ტროილოსი

ჩემო პანდაროს, რა ვქნა-მეთქი, ახლა, პანდაროს?

პანდაროსი

მე უკვე მივიღე კიდეც, რაც დავიმსახურე ჩემი ტანჯვა-წვალებისათვის: იქით ის მემდურება და აქეთ — შენ. ვშუამავლობ, ვშუამავლობ და მადლობასაც არავინ მეუბნება.

ტროილოსი

რაო, ჯაერობ, პანდაროს? მე მიჯავრდები?

პანდაროსი

ის რომ ჩემი ნათესავია, ამიტომ ისე მშვენიერი არ მეჩვენება, როგორც ელენე. ჩემი ნათესავი რომ არ იყოს, ის პარასკეობით ისეთივე მშვენიერი იქნებოდა, როგორც ელენე კვირაობით[3], მაგრამ მე რა მესაქმება? თუნდაც მავრის ქალივით შავტუხა იყოს, ჩემთვის სულ ერთია.

ტროილოსი

განა მეც არ ვამბობ, ლამაზია-მეთქი?

პანდაროსი

რა ჩემი საქმეა, ამბობ, თუ არ ამბობ. ის ქალი სულელია, რომ მამამისს აჰყოლია. არ ურჩევნია ბერძნებთან წავიდეს?[4] როგორც კი შევხვდები, სწორედ ასე ვურჩევ. თუმცა რა ჩემი საქმეა, არც მინდა ჩაერიო და არც არაფერი.

ტროილოსი

პანდაროს!

პანდაროსი

არა-მეთქი.

ტროილოსი

საყვარელო პანდაროს!

პანდაროსი

გეხვეწები, აღარაფერი მითხრა-მეთქი. რაც იყო იყო, აღარაფერი მესაქმება. შორჩა და გათავდა. (გადის.)

(განგაშის ხმა ისმის.)

ტროილოსი

დადუმდით ხმებო! ჩუმად-მეთქი, უგვანო ხმებო!
ორივე მხარეს ბრიყვები ვართ — ჩვენც და ბერძნებიც.
ელენე მართლაც მშვენიერი რამ უნდა იყოს,
თუკი ყოველდღე ჩვენი სისხლით ვამტკიცებთ ამას.
მე ამ მიზეზით მეტი ომი არ შემიძლია, —
მას საკმარისად არ მიიჩნევს ჩემი მახვილი.

მაგრამ პანდაროს,... ოჰ, ღმერთებო, როგორ მაწამებთ!
პანდაროსს იქით გზა არა მაქვს კრესიდას შევხვდე,
ის კი ისეთი ჭირვეული და ჯიუტია,
როგორც კრესიდა არის კერპი და უკარება.
მარქვი, აპოლლო, დაფნასადმი ტრფიალს გაფიცებ,
რაა კრესიდა, პანდაროსი, ან ჩვენ რანი ვართ?
კრესიდა, როგორც ინდოეთის თვალი ძვირფასი,
ელვარებს თავის სარეცელში, მაგრამ ჩვენს შორის
აღქაფებული და ველური მოჰქუხს მდინარე.
მე ვარ ვაჭარი, პანდაროსი — მეგზური ჩემი,
ჩემი იმედიც, იჭვნეული, ნავიც, მენავეც.

(განგაში. შემოდის ენეასი.)

ენეასი

ბატონიშვილო, ბრძოლის ველზე რატომ არა ხართ?

ტროილოსი

იმიტომ. ვიცი ეს პასუხი დიაცს შეჰფერის
და ბრძოლის ველის მიტოვებაც არის სიმხდალე.
მაინც მითხარი შენ, ენეას, ბრძოლის ამბავი.

ენეასი

მობრუნებულა შინ პარისი. დაჭრილი გახლავთ.

ტროილოსი

მითხარ, ვინ დასჭრა?

ენეასი

როგორც ვიცი, მენელაოსმა.

ტროილოსი

ახია. ჭკუის სასწავლებლად ეყოფა ეგეც;
წამოუგია მენელაოსს პარისი რქებზე. (განგაში.)

ენეასი

არ გესმის? გარეთ გამართულა კარგი თამაში!

ტროილოსი

მე შინ მერჩია, თუმც არ მწყალობს ბედი ამაში.
გავიდეთ გარეთ, შენც, გეტყობა, იქით იჩქარი.

ენეასი

ვჩქარობ.

ტროილოსი

მაშ ერთად გადავლახოთ ტროას ჭიშკარი.

(გადიან.)

სურათი მეორე

იქვე, ქუჩა.

შემოდიან კრესიდა და ალექსანდრე.

კრესიდა

ვინ იყვნენ ნეტავ, ასე ახლოს რომ ჩაგვიარეს?

ალექსანდრე

ეგ დედოფალი ჰეკუბა და ელენე იყო.

კრესიდა

საით წავიდნენ?

ალექსანდრე

აღმოსავლეთ კოშკს მიაშურეს.
იქიდან კარგად გამოჩნდება მთელი ხეობა
და ბრძოლის ველი. ომის ხილვა უნებებიათ.
ჰექტორი, რომლის მოთმინება და ზნე კეთილი
ცნობილი გახლავთ, დღეს უეცრად განრისხებულა,
ანდრომაქესთვის საყვედური უკადრებია,
თავის მეახჯრეც გაულახავს და გლეხკაცივით
გათენებამდე წამომხტარა და ტანთ ჩაუცვამს;
შემდეგ წასულა ბრძოლის ველზე მთლად აღჭურვილი.
ყვავილებსაც კი ცრემლი დასდით თურმე მდუღარე,
რადგან იციან, რა მოჰყვება ჰექტორის რისხვას.

კრესიდა

რამ გააჯავრა?

ალექსანდრე

ერთ უცნაურ მიზეზს ამბობენ:
ტროელთა სისხლის კაცი ვინმე აღმოჩენილა
ამ ბერძნებს შორის, თვით ჰექტორის ძმისწული თურმე.
იმ კაცს აიაქსს უწოდებენ.

კრესიდა

მერე და რაო?

ალექსანდრე

უძლეველ ვაჟკაცს და მეომარს თურმე ამბობენ,
მარტოხელასაც ხელს ვაგლახად ვერვინ დარევსო.

კრესიდა

აგრეა ყველა ვაჟკაცი, თუ მთვრალი არ არის, ან
ავადმყოფი, ანდა უფეხო.

ალექსანდრე

ამ კაცს, ქალბატონო, მრავალი მხეცისთვის წაურთმევია თვისებები: ლომივით მამაცია, დათვივით მოუხეშავი, სპილოსავით ნელი. ამ კაცში იმდენ რამეს მოუ-

ყარა თავი ბუნებამ, რომ მისი სიმამაცე სიბრიყვეს აღწევს, მისი სიბრიყვე კი — კეთილგონიერებითაა შეზავებული. არც ამდენი სიკეთე აქვს ვისმე და არც ამდენი მანკი. უმიზეზოდ ნაღელიანობს და უცნაურად მხიარულობს. ყველაფერი აქვს და მაინც ჭკუანაღრძობია. გეგონება, ნიკრისის ქარით შეპყრობილი ბრიერეუსიაო, — ბევრი ხელი აქვს და ხეირი კი არაფერი გამოუდის. ბრუციანი არგუსიკითაა, — უამრავი თვალი აქვს და ვერაფერს კი ხედავს.

კრესიდა

მერე და მაგნაირმა კაცმა, მე რომ მაცინებს, ჰექტორი როგორღა გააბრაზა?

ალექსანდრე

ამბობენ, გუშინდელ ბრძოლაში ჰექტორი ძირს დასცაო. ეს ისეთი სირცხვილი უჭმევია, რომ ჰექტორი მას მერე ალარაფერს ჭამს და ძილიც დაკარგა.

კრესიდა

ვინ მოდის?

(შემოდის პანდაროსი.)

ალექსანდრე

ბიძათქვენი პანდაროსი, ქალბატონო.

კრესიდა

ჰექტორი დიდი ვაჟკაცია.

ალექსანდრე

უმამაცესი მთელ ქვეყანაზე, ქალბატონო.

პანდაროსი

რას ამბობთ? რას ამბობთ?

კრესიდა

დილა მშვიდობისა, ძია პანდაროს.

პანდაროსი

დილა მშვიდობისა, ჩემო დისწულო. რას მასლაათობდით? დილა მშვიდობისა, ალექსანდრე. როგორ ბრძანდები, დისწულო? როდის იყავი ილიონში?

კრესიდა

ამ დილას, ბიძაჩემო.

პანდაროსი

რაზე საუბრობდით, მე რომ მოვედი? ჰექტორი ომში წასული დაგხვდა, როცა ილიონში მიხვედი? ელენე ამდგარი იყო თუ არა?

კრესიდა

ჰექტორი წასული დამხვდა, ელენე კი ჯერ არ ამდგარიყო.

პანდაროსი

რაღა თქმა უნდა: ჰექტორი დილაადრიან წამოდგა.

კრესიდა

სწორედ მაგაზე ელაპარაკობდით და მის გაჯავრებაზე.

პანდაროსი

განა გაჯავრებული იყო?

კრესიდა

აი, ეს კაცი ასე ამბობს.

პანდაროსი

მართალია, გაჯავრებულია და მიზეზიც ვიცი. ჰოდა, ეგ დღეს ამბავს დაატრიალებს, შენს მტერს. არც ტროილოსი ჩამორჩება. იმასაც უნდა ერიდოს კაცი. ისიც შენს მტერს ეცა.

კრესიდა

რაო, ისიც გაჯავრებულია?

პანდაროსი

ვინა, ტროილოსი? ტროილოსი ჰექტორსაც აჯობებს!

კრესიდა

ოჰ, იუპიტერო! მაგათი შედარება როგორ შეიძლება!

პანდაროსი

რაო, მაგათი შედარება არ შეიძლებაო? განა შეიძლება ერთი ნახვით კაცის შეფასება?

კრესიდა

თუ ადრეც მინახავს და მცნობია კიდეც?

პანდაროსი

ერთი სიტყვით, გეუბნები, ტროილოსი ტროილოსიამეთქი.

კრესიდა

შენ ხომ ჩემს სიტყვებს იმეორებ. მეც მჯერა, რომ ის ჰექტორი არ არის.

პანდაროსი

ჰოდა არც ჰექტორია ტროილოსი ზოგ რამეში.

კრესიდა

რაც მართალია, მართალია. ყველა თავის თავს ეკუთვნის და ტროილოსიც ის არის, რაც არის.

პანდაროსი

რაც არის! ვაგლახ, საბრალო ტროილოს, ნეტავი მართლაც ის იყო, რაცა ხარ.

კრესიდა

სწორედაც, რომ ის არის.

პანდაროსი

აგრე რომ იყოს, ფეხშიშველა ჩავიდოდი ინდოეთში!

კრესიდა

ის ჰექტორი არ არის.

პანდაროსი

რაც არის! არა, ის არ არის. ის რომ მართლაც თავის თავს ეკუთვნოდეს! თუმცა ღმერთებია მოწამე, დრო უშველის ან გაათავებს. ეჰ, ტროილოს, ეჰ, ნეტავ ჩემი გული იყოს ამ ქალის მკერდში! არა, ჰექტორი ტროილოსს ვერ ავჯობებს, ვერა!

კრესიდა

უკაცრავად.

პანდაროსი

ის უფროსია.

კრესიდა

ბოდიში, ბოდიში.

პანდაროსი

ტროილოსს მისი ხანი აკლია. აი მაშინ კი სხვას იტყვი, მისი ხნისა რომ გახდება. ჰექტორს ახლაც კი მაგის ჭკუა-გონება არა აქვს.

კრესიდა

მაგის ჭკუა-გონება არცა სჭირდება. საკუთარი აქვს.

პანდაროსი

არც სხვა იმისთანა ღირსებები აქვს.

კრესიდა

არა უშავს რა.

პანდაროსი

არც იმისთანა სილამაზე გააჩნია.

კრესიდა

იმისთანა სილამაზე არც მოუხდება. საკუთარი ურჩევნია.

პანდაროსი

სწორედ არა სჯი, დისწულო. იმ დღეს ელენემ დაიფიცა, თუმცა, ტროილოსი შავგვრემანიაო, მეც უნდა ვაღიარო, შავგვრემანია, მაგრამ ისე კი არა...

კრესიდა

არა, ის მაინც შავგვრემანია.

პანდაროსი

მართალი გითხრა, არის და არც არის.

კრესიდა

მართალი გითხრა, მართალიცაა და არც არის მართალი.

პანდაროსი

ისე აქო, პარისზე მაღლაც კი დააყენა.

კრესიდა

პარისს თავისი ღირსება აქვს.

პანდაროსი

აგრეა.

კრესიდა

მაშ, ტროილოსი პარისზე მაღლა დააყენა. თუ ელენემ აგრე აქო, მაშ მართლაც აგრე ყოფილა. ვაითუ მეტისმეტი მოუვიდა. ელენეს ისეთი ოქრო ენა აქვს, ტროილოსის სპილენძის ცხვირსაც კი ხოტბას შეასხამს.

პანდაროსი

გეფიცები, ასე მგონია, ელენეს პარისზე მეტად უყვარს ტროილოსი.

კრესიდა

მაშ ის მართლაც რომ მხიარული ჭკუის პატრონი ბერძენი ყოფილა.

პანდაროსი

არა, მართლა უყვარს. ის დღესაც მიუახლოვდა ტროილოსს, როცა ის სარკმელთან იდგა, თუმცა ტროილოსს სამი-ოთხი ბეწვი თუ მოეძებნება ნიკაპზე...

კრესიდა

მართლაც, მაგდენის ანგარიშს მეფუნდუკეც კი მოახერხებს.

პანდაროსი

ძალიან ახალგაზრდაა და მაინც თავის ძმა ჰექტორზე სამი გირვანქით მეტს ასწევს.

კრესიდა

აგრე ახალგაზრდაა და ძველი ამწეი კია?

პანდაროსი

ელენეს რომ მართლაც ძალიან უყვარს, ამის საბუთიცა მაქვს: მივიდა და თავისი თეთრი ხელი ორად გაყოფილ ნიკაპზე მოუცაცუნა...

კრესიდა

იუნონავ, შენ შემიწყალე! ორად რაღამ გაუყო?

პანდაროსი

აბა, რა გითხრა, ნიკაპი ეკუჭება. ღიმილიც ისე უხდება, რომ მთელ ფრიგიაში კაცი არ შეედრება.

კრესიდა

ოჰ, მართლაც ძალიან მამაცურად იღიმება.

პანდაროსი

განა არა?

კრესიდა

როგორ არა, როგორც შემოდგომის ღრუბელი.

პანდაროსი

კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს. თუ გინდა დაგიმტკიცო, რომ ელენეს მართლაც უყვარს ტროილოსი...

კრესიდა

მაგ მტკიცებას კი გაუძლებს, თუკი დაუმტკიცებ.

პანდაროსი

ტროილოსს კი ელენე იმაზე უფრო ძვირად არ უღირს, ვიდრე მე — ლაჟე კვერცხი.

კრესიდა

თუ ლაჟე კვერცხიც ისე გიყვარს, როგორც ცარიელი თავი, შეიძლება წიწილები გამოჩეკამდე შემოგეჭამოს.

პანდაროსი

მეცინება, როცა მაგონდება, როგორ ულიტინებდა ნიკაპში. მართლაც რომ განსაცვიფრებელი თეთრი ხელები აქვს, უნდა გამოვტყდე.

კრესიდა

ისე რომ წამებაც არ დაგჭირდება.

პანდაროსი

თანაც ერთი თეთრი ბეწვი უპოვა ნიკაპზე.

კრესიდა

ვაგლახ, ღარიბო ნიკაპო! ბევრი ხალია შენზე უფრო მდიდარი.

პანდაროსი

ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა, დედოფალმა ჰეკუბამ იმდენი იცინა, რომ თვალებიდან ცრემლი წყალივით წამოუვიდა.

კრესიდა

თან დოლაბებიც გადმოაყოლა.

პანდაროსი

და კასანდრამაც ბევრი იცინა.

კრესიდა

მაგას კი არც ისეთი ცეცხლი უნთია, რომ დიდი მღელვარება მოსკდეს თვალებიდან.

პანდაროსი

ჰექტორმაც ბევრი იცინა.

კრესიდა

მაინც რა აცინებდათ?

პანდაროსი

თეთრი ბეწვი, ელენემ რომ ტროილოსის ნიკაპზე იპოვა.

კრესიდა

მწვანე რომ ეპოვნა, მეც ბევრს ვიცინებდი.

პანდაროსი

იმდენი თმაზე არ უცინიათ, რამდენიც მის პასუხზე იხარხარეს.

კრესიდა

რა ისეთი პასუხი იყო?

პანდაროსი

ელენემ უთხრა, შენს ნიკაპზე ორმოცდათერთმეტი ბეწვია და ერთი მათგანი თეთრიაო.

კრესიდა

ეს ხომ ელენეს კითხვაა?

პანდაროსი

მართალია, მაგას კითხვაც არ უნდა. ტროილოსმა მიუგო, სულ ორმოცდათერთმეტი ბეწვია და ერთი თეთრია. თეთრი მამაჩემია და დანარჩენი მისი შვილებიო. ელენემ შესძახა, იუპიტერო, ჩემი ქმარი პარისი რომელიაო. ტროილოსმა უპასუხა, აი, ეს გაყოფილი, რქიანი, ამოაძრე და პარისს მიართვიო. ისეთი ხარხარი ატყდა, ელენეს სახე აელეწა, პარისი გაცეცხლდა და ყველანი სიცილით დაიხოცნენ.

კრესიდა

დაიხოცნენ და ეყარნენ ავრე.

პანდაროსი

ერთი სიტყვით, ჩემო დისწულო, გუშინ ერთი რამ გითხარი და იმაზე იფიქრე.

კრესიდა

ვფიქრობ კიდეც.

პანდაროსი

გეფიცები, რასაც ვამბობ, მართალია. ისე ტირის, როგორც აპრილის თვეში დაბადებული.

კრესიდა

მეც ისე მოვირწყვები და გავიზრდები მაგის ცრემლების წყალობით, როგორც ჭინჭარი მაისის თვეში.

(ყარის უკუქცევის ხმა ისმის.)

პანდაროსი

გესმის, ბრძოლის ველიდან ბრუნდებიან. დავდგეთ და ვუყუროთ როგორ გაივლიან ილიონისკენ. გთხოვ, ჩემო კარგო დისწულო, ჩემო მშვენიერო კრესიდა!

კრესიდა

როგორც გენებოს.

პანდაროსი

აქეთ, აქეთ, აქ მარჯვე ადგილია. აქედან უკეთ დავინახავთ. მე გეტყვი, ვინ რომელია, როდესაც ჩაგვიელიან, მაგრამ ტროილოსს ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმე.

კრესიდა

აგრე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ.

(ენეასი გაივლის სცენაზე.)

პანდაროსი

ეს ენეასია. განა მამაცი არ არის? ტროას სამკაულია-მეთქი, გეტყვი, მაგრამ მაინც ტროილოსს მიაქციე ყურადღება. საცაა გამოჩნდება.

(ანტენორი გაივლის სცენაზე.)

კრესიდა

ეს ვიღაა?

პანდაროსი

ეს ანტენორია. ცოტა არ იყოს, გესლიანია, მაგრამ მაინც კარგი ვინმეა. ტროას ერთი ყველაზე თავიანი კაცია, ვაჟკაცია. ტროილოსი რაღა იქნა? ახლავე გაჩვენებ. თუ შემამჩნია, ნახავ, თვალს როგორ ჩამიკრავს.

კრესიდა

თვალს ჩაგიკრავს, რა, ქაღალდს გეთამაშება?

პანდაროსი

აი, ნახავ, რაც არის.

კრესიდა

თუ აგრეა, ვისაც აქვს, იმასვე შეემატება.

(ჰექტორი გაივლის სცენაზე.)

პანდაროსი

ეს ჰექტორია. ნახე, ნახე, აი ეგ არის. ვაჟკაციც მაგას ეთქმის. შენი გამარჯვებისა იყოს, ჰექტორ! მართლაც რომ მამაცი ვინმეა, ჩემო დისწულო! ჰეი, მამაცო ჰექტორ! ერთი ნახე, როგორ გამოცოცხლებული იყურება! აი, შეხედულებაც ამასა ჰქვიან. განა ნამდვილი ვაჟკაცი არ არის?

კრესიდა

ჰო, მართლაც რომ ვაჟკაცია.

პანდაროსი

განა არა? შემხედვარეს გულს უხარებს. ნახე, რამდენ ადგილას აქვს მუზარადი დაჭეჭილი. ნახე-მეთქი, ხედავ თუ არა? კარგად ნახე, ჰა, როგორი საქმეა. აი, ხმლის ნაცემიც ამასა ჰქვია.

კრესიდა

მართლაც ხმლითაა დაჭეჭილი?

პანდაროსი

ხმლითაო? რითაც გინდა იყოს, მაგას შიში არაფრისა აქვს. გინდ ეშმაკიც დაესხას თავს, არაფრად დაგიდევს. ღმერთმანი, გული გაგინათდება, მაგას რომ შეხედავ. აი, პარისიც მოდის, აგერ პარისიც.

(პარისი გაივლის სცენაზე.)

იქეთ იყურე, დისწულო, განა მართლაც მშვენიერი კაცი არ არის? მამაციც არის. ვინა თქვა, დღეს დასჭრესო? დაჭრილს არა ჰგავს. ელენეს გულს გაუხარებს. ნუთუ ტროილოსს ვერ ენახავ? ახლავე დაგანახვებ ტროილოსს.

კრესიდა

ეს ვიღაა?

(ჰელენოსი გაივლის სცენაზე.)

პანდაროსი

ეგ ჰელენოსია. მიკვირს, ტროილოსი სად დაიკარგა? ეგ ჰელენოსია. ის ეტყობა დღეს ომში არ წასულა. ეგ ჰელენოსია.

კრესიდა

ჰელენოსს ბრძოლა შეუძლია, ბიძაჩემო?

პანდაროსი

ჰელენოსს? არა, თუმცა არა უშავს რა, იბრძვის. მიკვირს, ტროილოსი სად დაიკარგა? გესმის! ხალხი იძახის, „ტროილოს“! ჰელენოსი ქურუმია.

კრესიდა

ეს ვიღა მოიპარება?

(ტროილოსი გაიელის სცენაზე.)

პანდაროსი

სადა? იქ? ეგ დეიფებოსია. არა, ტროილოსია! აი, კაცი მაგასა ჰქვია, დისწულო. ჰმ! მამაცი ტროილოსი! ლაშქრის თვალი!

კრესიდა

ჩუმად, გრცხვენოდეს, ჩუმად!

პანდაროსი

შეხედე, შეხედე! ო, მამაცო ტროილოს! კარგად დაუკვირდი, დისწულო. დაუკვირდი, ხმალი როგორ სისხლში აქვს შესერილი. მუზარადი კი ჰექტორზე უფრო მეტად აქვს დაჟეჟილი. მერე როგორ გამოიყურება, როგორი სიარული აქვს! ო, სათაყვანებელო ჭაბუკო! ჯერ ოცდასამისაც არ არის. შენი გზით იარე, ტროილოს, შენი გზით იარე! გრაციასავით და რომ მყოლოდა, ან ქალღმერთივით ქალიშვილი, ტროილოსს მივანდობდი არჩევანს. ო, სათაყვანებელო ვაჟკაცო! პარისიო? რის პარისი, რა პარისი, პარისი მაგასთან რას მოვა! გეუბნები, ელენე არაფერს წააგებდა პარისი რომ ტროილოსზე გაეცვალა.

კრესიდა

აი, კიდევ მოდიან.

(შეომრები გაიელიან სცენაზე.)

პანდაროსი

ვირები, ბრიყვები და სულელები! ქატო და ნაგავი, ქატო და ნაგავი! შემწვარის მერე ფაფა! მარტო ტროილოსის თვალთა წინ მინდა ვიცოცხლო და მოვკვდე. ნულარავის უყურებ, ნულარავის უყურებ! არწივებმა გადაიფრინეს, ყვავები და ჭილყვავები მოდიან, ყვავები და ჭილყვავები. მირჩევნია ტროილოსი ვიყო, ვიდრე აგამემნონი და თუნდაც მთელი საბერძნეთი მეკუთვნოდეს.

კრესიდა

ბერძნებს შორის აქილევსია. ტროილოსს ბევრად სჯობს.

პანდაროსი

აქილევსიო! მეჯაგვე, მეკურტნე, ნამდვილი აქლემი.

კრესიდა

გეყოფა, გეყოფა!

პანდაროსი

„გეყოფა, გეყოფა!“ ჭკუა გაქვს? თვალები გაქვს? იცი, ვაჟკაცი რა არის? განა კეთილშობილება, სილამაზე, ახოვანება, მჭევრმეტყველება, ვაჟკაცობა, ცოდნა, გულკეთილობა, სიქველე, სიჭაბუკე, სიუხვე და სხვა ამისთანანი განა კაცის საკმაზი და მარილი არ არის?

კრესიდა

როგორ არა, თუ კაცი ნამცხვრად ჩავთვალეთ. მაგრამ მაინც ყველა თვისება არ ჩამოგითვლია.

პანდაროსი

ისეთი ქალი ხარ, კაცმა არ იცის, საით მიტრიალდები...

კრესიდა

ზურგით მოვტრიალდები, რომ მუცელი დავიცვა; ჭკუას ეშმაკურად დავატრიალებ, რომ თავი დავიცვა; პატიოსნებას საიდუმლოებით ვიცავ, ნიღბით — სილამაზეს. შენ კი ამას ყველაფერს ერთად უნდა მცველად უდგე. მეც ხომ ათასი მცველი მდარაჯობს.

პანდაროსი

თქვი, ერთი ჩემი მცველი-თქო.

კრესიდა

არა, მე თვითონ შენი მცველი ვარ და ეს არის მთავარი. თუ ის ვერ დავიცავი, რაც დასაცავი მაქვს, შენ მაინც პირს დაგიცავ, რომ ამაზე არ ილაპარაკო. თუ ნატკენი არ დამისივდა, არც არაფერი მექნება დასაცავი.

პანდაროსი

ამისთანა არაფერი მინახავს!

(შემოდის ტროილოსის მსახური ბიჭი.)

ბიჭი

ჩემს ბატონს ნებავს თქვენთან საუბარი დაუყოვნებლივ, ჩემო ბატონო.

პანდაროსი

სად?

ბიჭი

თქვენს საკუთარ სახლშია ამჟამად და საჭურველს იხსნის.

პანდაროსი

უთხარი, ჩემო კარგო, ახლავე მოვა-თქო. (ბიჭი გადის.) ვშიშობ დაჭრილი არ იყოს. მშვიდობით, კეთილო დისწულო.

კრესიდა

მშვიდობით, ბიძაჩემო.

პანდაროსი

მალე უკანვე მოეტრიალდები, დისწულო.

კრესიდა

რომ მომიტანო რამე?

პანდაროსი

ჰო, ტროილოსის დანაბარები.

კრესიდა

ჰოდა, ეგ დანაბარები გაგხდის შენ მაჭანკლად.

(პანდაროსი გადის.)

შექება, ფიცი, დაპირება, ცრემლი და სიტყვა, —
ეს ყოველივე ტროილოსის გულისთვის ითქვა.
მაგრამ ტროილოსს უკეთ ვიცნობ, ათასჯერ მეტად,
რასაც მეხოტბე პანდაროსის სარკეში ვხედავ.
მაინც შორს ვიჭერ, ანგელოსებს გვიხმობენ ქალებს,
ვიდრე ვუნდივართ; მოვწყინდებით ხოლმე კი მალე.
ნუ დაივიწყებს ნურასოდეს ჩვენი დობილი:
კაცი მას აქებს, ვინც არა ჰყავს ჯერ დაპყრობილი.
მაგრამ მაშინვე ქრება ცეცხლი, სურვილიც გადის,
როგორც კი იგი შეისრულებს გულისა წადილს.
სიყვარულისგან ამის სწავლა არცთუ ძნელია:
მთხოვნელი — გმონებს, დამპყრობელი — მბრძანებელია.
მეც, თუმცა გულში ტროილოსის მაქვს სიყვარული,
არ გასცემს თვალი, რაც გრძნობაა გულს დაფარული.

(გადის.)

სურათი მესამე

ბერძენთა ბანაკი. აგამემნონის კარვის წინ.

საყვირები. შემოდიან აგამემნონი, ნესტორი, ულისე, მენელაოსი და სხვები.

აგამემნონი

გვირგვინოსანნო,
რა მწუხარებამ დაგიკარგათ სახის იერი?
დიდნი ზრახვანი, რაც იმედმა წარმოგვისახა,
დაგვიქვეითდნენ და თანდათან დაჰკარგეს ფერი
სიდიადისა, აქამომდე რასაც ველოდით.
უბედურება მოგვეძალა ყოველი მხრიდან
და ათასგვარმა დაბრკოლებამ წამოჰყო თავი.
როგორც კვანძები აფერხებენ ჯანსაღი ფიჭვის
გულში მდინარ წვენს, წინ და უკან ატრიალებენ
და მისსავე ნაყოფს ზრდას და კვებას აღარ აცლიან.
გვირგვინოსანნო, თქვენ თავადაც მოგეხსენებათ,
როგორ მოვტყუვდით ანგარიშში და შვიდი წელი
ალყაშემორტყმულ ტროას კედლებს ვჭვრეტდით
შეუმუსრავთ.
ადრეც ყოფილა, რომ დიდებულ ჩვენთა წინაპართ
ზრახვათა თვისთვის ვერ შეუსხამთ ხორცი ასევე.
მაშ დღეს რატომღა დაგიკარგავთ ფერი სახისა
და ჩვენი მარცხი სამარცხვინოდ მიგიჩნევიათ?
ეს განსაცდელი მოგვივლინა იუპიტერმა,
რამეთუ ამით ერთგულება განსაჯოს ჩვენი.
თუკი ფორტუნა გადმოხედავს მოწყალე თვალით,
აბა, მითხარით, რა ლითონი არ ილაპლაპებს!1
მხნე თუ ჯაბანი, მწიგნობარი თუ უმეცარი,
ბრძენი თუ ბრიყვი, უდრეკი თუ დამყოლი კაცი
მისთვის ერთია, ერთმანეთთან ანათესავებს.
მაგრამ თუ გაწყრა, ქარიშხალი დაატრიალა,
განიერი და მძლავრი ფრთებით როგორც მარაო
დაბერავს და რაც მსუბუქია, მიფანტ-მოფანტავს2,
ხოლო რასაც აქვს სიმძიმე და სიმკვრივე მტკიცე,
ის გადარჩება ხელუხლები ამის წყალობით.

ნესტორი

ღვთაების სწორო, დიდებულო, აგამემნონო,
ნესტორი სიტყვის ჩამორთმევას გიბედავს ახლა.
ადამიანის გამოცდაა ბედის ტრიალი!
დამშვიდებულ ზღვას წვრილი ნავი სერავს მრავალი
და მის წყნარ მკერდზე დასრიალებს მოურიდებლად
ხომალდთა გვერდით!
მაგრამ უხეში ბორეასი3 თუ განარისხებს
კეთილ თეტიდეს4, მაშინ ნახეთ ზვირთებთან შებმაჯ.
მძლავრი ხომალდი აპობს ზვირთებს, მთისებრ
აღმართულთ,
ვით პერსეოსის ბედაურიც, ყალყზე შემდგარი.
სად არის მაშინ ის თავხედი პატარა ნავი,
რომელიც ხომალდს ეს-ეს არის ექიშპებოდა?
ის ნავსადგურში გაპარული იქნება ალბათ,
ანდა ნეპტუნის მცირე ლუკმად ქცეული უკვე.
ასე გამოსცდის ბედისწერის ქარიშხალი კაცს
და გამოაჩენს გარეგანს თუ ნამდვილს ღირსებას.
მზიან ამინდში ნებიერი პირუტყვის ჯოგი
კრაზანის კბენით უფრო მეტად შეწუხდებოდა,
ვიდრე ავაზას შემოტევით, მაგრამ როდესაც
ქარიშხლის მძლავრი იერიში მუხასაც ლეწავს
და დააჩოქებს მის კვანძოვან მუხლმაგარ სხეულს,
მაშინ ბუზები თავშესაფარს ჩრდილში ჰპოვებენ,
ხოლო ისინი, მრისხანების ძალი რომ შესწევთ.
რისხვას რისხვითვე მიაგებენ და ბედის ღრიალს,
ისევ დიდი ხმით სცემენ პასუხს.

ულისე

შენ, აგამემნონ,
დიდო სარდალო, საბერძნეთის სისხლო და ხორცო,
მხედრობის ჩვენის წინამძღოლო, სულო და გულო,
ვის გონებაშიც ჩვენი აზრი, ზრახვა, შეგნება
მოთავსებულა, მოისმინე ულისეს თქმული.

ჭეშმარიტად, რომ დიდი ხოტბის შესხმის ღირსია
(აგამემნონს) შენი სიტყვები და მაღალი შენი დიდება,
(ნესტორს) ასევე, წლებით დატკბირთული გამოცდილება
და სიბრძნე შენი — უაღრესად პატივსადები.
ორივეს ნათქვამს ღირსს მივაგებ: აგამემნონის
სიტყვები უნდა საბერძნეთმა ზე აიტაცოს
და გამოჰკეთოს ბრინჯაოში[7], ხოლო ნესტორის
ღირსეულ სიბრძნეს, ვერცხლში ჩამჯდარს[8], ღერძისებრ
მტკიცეს,
რასაც ეყრდნობა გადაშლილი ზეცის კამარა, —
და მის მჭევრ ენას მიეჯაჭვოს ბერძენთა სმენა
და მაინც გვედრებთ, უბრძნესო და უდიადესო,
ულისეს სიტყვას ყურადღებით მიაპყრათ ყური.

აგამემნონი

ბრძანე, ითაკის მბრძანებელო. ჩვენ კარგად ვიცით,
რომ შენი ბაგე ჰბადებს სიბრძნეს, ტკბილმოუბარი
და სულ არა ჰგავს ის უგვანო თერსიტეს სიტყვას,
რომელიც ბინძურ ტალღად მოდის მყრალი პირიდან[9].

ულისე

დიდი ხანია ტროას ფუძე დაემხობოდა
და თავის პატრონს დაჰკარგავდა ჰექტორის ხმალი,
რომ ეს მიზეზი არ გვეშლიდეს:
წესი და რიგი ერთიანი გვაკლია ბერძნებს.
გახედეთ, როგორ არეულად დგანან კარვები.
ამ გაშლილ ველზე, არეული გვაქვს ასე ჭკუაც.
თუკი მხედრობა ფუტკრების სკას არ მოგვაგონებს,
სადაც ყოველი მთავარსარდალს ემორჩილება,
რა თაფლს მოველით? არ ფასდება კაცის ხარისხი
და უღირსები გვაჩვენებენ თავს ღირსეულად.
თვით ზეცა გვაძლევს მორჩილების ნათელ მაგალითს:[10]
ცთომილები და დედამიწა უფროს-უმცროსის
ადგილს, ღირსებას, პირველობას ემორჩილება,
აქვთ თავის წესი, უფროსობა, მიმართულება,
ყველამ თავისი დრო და ჟამი იცის მუდმივი,
წესჩვეულება და ურთიერთ პატივისგება,
და ამიტომაც დიდებული მნათობი ჩვენი
მზე — კეთილშობილ თავის ტახტზე დაბრძანებულა
ცთომილთა შორის და გამჭრიახ გონების თვალით
მას უთვალთვალებს, სწორ გზას არვინ გადაუხვიოს,
ვით მბრძანებელი კუთვნილს უზღავს მიუკერძებლად
კეთილს და ბოროტს. მაგრამ ცთომილთ თუ განიზრახეს
თავის ნებაზე გზა და კვალი წარმართონ ურჩად,
რა მღელვარება და რა შფოთი დატრიალდება!
ზღვა აზვირთდება, დედამიწა დაიწყებს რყევას,
დაერევიან ქარიშხლები ერთიმეორეს,
შიში და დრტვინვა გამეფდება და დაინგრევა
რაც ერთიანი და მთლიანი იყო მანამდე
და სიმშვიდეში ბუნებრივად განისვენებდა.
ოჰ, თუ დაირღვა კიბეები უზენაესი,
უფროს-უმცროსის მიმდევრობა, წესი და რიგი, —
დაავადდება ავი სენით მთელი სამყარო.
აბა, სცადეთ და დაარღვიეთ თემთა ერთობა,
ქალაქის ამქრის განრიგება, სკოლის წესრიგი,
მშვიდობიან და პატიოსან ვაჭართა საქმე,
პირველშობილთა წარმოშობა უპირატესი,
ხანდაზმულობის, გვირგვინის თუ სკიპტრის პატივი,
ეს ყოველივე მორჩილების კანონს მიჰყვება.
ერთი ეს წესი დაარღვიეთ და მაშინ ნახავთ
ვით აირევა სიმთა ჟღერა ხმაშეწყობილი.
და თანხმოვნება უთანხმობად გადაიქცევა.
აღელვებული ზღვის ტალღები ნაპირის ზემოთ
ასწევდნენ მკერდებს და მთელ ხმელეთს გადალახავდნენ
მთელ დედამიწას მოუვლენდნენ მეორე წარღვნას.
უსუსურობის მბრძანებელი გახდება ძალა
და მხეცი შვილი მამას მოჰკლავს დაუფიქრებლად.
ძალას უფლება დაერქმევა. მართალს და მტყუანს,
(რომელთა შორის უნდა იდგეს მართლმსაჯულება[11].)
ვერვინ გაარჩევს, აირევა მათი სახელი
და ვერც გაიგებ ვინღა უნდა იყოს მსაჯული.
გაბატონდება მარტოოდენ უხეში ძალა,
ძალა იქცევა თვითნებობად და გაალვიძებს
მადას, რომელიც მგლისებრ ძალას და ნება-სურვილს
დაიკავშირებს, და როდესაც შთანთქავს ყველაფერს,
ბოლოს საკუთარ თავსაც შეჭამს. დიდო სარდალო,
შენ, აგამემნონ, შენ იცოდე, თუ ეს წესრიგი
დაემხო, ყველგან გამეფდება მხოლოდ ქაოსი.
აი, ეს არის, ხელს რომ გვიშლის, ამის არცოდნა,
უკან გვწევია იმის ნაცვლად, რომ წინ წაგვწიოს.
თუ მთავარსარდალს მისი შემწე არ ეპუება,
თანაშემწეს კი — მასზე დაბლა მდგომი მოხელე,
და ასე ყოველ საფეხურზე ეს მაგალითი,
ავადმყოფური, როგორც შურის ციებ-ცხელება,
გამსჭვალავს ყოველს, სისხლისაგან დაცლა მოგველის.
ტროას ამტკიცებს სწორედ ჩვენი დაავადება
და არა მისი ძლიერება. მე არა ვმალავ:
ჩვენს სისუსტეში მდგომარეობს მეტოქის ძალა.

ნესტორი

მართლაც რომ ბრძნულად განგვიმარტა ულისემ ჩვენი
დაავადება, უძლურების, ჩვენის მიზეზი.

აგამემნონი

ულისე, ჩვენი სნეულების ბუნებას ჩასწვდი,
მაგრამ გვასწავლე, რა ვუშველოთ?

ულისე

თვით აქილევსი,
რომელიც ჩვენი ლაშქრის მკლავი და იმედია
გალაღებული დიდებითა და ხოტბის შესხმით,
ამპარტავნულად საკუთარი ღირსებით ტკბება,
თავის კარავში დროს ატარებს და ჩვენს განზრახვებს
მასხარად იგდებს. მასთან ერთად პატროკლეც ხარობს,
მთელი დღე ასე ზარმაცულად გდია ლოგინზე
და უწმაწურად ილანძღება.

მაიმუნური საქციელით და მიხრა-მოხრით,
რისთვისაც თურმე წარმოდგენა დაურქმევია,
ჩვენ ყველას გვბაძავს.
ზოგჯერ ის, დიდო აგამემნონ, შენს დიდებასაც
ეპოტინება და ვაგლახი მსახიობივით
შენ ჭკუამოკლე, ბრიყვ მოუბრად, მყვირალად გახდავს,
გაურანდავი და უხეში ენის ტარტარით
შეუფერებელ და საბრალო ქმნილებად აქცევს
თქვენს სიდიადეს და ურიგო სიტყვათა ნაკადს
აფრქვევს ღრიალით ვით ტიფონი — ძველ ეგვიპტელთა
უნაყოფობის და წყვდიადის ავი ღვთაება.
თითქოს ეს მართლაც დიდებული სიტყვები იყოს.
აქილევსი კი, ახოვანი, საწოლზე გორავს,
სიცილით კვდება, ხარხარითა და ტაშის ცემით
ყვირის, „ეგ არის დიდებული აგამემნონი!
ახლა ნესტორიც დამანახვე, ოღონდ ჯერ ხელი
წვერზე მოისვი, სიტყვის თქმის წინ რომ იცის ხოლმე".
პატროკლეც სურვილს შეუსრულებს და ნესტორს ბაძავს,
როგორც ვულკანს და მის მეუღლეს[12], და აქილევსიც
ისევ გაჰყვირის: „ნამდვილია, დიდებულია!
ეგ ნესტორია. აბა, ახლა ის დამანახვე,
ლამის განგაშზე იარაღს რომ ისხამს საჩქაროდ".
და ამას მოსდევს მოხუცობის მასხრად აგდება,
მუხლის კანკალი, აბჯრის შეკვრა ხელის ცახცახით,
კვნესა და ხველა და ნახველის ამოფურთხება.
და ამ სურათის დანახვაზე კვდება მამაცი,
ყვირის „გეყოფა, გევედრები, პატროკლე, კმარა,
რკინის ნეკნები მომე, თორემ გავსკდები კიდეც!"
ჰოდა ამ წესით, ამნაირად მასხრად იგდებენ
ჩვენს ნიჭს და უნარს, ჩვენს თვისებებს, მარცხს და მიღწევას.
ჩვენს სახელგანთქმულ წინამძღოლთა ბრძანებებს, საქმეს,
ბრძოლის ველზე თუ დაზავების ჟამს მათ საქციელს,
ეს ყოველივე ასაგდებად მიუჩნევია
და დასაცინად უქცევია ამ ორ ვაჟბატონს[13].

ნესტორი

ჰოდა ამ ორი ვაჟბატონის წაბაძულობით,
ვისაც საერთო აზრი მეტი დიდებით მოსავს,
როგორც ულისემ მოგახსენათ, ბევრა სხვაც წაბდა.
აიაქსს თურმე თავს გასვლია, ცხვირსა სწევს მაღლა,
და სიამაყით აქილევსის მიბაძვას ცდილობს.
თავის კარავიც თურმე მისებრ მოუკაზმია,
მართავს ნადიმსა და ღრეობას დაუსრულებლივ,
გესლავს და თათხავს ომს და სარდლებს ეს არამკითხე,
ჩვენს წინააღმდეგ თერსიტესაც აგულიანებს,
ამ მდაბალ მონას, ათასნაირ ჭორებს რომ აცხობს,
ლამის მიწასთან რომ გვასწორებს ლანძღვა-გინებით,
რათა ჩვენდამი რწმენა ლაშქარს დააკარგვინოს
და შეგვასუსტოს სახიფათო შებრძოლების ჟამს.

ულისე

ჩვენს ქცევას გმობენ და სიმხდალედ მიუჩნევიათ,
ჭკუა-გონებას არცა სთვლიან ომში საჭიროდ,
წინდახედული მოსაზრება არაფრად უღირთ
და მკლავის გარდა არა სცნობენ არაფერ ძალას.
გონების ძალას, წარმმართველსა უთვალავ მკლავთა,
რომელმაც უწყის, სად და როგორ უნდა მოიქცეს.
აწონ-დაწონოს მტრის ლაშქარი და ბრძოლის წესი,
მათ თვალში ნეკა თითის ფასიც არა აქვს ახლა.
ტყუილ ლაყბობას უწოდებენ, ლოგინის საქმეს.
კედლის მნგრეველი იარაღი მეტი ჰგონიათ,
ვიდრე ის ხელი, რომელიც ამ იარაღს მართავს.
მის უხეშ ძალას მიაგებენ უფრო მეტ პატივს,
ვიდრე გონებას, რომელმაც ის გამოიგონა.

ნესტორი

ეს თუ გაგრძელდა, აქილევსის ცხენის ღირსება
მალე თეტიდეს ვაჟებისას გადააჭარბებს[14].

(საყვირების ხმა გაისმის.)

აგამემნონი

საყვირის ხმაა! მენელაოს, ნახე ვინ არის?

მენელაოსი

ტროელი ელჩი.

(შემოდის ენეასი.)

აგამემნონი

რა საქმეზე მობრძანებულხარ?

ენეასი

ეს კარავია დიდებული აგამემნონის?

აგამემნონი

დიახ, ეს გახლავთ.

ენეასი

ძალმიძს თუ არა, ელჩს და თავადს, დანაბარები
ღირსებისამებრ მოვახსენო მის მეფურ სმენას?

აგამემნონი

ამის თავდები აქილევსის მახვილი იყოს
და ჩვენს წინაშე მდგარ ბერძენთა თაეები, ერთხმად
აგამემნონი მთავარსარდლად ვინც აირჩია.

ენეასი

უშფოთველობა და მშვიდობა ნუ მოგეშალოთ.
მიბრძანეთ უცხოს, ამ ღირსეულ მთავართა შორის
ვით გაგარჩიო თვით ხელმწიფე?

აგამემნონი

ვით გაარჩიო?

ენეასი

დიახ, მაგას გთხოვთ, რომ თაყვანი ვცე მუხლმოდრეკით
და ღაწვნი წითლად შევიფაკლო, ვით მორცხვმა დილამ
ჰაბუკ ფებოსის[15] დანახვაზე.
სთქვით, რომელია ღმერთი იგი, კაცთ წარმმართველი,
სად არის მძლავრი და დიადი აგამემნონი?

აგამემნონი

ჩანს ეუხიზღებით ამ ტროელ კაცს, ან ტროელები
არიან ასე მოჭარბებით ზრდილობიანნი.

ენეასი

ზრდილობიანნი, იარაღი თუ არ ასხიათ,
ანგელოსივით თვინიერნი, მშვიდობიანნი.
მაგრამ თუ ომმა მტერთან შებმა მოსთხოვა, მაშინ
ნაღველიცა აქვთ, იარაღიც, მუხლიც და მკლავიც.
მარჯვენაც უჭრით, გულიც ერჩით და ხმალიც კაპავს,
ზევსის შეწევნით, მაგრამ ჩუმად, წყნარად, ტროელო!
ენეას, კმარა! დაიფარე ბაგეზე ხელი!
იცოდე მაშინ დაეცემა ქების ღირსება,
თუ მაქებარიც საპასუხო ქებით ივსება[16],
მაგრამ თუ მტერი ყურადღებით მოგეკიდება
და ის შეგაქებს, ამას ჰქვია მარილიც დიდება.

აგამემნონი

მაშ, შენ, ტროელო, ენეასი გქვია სახელად?

ენეასი

დიახ, ბერძენო, აგრე მქვია.

აგამემნონი

რამ მოგიყვანა?

ენეასი

ეგ აგამემნონს მოვახსენო უნდა პირადად.

აგამემნონი

ის ტროას ამბავს მარტოდ-მარტო არ ისმენს ხოლმე.

ენეასი

არც მე მოვსულვარ საიმისოდ, რომ ვეჩურჩულო.
საყვირი მომაქვს, მისი სმენა რომ გავაღვიძო
მივიპყრო მისი ყურადღება და ვთქვა სათქმელი.

აგამემნონი

ილაპარაკე გულახდილად, ნუ გეფიქრება,
არა სჭირდება აგამემნონს გამოღვიძება,
უნდა იცოდე, იგი მუდამ ფხიზლობს, ტროელო,
და ამას თვითონ გეუბნება.

ენეასი

სჭექე საყვირო,
შენმა თითბერის ხმამ კარვებიც გამოაღვიძოს,
რათა შეიტყოს სათითაოდ ყველა ბერძენმა,
რა უნდა ტროას განაცხადოს სააშკარაოდ.

(საყვირების ხმა.)

ჩვენ გვყავს, დიადო აგამემნონ, ტროაში ერთი
სახელგანთქმული უფლისწული, სახელად ჰექტორ.
იგი პრიამეს, ჩვენი მეფის პირმშო შვილია.
მას დაზავება მოეწყინა კარგა ხანია
და დღეს მიბრძანა მოვსულიყავ თქვენთან საყვირით
და ასე მეთქვა: მეფეებო, უფლისწულებო!
თუ საბერძნეთის გმირთა შორის მოიძებნება
ვინმე, რომელსაც ძვირად უღირს მისი ღირსება,
ეძიებს სახელს და სიკვდილის შიში არ ახსოვს,
ან საკუთარი სიმამაცე არ ეეჭვება;
რომელსაც სატრფო მართლა უყვარს და არა სიტყვით
და სიყვარულის ფიცს საქმითაც დაადასტურებს;
ვინც გაბედავს და დაამტკიცებს სატრფოს მშვენებას
თავის მახვილით, მას ჰექტორი იწვევს საომრად.
ყველა ტროელის და ბერძენის დასანახავად
და გასაგონად განაცხადებს ჰექტორი ხვალვე,
რომ მისი სატრფო ქალბატონი იმაზე უფრო
გონიერია, ლამაზია და ერთგულია,
ვისაც ბერძნები ეტრფიან და გულს იხუტებენ.
ტროის კედლებსა და ბერძნების კარავთა შუა
ხვალვე საყვირით მოუწოდებს იგი იმ ბერძენს,
ვინც თავის სატრფოს სიყვარულის არის ერთგული.
თუ ვინმე მოვა, მას პატივით მოეკიდება
და თუ არავინ, მაშინ, როცა შინ დაბრუნდება,
გამოაცხადებს, რომ ბერძენთა ქალები მზისგან
დამწვრებია და მახინჯები და შუბის ქნევად
არ ღირებულან. ამისი თქმა მევალებოდა.

აგამემნონი

ეგ მიჯნურთათვის გაგემხილა სჯობდა, ენეას!
ვისაც ეგოდენ ნაზი გული ჰქონდა, შინ დარჩა,
და აქ მოვედით მარტოოდენ ჯარისკაცები.
მაგრამ ვაჟკაცად იგი მაინც არ ჩაითვლება,
ვისაც ვისიმე სიყვარული არ უდევს გულში.
ბერძენთა შორის ამისთანას ვიპოვით მრავალს
და თუ ვერ ვპოვეთ, ამ ბრძოლაში მე თვითონ გავალ.

ნესტორი

ნესტორიც უთხარ, ის ვინც მაშინ იყო ვაჟკაცი,
როცა ჰექტორის პაპა წოვდა ძუძუს დედისას.
ასე უთხარი, დღეს ნესტორი მოხუცია-თქო,
მაგრამ ბერძენთა მხედრობაში თუ არ აღმოჩნდა,
ვის გულში მართლაც სიყვარულის ცეცხლი ანთია
ოქროს მუზარადს ჩამოვაცმევ ამ ჩემს ვერცხლის წვერს
და დამჭკნარ მკლავებს სამკლავურთა რკინით დავფარავ,

მე გამოვიწვევ ხმალში ჰექტორს და მოვახსენებ,
რომ დიდედამისს სილამაზით ჩემი მეულლე
ათასჯერ სჯობდა და ყველაზე უმანკოც იყო.
მის სიყმაწვილეს ვუპასუხებ მოხუცის რისხვით
და ჩემს სიმართლეს დავუმტკიცებ ჩემივე სისხლით.

ენეასი

ჰფარავდეს ზეცა სიყმაწვილის ამ ნაკლებობას.

ულისე

ამინ.

აგამემნონი

მინდა შეგეხოთ, დიდებულო, ენეას, ხელით,
და ჩვენს კარავში თქვენ პირველი შეგიპატიჟოთ.
დაე, იცოდეს აქილევსმაც თქვენი ნათქვამი,
შემდეგ კარვიდან კარავამდე ყველა ბერძენმა.
შენც ჩვენთან ერთად ინადიმებ, ვიდრე შინ წახვალ,
კეთილშობილი მტრის დახვედრას თვითონვე ნახავ.

(ყველანი გადიან ულისეს და ნესტორის გარდა.)

ულისე

ნესტორ!

ნესტორი

რას ბრძანებ?

ულისე

ახალმა აზრმა გამიელვა უცრად თავში,
შენ მომეხმარე გამოვხატო იგი მკაფიოდ.

ნესტორი

მაინც რა აზრი?

ულისე

აი, მისმინე:
ბლაგვი სოლები დაკორძებულ კუნძებს არღვევენ.
მოგეხსენება აქილევსის ამპარტავნება
ყველას აღელვებს და თუ დროზე არ აღმოიფხვრა,
ამ მღელვარების გავრცელება შობს ბოროტებას
და საბოლოოდ ძირს დაგვამხობს.

ნესტორი

მერე, რა გვეხსნის?

ულისე

ეს გამოწვევა, ჰექტორმა რომ შემოგვითვალა,
ვითომც ყოველი ბერძნის მიმართ არის აღძრული,
მაგრამ ნამდვილად აქილევსის გამოხმობა სურს.

ნესტორი

ეგ რომ დღესავით ნათელია, ცხადზე ცხადია,
მაგის გაგება არც არავის გაუჭირდება,
და არც აქილევსს, დამერწმუნე, თუნდ მისი ტვინი
გამომშრალიყოს ვით ლიბიის უდაბნოს ქვიშა,
— იცის აპოლომ, რომ ის მართლაც გამომშრალია! —
მაინც როგორმე მოახერხებს ამდენ მსჯელობას,
შეიცნობს სწრაფად, რომ ჰექტორის ფარული ზრახვა
სწორედ რომ მასთან შებმა არის.

ულისე

და შენ გგონია, აქილევსი პასუხსაც გასცემს?

ნესტორი

დიახაც გასცემს. აბა, მითხარ, ვის შეუძლია,
დაამარცხოს და გამოსტაცოს ჰექტორს ღირსება,
თუ არ აქილევსს? თუმც იქნება ეს შეჯიბრება
თვალის სეირი, მაინც მასში ღრმა აზრი ბუდობს.
აქ გაუგებენ ტროელები ჩვენს უძვირფასეს
ულუფას გემოს თავის პირით. ენდე, ულისე,
მოხუცის სიტყვას, გადავწონით ამ საქმით ტროელთ,
ამ სასტიკ ბრძოლას შეუძლია გამოარკვიოს,
ვის უნდა დარჩეს გამარჯვება საერთო ომში.
წინასწარ ვხედავ უმნიშვნელო ნიშნებში თითქოს
მომდევნო ამბის დიდ შედეგებს[17]. განა არ ვიცით,
ის, ვინც შეებმის ჰექტორს, უნდა რჩეული იყოს,
და არჩევანიც თავად განა ჯილდო არ არის?
ჩვენი რჩეული ჩვენს ღირსებას ატარებს ყველას,
ჩვენი ყოველი დაწურვილად თავსდება მასში,
იმისი მარცხი ჩვენი ყველას მარცხი იქნება
და ამით მხოლოდ გაიხარებს ჩვენი მტრის გული.
თითქოს ის იყოს ჩვენი მკლავი და იარაღად
მას ვიყენებდეთ არანაკლებ, ვიდრე ხმალს და მშვილდს,
რასაც თვითონვე მართავს მკლავი.

ულისე

მაშ მომიტევე,
სწორედ მაგიტომ აქილევსი არ გამოდგება
ჰექტორთან ომში, ჯერ ვაჩვენოთ, როგორც ვაჭრებმა
იციან ხოლმე, — საქონელი ხარისხით მდარე
და გავასაღოთ: თუ არა და კარგის ჩვენებას
წინ რაღა უდგას? უკეთესი მერე ვაჩვენოთ.
ნუ დათანხმდები აქილევსის ჰექტორთან შებმას,
თუმც შესაძლოა მოვიხვეჭოთ ამით სახელი,
მაგრამ სირცხვილიც შეიძლება ვჭამოთ ადვილად.

ნესტორი

ეტყობა მოხუცს თვალთ დამაკლდა: მიზეზს ვერ ვხედავ.

ულისე

დიდება, რითაც აქილევსი შეიმოსება,
სხვა დროს უთუოდ იქნებოდა ჩვენი დიდებაც,
აქილევსი რომ გულზვიადი არ ყოფილიყო,
მაგრამ ის ახლა მეტისმეტად გაგვითავხედდა
და ახლა გვიჯობს, აფრიკის მზემ შეგვწვას მცხუნვარემ
ვიდრე ამაყმა. ზიზღით სავსე მისმა თვალებმა,

თუკი ის ჰექტორს მოერია. მაგრამ თუ ვერა,
ჩვენი სახელიც მასთან ერთად დაიღუპება.
არა და-არა! არჩევანი უნდა შევცვალოთ:
ჰექტორს რეგვენი აიაქსი უნდა შეებას,
ის მივიჩნიოთ ჩვენს ლაშქარში საუკეთესოდ
და მირმიდონელს[18] სამკურნალოდ ესეც ეყოფა.
გალაღებულა მეტისმეტად ეგ თავგასული
და მის ბიბილოს მოუხდება დაბლა დაშვება
თუკი აიაქსს, ამ ყეყეჩსა და გონებაჩლუნგს,
შემთხვევით დარჩა გამარჯვება, ის განვადიდოთ,
ქება-დიდება უსაზომო შევასხათ ერთხმად
და თუ დამარცხდა, ჩვენ ხომ მაინც საბელს არ ვკარგავთ.
ვიტყვით, კიდევ გვყავს უკეთესი ბევრი ვაჟკაცი
ჩვენთვის ერთია დამარცხება და გამარჯვება,
ჭკუანასწავლი აქილევსი თუკი დარჩება.

ნესტორი

ულისე,
ახლა კი ვხვდები შენი რჩევის აზრსა და მიზანს
და ავამემნონს დაჩქარებით მინდა ვაცნობო.
ნუ დავაყოვნებთ, მივაშუროთ და თვითონ ვნახოთ,
ორი ნაგაზი ერთმანეთს რომ წაეკიდება.
ძვალზე, რომელსაც ეწოდება კაცის დიდება.

(გადიან.)

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

ბერძენთა ბანაკის სხვა კუთხე.

შემოდიან აიაქსი და თერსიტე.

აიაქსი

თერსიტე!

თერსიტე

რა იქნება, აგამემნონს რომ მუწუკები დააყაროს? მთელ ტანზე, თავიდან ფეხებამდე?

აიაქსი

თერსიტე!

თერსიტე

მერე ეს მუწუკები რომ გასკდეს? ვთქვათ, თვითონ სარდალიც რომ გასკდეს? აბა, სეირი მაშინ იქნება!

აიაქსი

ძაღლო!

თერსიტე

იქნებ მაშინ მაინც რამე ხეირი გამოსულიყო მაგისაგან. ჯერჯერობით კი ვერაფერს ვხედავ.

აიაქსი

შენ ეი, ძაღლიშვილო, არ გესმის? მაშ ახლა გაიგე!

(სცემს.)

თერსიტე

საბერძნეთის ჭირი გეცეს[1], შე უჯიშო, ბატისტვინა ბატონო!

აიაქსი

ილაპარაკე, შე დაობებულო საფუარო, ილაპარაკე. იმდენს გცემ, რომ ბოლოს და ბოლოს გაგალამაზებ.

თერსიტე

მე კიდევ იმდენს გლანძღავ, რომ უფრო ადრე მოგაჭკვიანებ. თუმცა რა, შენი ცხენი უფრო მალე ისწავლის ქადაგებას, ვიდრე შენ — ლოცვის დაზეპირებას შეძლებ. ცემა კი იცი, ჯაგლაგო, ჭირმა წაგიღოს!

აიაქსი

შხამასოკო, გამაგებინე, რა გამოაცხადეს?

თერსიტე

ასე რომ მიტყაპუნებ, გგონია შეგრძნება აღარა მაქვს?

აიაქსი

რა გამოაცხადეს-მეთქი?

თერსიტე

მე მგონია, შენ გამოგაცხადეს სულელად.

აიაქსი

გაჩერდი, შე მაჩვზღარბა, გაჩერდი, ხელები მექავება.

თერსიტე

ასემც დაგმართნია, თავიდან ფეხებამდე აგქავებია ეგ ტანი! აი, მაშინ კი დაგფხანდი, გაგიხარია! ყველაზე საზიზღარ ქეციანად გაქცევდი მთელ საბერძნეთში. ბრძოლაში რომ გადიხარ, მაინც ვერავის სჯობნი დარტყმაში.

აიაქსი

გეკითხები, რა გამოაცხადეს-მეთქი!

თერსიტე

წამდაუწუმ აქილევსს უღრენ და აგინებ და თანაც მისი შურით გასიებულხარ, როგორც ცერბერი პროზერპინეს სილამაზის მიზეზით[2]. სწორედ ამიტომაც უყეფ აქილევსს.

აიაქსი

თერსიტე, დედაკაცო![3]

თერსიტე

აბა, ერთი იმას დაარტყი!

აიაქსი

ლუკმადაც არ მეყოფა!

თერსიტე

ერთი მუშტის დარტყმით დაგფხვნის როგორც მეზღვაური — ხმელ ნამცხვარს.

აიაქსი

შენ ეი, კახპისშვილო, ძაღლო! (სცემს.)

თერსიტე

მირტყი, მირტყი.

აიაქსი

ალქაჯის კუნძო!

თერსიტე

ჰო, კიდევ, კიდევ, გამოტვინებულო ბატონო! მაგ თავში იმაზე მეტი ტვინი არა გაქვს, რაც მე ჩემს იდაყვში. ვირიც კი გასწავლიდა ჭკუას, შე ატროკებულო ვირო. აქ იმისთვის მოგიყვანეს, რომ ტროელებს ტლინკები აყარო. ვისაც კი ცოტა ჭკუა უყრია თავში, ბერბერიელ[4] მონასავით გყიდის და გყიდულობს. თუ ჩემს ცემას თავი არ დაანებე, ფეხდაფეხ მოგდევ და ყველას წვრილად მოვუყვები, რა შვილიც ბრძანდები. შე გამოტვინებულო, შენა!

აიაქსი

ძაღლო!

თერსიტე

ქეციანო მუტრუკო!

აიაქსი

ქოფაკო! (სცემს.)

თერსიტე

მარსის გიჟო! მარტყი, ვირო, მირტყი, აქლემო, მირტყი!

(შემოდიან აქილევსი და პატროკლე.)

აქილევსი

რაო, აიაქს, რატომ ურტყამ, რა ამბავია?
რაო, თერსიტე? გესმის, კაცო, რა დაგემართა?

თერსიტე

ხედავ, რას შვრება, ხედავ?

აქილევსი

ჰოდა რა ამბავია?

თერსიტე

არა, ჯერ შეხედე, შეხედე მაგას.

აქილევსი

აკი ვუყურებ, რა ამბავია-მეთქი?

თერსიტე

არა, კარგად დაათვალიერე.

აქილევსი

ჰოდა, აგრეც ვშვრები.

თერსიტე

არა, მაინც კარგად ვერ ხედავ. ვინც არ უნდა გეგონოს, იცოდე, ეს აიაქსია.

აქილევსი

ვიცი, სულელო!

თერსიტე

მაგ სულელმა კი არ იცის, რომ სულელია.

აიაქსი

აი, ამიტომაც გცემ.

თერსიტე

აი, აი, აი, აი, რა ჭკუის მარგალიტებს აფრქვევს! სულ დიდყურას საქციელი აქვს. მაგის თავს ჩემგან შე-

ტი მოხვდა, ვიდრე მაგისგან ჩემს ძვლებს! ერთ პენად ცხრა ბეღურას იყიდი, მაგის ტვინი კი ბეღურის მეცხრედად არა ღირს. აქილევს, ამ ვაჟბატონ აიაქსს ჭკუა მუცელში წაუვიდა და ნაწლავები თავში ამოუვიდა, შენც გეტყვი, რასაც მაგაზე ვამბობ.

აქილევსი

რას ამბობ?

თერსიტე

მე ვამბობ, ამ აიაქსს...

(აიაქსი დასარტყმელად ხელს მოუქნევს.)

აქილევსი

გეყოფა, აიაქს, ჩემო კარგო!

თერსიტე

...იმდენი ტვინიც არა აქვს...

აქილევსი

ნუ ამბობ, უნდა გაგაჩერო.

თერსიტე

...ვითომც ელენეს ნემსის ყუნწი ამოევსოს, ვისი გულისთვისაც მოვიდა საბრძოლველად.

აქილევსი

გაჩერდი, სულელო!

თერსიტე

მე კი გავჩერდები, მაგრამ ეგ სულელი არ ჩერდება. აი, აქ არის, ეგ არის, ერთი ნახეთ.

აიაქსი

ჰაი, შე წყეულო ძაღლო! მე შენ...

აქილევსი

ამ სულელს თავს უყადრებ?[5]

თერსიტე

ნუ, თავს ნუ გაუყადრებ, თორემ თავი მოგეჭრება.

პატროკლე

ეგ კი კარგად თქვი, თერსიტე.

აქილევსი

რა იყო, რა გაჩხუბებთ?

აიაქსი

ამ გაიძვერა უტვინოს ვუბრძანე, ერთი მიამბე, რა გამოაცხადეს-მეთქი და ამან კი მასხრად აგდება დამიპირა.

თერსიტე

შენი მსახური კი არა ვარ!

აიაქსი

ბაშ, გაეთრიე, გაეთრიე აქედან!

თერსიტე

მე აქ ჩემი ნებით ვმსახურობ.

აქილევსი

ამ უკანასკნელ მსახურში კარგა ბლომად მოგხვდა. არა მგონია ეს შენი ხასით იყოს, თავის ნებით არავინ თავს არ გაალახვინებს. აიაქსი აქ მართლაც თავის ნებით ირჯებოდა, შენ კი — ძალუნებურად გაილახე.

თერსიტე

მაშ ეგრე, არა? შენი ტვინის დიდი ხვედრიც შენს კუნთებშია მოთავსებული, თუ არა ვცდები. ექიმი კარგად გამოგატვინებს. ერთი გარტყმით ეგ თავი უყუჟე კაკალივით გაგისკდება.

აქილევსი

რაო, ახლა მე მეჭიდავები, თერსიტე?

თერსიტე

აი, ულისეს და მოხუცი ნესტორის ჭკუა მართლაც რომ ჭკუაა. ვიდრე შენს წინაპრებს ფეხზე ფრჩხილები ამოუვიდოდა, ნესტორის ჭკუას ობიც ძოეკიდა. ხარებივით შებმული ჰყავხართ უღელში და ამ ბრძოლის ველს გახვნევინებენ.

აქილევსი

რაო, რაო?

თერსიტე

დიახ, ასე გახლავთ, დიახ, აქილევს, დიახ, აიაქს, დიახ!

აიაქსი

ახლავე ენას ამოგაძრობ!

თერსიტე

რა უშავს. შენოდენას მაინც ვილაპარაკებ.

პატროკლე

აღარაფერი თქვა, თერსიტე, გეყოფა, გაჩუმდი!

თერსიტე

მეტი რა ჩარაა, უნდა გავჩუმდე, თუ აქილევსის ძუკნა მიბრძანებს.

აქილევსი

ეგეც შენ, პატროკლე!

თერსიტე

ვიდრე კელავ თქვენ კარავში მოვიდოდე, უმალ ჩა-
მომხრჩვალები მენახოთ. ახლა კი ვინმე ჭკვიან ხალხს
მოვნახავ, სულელებთან ყოფნა მეყოფა. (გადის.)

პატროკლე

ძლივს არ დაგვეხსნა.

აქილევსი

მთელ ჩვენს მხედრობას ეს-ეს არის გამოუცხადეს,
რომ გარიჟრაჟის ხუთ საათზე, მზე რომ ამოვა,
ჰექტორი ამცნობს ჩვენს ბანაკს და ტროას საყვირით,
რომ ის მზად არის მარტოდმარტო შეებას აქვე
ჩვენს გმირთა შორის უმამაცესს. მე კი არ ვიცი,
მისი მეტოქე ვინ იქნება... მივალ, მშვიდობით.

აიაქსი

შშვიდობით, მაგრამ ვინ იქნება მისი მეტოქე?

აქილევსი

რა მოგახსენო, კენჭსა ჰყრიან და გაირკვევა,
თუ არა, ისეც ცნობილია.

აიაქსი

შენ გგულისხმობენ. მეც წამოვალ, ამბავს გავიგებ.

(გადიან.)

სურათი მეორე

ტროა. ოთახი პრიამეს სასახლეში.

შემოდიან პრიამე, ჰექტორი, ტროილოსი და ელენე.

პრიამე

ამდენი მსხვერპლის, დროის, ბრძოლის და ბჭობის
შემდგომ
ნესტორი კვალად მოგვიწოდებს ბერძენთა მხრიდან:
„დასთმეთ ელენე, დაგვიბრუნეთ და ყოველივე, —
შელახვა იყო ღირსების, თუ ამაო გარჯა,
ხარჯი, ჭრილობა, მეგობართა ჩვენთა სიცოცხლე,
ან სხვა რამ, ძვირად რაც დაგვიჯდა სისხლისმღვრელ
ომში,
ან რაც დავკარგეთ, ყოველივე დაგვავიწყდება“.
ამას ნესტორი გვითვლის, ჰექტორ, შენ რაღას იტყვი?

ჰექტორი

თუმც არავინ ძრწის ჩემზე ნაკლებ ბერძენთ წინაშე,
რამეთუ საფრთხე უშუალოდ მე მემუქრება,
მკაცრო პრიამე, მაინც გეტყვი: უფრო შემკრთალმა,
ვით ნაზმა ქალმა, შემკრთალმა და შეძრწუნებულმა,
გაურკვეველი მომავალის წინ მოცახცახემ,
მზად ვარ შევსძახო; „რა მოჰყვება ვინ იცის ამას?“
მშვიდობის მტერი ისევ ჩვენი დიდგულობაა
და ამიტომაც თავმდაბალ ეჭვს უნდა მივმართოთ,
ის მოგვცემს სიბრძნეს უარესი დღის მოლოდინში
და საიმედოდ გამოიკვლევს უარესის ფსკერს.
ელენე უნდა დავუბრუნოთ მისსავე პატრონს.
მას შემდეგ, რაც ჩვენ გავაშიშვლეთ პირველი ხმალი,
მის დასაცავად რაოდენი მეომრის სული
გაფრინდა ჩვენგან, ელენეზე ძვირფასი ჩვენთვის.
თუკი ამდენი რამ დავკარგეთ ჩვენი კუთვნილი
იმისთვის, რაც ჩვენ არც გვეკუთვნის და არცა გვიღირს
ამ დანაკარგის მეათედად, რაღა გვაჩერებს,
რა მიზეზია, რომ ხელს გვიშლის მტერს დავუბრუნოთ
მისი კუთვნილი?

ტროილოსი

სირცხვილია, სირცხვილი, ძმაო.
ეგ შენი სიტყვა. აბა, ერთი კარგად ასწონე
ჩვენი მეუფის სახელი და მისი ღირსება!
განა იქნება ყოველისმპყრობელ და განუსაზღვრელ
მის ძლიერებას მოუძებნო რამე სასწორი,
ან გოჯა-გოჯა გამოზომო ძლევამოსილი
ხელმწიფის ძალა შიშითა და მიზეზთა მოთვლით?
უნდა გრცხვენოდეს, ჭეშმარიტად, შენი სიტყვისა!

ჰელენოსი

არ მიკვირს, რომ შენ მოგვიწოდებ ვიხმაროთ ჭკუა,
რადგან თავი გაქვს ცარიელი. იქნებ გგონია,
რომ მამაჩვენი მის საქმეებს ვერ გაუძღვება
გონიერებით, თუკი ჭკუას შენ არ ასწავლი?

ტროილოსი

ძმაო ქურუმო, სიზმართათვის ხარ შენ შექმნილი,
გონებას ეძებ ყველაფერში და გავიწყდება,
რომ მტერი აქ ჩვენს შესამუსრად არის მოსული,
რომ მახვილია აღმართული ჩვენს წინააღმდეგ
და ქალაჩუნა გონება კი გაქცევას ლამობს.
ვის გააკვირვებ, თუკი ყველგან ბერძენი გაფრთხობს
და მის ხმალს ხედავ ზეაღმართულს შენს შესამუსრად,
რომ ფეხზე ფრთები შემოგასხას შენმა გონებამ
და გაგაფრინოს ისე, როგორც მერკურიუსი
იუპიტერის დავალებით მიფრინავს ხოლმე,
ანდა ვარსკვლავი ორბიტიდან ამოვარდნილი.
არა! თუ ჭკუას და გონებას ვერ დავეთმობით,
ჩავკეტოთ ჩვენი კარიბჭე და ტკბილად ვიძინოთ.
ვაჟკაცობასა და ღირსებას ვერაყინ მოგვეთხოვს.
რადგან მათ კურდღლის მხდალი გული აღმოაჩნდებათ.
თუკი გონების მეტს არაფერს მიენდობიან.
ფიქრი და განსჯა ახმობს ღვიძლსა და ფერს უკარგავს,
ხოლო მამაცთა შემართებას ჩაგრავს და ახშობს!.

ჰექტორი

ძმაო, ეგ ქალი დანაკარგის ფასად არ გვეღირს.

ტროილოსი

მაგ ქალის ფასი რაც დაგვეჯდა, მაინც ის არის.

ჰექტორი

ჩვენს კერძო სურვილს მაინც ის არ ემორჩილება.
საგნის ღირსება, გინდა ფასი, თვით საგანშია,
აგრეთვე მისი დამფასებლის გონების შიგნით.
უგნურებაა დაისახო საგანი ღმერთად
და სამსახური მისი ღმერთზე დიდი გახადო.
თანაც სურვილი თვით ისეთი თვისებისაა,
რომ სათაყვანო საგანს ისეთ რასმე მიაწერს,
რაიც ამ საგანს სრულებითაც არ გააჩნია.

ტროილოსი

ვთქვათ, დღეს საცოლედ ავირჩიე მე ერთი ქალი
და ჩემს არჩევანს განაგებდა ნება-სურვილი,
ნება-სურვილს კი წარმართავდა თვალი და ყური,
ორი მენავე, ვისაც გაჰყავს ნავი საშიშარ
ნაპირთა შორის, რასაც ნებას და გონს ვუწოდებთ.
ვით განვერიდო ჩემს არჩევანს, თუნდაც გონებამ
ის უკუაგდოს? მე ვერ ვხედავ საშუალებას
უარვყო იგი და ღირსება ჩემი შევბღალო.
ვინ დაუბრუნებს უკან ვაჭარს ნაყიდ აბრეშუმს
ხმარების შემდეგ, ან ნასუფრალს ვინ გადააგდებს
ნაგვის ორმოში, თუნდაც კარგად დანაყრებული?
შურისძიება ჰქონდა პარისს დავალებული
ბერძენთა მიმართ. თქვენმა სუნთქვამ გაშალა მისი
ხომალდის აფრა, დაუბერა ქარმა კეთილად
და მან მშვიდობით მიაღწია ბერძენთ ნავსადგურს.
ბერძენთა მიერ ტყვედქმნილ მოხუც მამიდის ნაცვლად[2]
მან მოიყვანა დედოფალი ულამაზესი,
ვისი სინორჩე აპოლოსაც ფერს დაუკარგავს
და დილის რიჟრაჟს დააბნელებს თვის ბრწყინვალებით.
რად ვაჩერებთო? ბერძნებს ჩვენი მამიდა თუ ჰყავთ
ისევ ტყვედქმნილი, განა ეს კი მოსათმენია?
ელენე მართლაც რომ ისეთი მარგალიტია,
რომელიც ათას ხომალდს მაინც აჭარბებს ფასით[3]
და გვირგვინოსან ხელმწიფეებს ვაჭრებად აქცევს.
თუ პარისს მაშინ აქეზებდით გასამგზავრებლად
და შესძახოდით: „წადი, თავი გამოიჩინე“;
თუ მის მოტანილ ძვირფას ნადავლს გახარებული
ტაშით დახვდით და აღიარეთ ფასდაუდებლად, —
აწლა რატომ სცვლით აზრს და ნათქვამს სადავოდ
იხდით?
რატომ იქმთ, რაც ჯერ ფორტუნასაც კი არ უქმნია?
აღარაფრად ვთვლით მას, რაც ზღვა და ხმელზე
უმეტეს
ფასად გაღირდათ? ოჰ, მდაბალო და მხდალო ქურდო,
ვისაც გაძრწუნებს მოპარული ნივთის დაფარვა.
თავს მოპარულის ღირსად არ ვთვლით მისი ქურდები,
არა გვგონია ამ მშვენების ღირსებად ვიშვით
და მისი ფასის გადახდისთვის ვკანკალებთ შიშით.

კასანდრა (სცენის უკან)

სტიროდეთ, ვაგლახ, ტროელებო!

პრიამე

ეს ვინ ღრიალებს?

ტროილოსი

ჩვენი შეშლილი და ეგა[4], — ჩე მეცნობა.

კასანდრა (სცენის უკან)

სტიროდეთ, ვაგლახ, ტროელებო!

ჰექტორი

ეს კასანდრაა.

(შემოდის კასანდრა აგზნებული.)

კასანდრა

სტიროდეთ, ვაგლახ, ტროელებო! ათი ათას თვალს
მოჰგვრიდნენ ცრემლებს ჩემი მწარე წინასწარ თქმანი.

ჰექტორი

იყურე, დაო, მშვიდად იყავ!

კასანდრა

ქალწულო, ბავშვო, ვაჟკაცო თუ მოხუცო კაცო,
ჩვილო, რომელმაც ტირილს გარდა არა იცი-რა,
შემოუერთეთ თქვენი მოთქმა ამ ჩემს გოდებას!
გამოვიტიროთ მომავალი უბედურება.
სტიროდეთ, ვაგლახ, ტროელებო, ცრემლად იქეცით!
აღარ იქნება ილიონის მტკიცე ზღუდენი.
პარისი დაგვწვავს ჩირაღდანით ჩვენ და ჩვენს ქალაქს[5],
მე ვხედავ, როგორ უკიდია ცეცხლი მის კედლებს.
უნდა სტიროდეთ, ტროელებო, გოდებდეთ მრავალს,
თუკი ელენე სამშობლოში ჩვენგან არ წავა.

(გადის.)

ჰექტორი

აბა, ტროილოს, რას გვიბრძანებ ამ მოთქმის შემდეგ,
ნუთუ სულაც არ გაშფოთებენ ეს საშინელი
წინასწართქმანი? იქნებ სისხლი გიჟურად გიდუღს
და არ გაფიქრებს არც გონების საღი მსჯელობა,
არც იმის შიში, რომ მოგველის უბედურება
და ბოროტ საქმეს დასასრულიც ბოროტი ელის?
არაფერსა გრძნობ?

ტროილოსი

ჰექტორ, ძმაო ჩემო, მისმინე:
ყოველი ჩვენი მოქმედების ამგვარი განსჯა,
მისი სისწორის და სიმართლის აწონ-დაწონა
ჩვენ არა გვმართებს დასასრულის მისის მიხედვით:
არც უნდა ჩვენი სიმხნე დიდი, სწორუპოვარი
შეშლილ კასანდრას ერთმა სიტყვამ დააძაბუნოს,
სულით სნეულის შეძახილმა ვერ შეასუსტოს
რწმენა საქმისა, რამაც ჩვენი გამბედაობა
სახელითა და ღირსეული ქებით შეამკო.
პრიამეს ძეთა შორის არც მე ვარ სხვაზე მეტად
შეძრული ამით, მაგრამ გვიხსნას იუპიტერმა
დამცირებისგან, რაც ყველაზე უღირს მხდალსაც კი
შეარცხვენდა და თავს მოსჭრიდა.

პარისი

ჭკუის სიმჩატედ ჩაგვითვლიდა მაშინ ორთავეს, —
ჩემს საქციელს და თქვენს რჩევასაც, მთელი ქვეყანა.
მაგრამ ღმერთები მიმოწმებენ, რომ თქვენს თანხმობას
ჩემს განზრახვათა სრულყოფისთვის შეუსხამს ფრთები
და მოსალოდნელ განსაცდელთა დიდთა მიზეზით
გამოწვეული შიში სრულად გაუფანტია.
ვაგლახ, რას ვიქმდი უამისოდ ცარიელ მკლავით?
ვით ძალუძს ერთ კაცს, სიმამაცით თუნდაც აღჭურვილს,
წინ გადაუდგეს მოზღვავებულ შუღლსა და მტრობას,
რაიც ამ ომში დანთებულმა ცეცხლმა აღაგზნო?
მაინც ერთს ვიტყვი: მარტოდმარტოდ რომც ვყოფილიყავ
ამ განსაცდელში დარჩენილი მტრის წინ პირისპირ,
და მომცემოდა ნებისყოფის ოდენი ძალაც,
პარისი უკან თავის სიტყვას არ წაიღებდა,
არ დაიხევდა მის წინაშე, რაც განიზრახა,
და მისას იქმდა.

პრიამე

პარის, ისეთ რაღაცას ჩმახავ,
რომ აშკარად ჩანს, განცხრომით ხარ გაბრუებული.
შენ თაფლით თვრები, ჩვენ გვამწარებს ჩვენი ნაღველი.
მაგ სიშმაგეში არ გეკუთვნის დიდი სახელი.

პარისი

მეფეო, მარტო ჩემთვის არ გთხოვ ამგვარ სიამეს,
რაც ახლავს ენით გამოუთქმელ მშვენიერებას.
მე მსურს ელენეს მოტაცების დანაშაული
გამოვისყიდო საპატიო მისი ტყვეობით.
დიდი ღალატიც იქნებოდა დედოფლის მიმართ,
თქვენი ღირსების დამცირებაც, ჩემი სირცხვილიც,
ის რომ დაგვეთმო ჩვენთვის მეტად დამამცირებელ
ძალდატანების გამო მტრისთვის. განა ეს აზრი
ესოდენ მამაც, დიდებულ და სულგრძელთა შორის
მოუვა ვინმეს თავში ანდა გულში ელება?
ისე სულმოკლე ჩვენს ბანაკში არ მეგულება,
რომ გულს არ მიჰყვეს, არ იშიშულოს ბასრი მახვილი,
როცა ელენეს დაცვას მოსთხოვს მოვალეობა.
არც ერთი ჩვენი მეომარი კეთილშობილი
არ დაიშურებს ძალ-ღონეს და სიცოცხლეს თვისას
როცა ელენეს დასჭირდება გამოსარჩლება.
ამიტომ ვამბობ ამ ბრძოლაში ჩვენ ვართ მართალი;
მთელს ქვეყანაზე ჩვენს დედოფალს არ ჰყავს ბადალი.

ჰექტორი

პარისიცა და ტროილოსიც მართალს ამბობენ;
მჭევრმეტყველურად, მაგრამ მაინც ზედაპირულად
განსჯიან ჩვენი ომის საგანს. რა გაეწყობა,
არისტოტელეც ამტკიცებდა[6], რომ ყმაწვილკაცებს
არ შეუძლიათ ზნეობრივი სწავლის აზრს ჩასწვდნენ[7].
ეგ საბუთები, რაც თქვენ ბრძანეთ, მხურვალე სისხლის
და ცხელი გრძნობის მორჩილებას მიეწერება
და ამიტომაც მართალი და ტყუილი მათში
არეულია. განცხრომაც და შურისძიებაც
ორივე ყრუა და გონების ხმას ვერ შეისმენს[8].
თვითონ ბუნება ითხოვს ჩვენგან — მისი კანონი
დავიცვათ მტკიცედ და მივუზღათ კუთვნილი პატრონს.
იმაზე მეტად ბუნებრივი რა უნდა იყოს,
როდესაც ცოლი ქმარს ეკუთვნის, და თუ ეს წესი,
ბუნების მიერ ბოძებული ვნებათა ღელვამ
დაარღვევინა ამ დიდებულ გონების პატრონთ,
თვითონ ბუნება აღუდგება წინ იმათ სურვილს.
ყოველ წესიერ ერს თავისი გარდაუვალი
კანონი მართავს და უბრძანებს დროზე ალაგმოს
მადა თუ ვნების ამბოხება და მღელვარება.
თუკი ელენე სპარტის მეფის მეუღლე არის,
და რომ ასეა, ყველამ იცის, მაშინ ბუნების
კანონი ბრძანებს თავის ცოლი ქმარს დავუბრუნოთ.
გაჯიუტება არა მარტო ცოდვას ამრავლებს,
არამედ უფრო დაამძიმებს ჩვენს დანაშაულს.
ასეთი გახლავთ ჩემი აზრი, მაგრამ თუ ჩემს ძმებს
გადაწყვეტილი აქვთ ელენე არ დაუბრუნონ,
რა გაეწყობა, მეც მათ მხარში ამოვუდგები.
სხვა გზა არ არის: უკვე ბევრი საგმირო საქმეც
ჩაგვიდენია ამ საერთო ბრძოლაში ყველას.

ტროილოსი

ჰოდა ეს არის ჩვენი საქმის თავი და თავი:
ეს რომ არ იყოს მართლაც ჩვენი ღირსების საქმე,
ან იყოს მხოლოდ ცარიელი ჟინის მიზეზი,
მაშინ ტროელის ერთ წვეთ სისხლსაც არ გავიღებდი
მარტო ელენეს დასაცავად. მამაცო ჰექტორ,
ჩვენი ღირსების და სახელის დაცვის საბაბი
არის ელენე; ეს გვაქეზებს ახალ დიდებულ
და სახელოვან საქმეთათვის, რომელთაც ძალუძთ
ჩვენ განგვადიდონ და მტერი კი უკუაქციონ
და დაგვიმკვიდრონ ჩვენ სახელი სამარადჟამოდ.
ვიცი, ჰექტორი უშიშარი უარს არ იტყვის,
სახელი კიდევ მოიხვეჭოს, მისწვდეს დიდებას,

უცხო ღიმილით რომ კიაფობს ამ ომის შუბლზე
და ქვეყანაზე განდიდებას ყველას გვპირდება.

ჰექტორი

მე შენთანა ვარ, დიდებული პრიამეს შვილო.
ვაცნობე კიდეც გამოწვევა ჩემი ბრიყვ ბერძნებს,
მათ დიდებულებს, მთელემარეთა და გონებაჩლუნგთ,
რომელთაც უნდა ამის შემდეგ გამოიღვიძონ.
მათ ბელადს სძინავს, ასე მითხრეს და მის ღაშქარში
თურმე ფარულად შეპარულა განხეთქილება.
ასე მგონია, ეს ამბავი გამოაფხიზლებს.

(გადიან.)

სურათი მესამე

ბერძენთა ბანაკი. აქილევსის კარვის წინ.

შემოდის თერსიტე.

თერსიტე

რაო, თერსიტე, რაო, გზა დაგებნა საკუთარი ბრაზის ლაბირინთში? ნუთუ ამ სპილომ, ამ აიაქსმა უნდა მიგიყვანოს აქამდე? ის მირტყამს, მე კი დავცინი და ამით ვკმაყოფილდები. აჯობებდა კი პირიქით ყოფილიყო: მე მერტყა და იმას კი მასხრად ავეგდე. უნდა ჯადოქრობა ვისწავლო და ეშმაკები გამოვიწვიო, ეგებ ამ საზიზღარი დამცირებიდან დავიხსნა თავი. ახლა კიდევ ეს აქილევსი გამოტყვრა! თუ ტროას აღება ამ ორის მეტს არავის შეუძლია, მაშინ მისი კედლები იქამდე იდგება, ვიდრე თავისით არ დაინგრევა. ჰოი, შენ ოლიმპოს დიადო მეხთამტეხო, დაივიწყე, რომ შენ იუპიტერი ხარ, ღმერთების მეფე! შენცა, მერკურო, შენი გველური ძალაც არაფრის მაქნისი იქნება[1], თუკი მათ იმ მცირეზე უმცირეს ჭკუასაც არ წაართმევთ, რაც აბადიათ. მაგათი ჭკუამოკლე უმეცრება ისე ღატაკია, რომ ბუზსაც კი ვერ გამოსტაცებს ობობას, თუ მძიმე საჭურველი არ მოიხმარა და ხმლით არ გაჩეხა ობობას ქსელი. მაშ, შურისძიებაც დასცემია თავს მთელს მაგათ ბანაკს, ან ნეაპოლური სენიმც შეჰყრია[2] იმას, ვინც ქალის კაბის ნახელური სენიმც შეჰყრია[2] იმას, ვინც ქალის კაბის ნახელავისათვის ომობს[3]. აი, ჩემი ლოცვა-კურთხევაც დავამთავრე და ტარტაროზმა შურმა მითხრას „ამინ“. აი, აქილევსიც, ჩემი მბრძანებელი!

(შემოდის პატროკლე.)

პატროკლე

რომელი ხარ? თერსიტე? შემოდი, ჩემო თერსიტე, ერთი გაგვაცინე.

თერსიტე

ყალბ ფულს რომ ვეხარბებოდე, მაშინ ვერსად გამექცეოდი, მაგრამ საქმე ეს არ არის. შენ თავს თვითონვე გაუსწორდები. კაცობრიობის წყევლა მოგელის, უჭკუობა და უმეცრება. დაგიფაროს ზეციერმა ჭკუის მასწავლებლისაგან და რჩევა-დარიგება ახლოს არ გაგეკარონ. დაე, შენმა ზნემ გმართოს სიკვდილამდე! მაგიტყვის, ლაქალი, ვისაც შენი გვამის მოვლა მოუხდება, ბათ არავინ ზი გვამიაო, იმას კეთროვანთა გარდა ალსუდრაეს. ამინ. აქილევსი სადღაა?

პატროკლე

ერთი ამას დამიხედე. ორწმუნეც რომ ყოფილა! ლოცულობ კიდეც?

(შემოდის აქილევსი)

აქილევსი

ვინ არის მანდ?

პატროკლე

თერსიტე, ჩემო ბატონო.

აქილევსი

სად არის, სადა? მაშ, მოხვედი? სად იყავი აქამდე? სად არის ჩემი ყველი, საჭმელი რომ მოვინელო[4]? რატომ არ მემსახურებოდი პურის ჭამის დროს, რამდენ სუფრას დააკელი ლაზათი? ერთი, ეს მითხარი, აგამემნონი ვინაა?

თერსიტე

შენი სარდალია, აქილევსო. პატროკლე, შენ ის მითხარი, აქილევსი ვინაა?

პატროკლე

შენი ბატონი, თერსიტე. ახლა შენ მითხარი, შენ ვილა ხარ?

თერსიტე

შენი მცნობელი, პატროკლე. ახლა კი შენ თვითონ თქვი, ვინა ხარ?

პატროკლე

შენ თქვი, შენ ხომ მიცნობ?

აქილევსი

თქვი, თქვი!

თერსიტე

მაგ საკითხს მოფიქრება უნდა. აგამემნონი აქილევსის სარდალია, აქილევსი ჩემი ბატონია. მე პატროკლეს მცნობელი ვარ, პატროკლე კი სულელია.

პატროკლე

ჰეი, არამზადავ!

თერსიტე

წყნარად, სულელო! ვერ არ დამიმთავრებია.

აქილევსი

მაგას ყველაფერი ეპატიება. განაგრძე, თერსიტე.

თერსიტე

აგამემნონი სულელია, აქილევსი სულელია, თერსიტე სულელია და, როგორც მოგახსენეთ, პატროკლეც სულელია.

აქილევსი

მერე, მერე? დასკვნა?

თერსიტე

აგამემნონი სულელია იმიტომ, რომ აქილევსის სარდლობას ფიქრობს; აქილევსი სულელია იმიტომ, რომ აგამემნონი სარდლობს; თერსიტე სულელია იმიტომ, რომ ასეთ სულელს ემსახურება; და პატროკლე სულელია თავისთავად.

პატროკლე

რატომ ვარ სულელი?

თერსიტე

ეგ შემოქმედს უნდა ჰკითხო. მე ისიც მეყოფა, რომ შენ სულელი ხარ. აბა, გაიხედე, ვინ მოდის?

აქილევსი

პატროკლე არავისთან არ მინდა ლაპარაკი. წამომყევი, თერსიტე!

(გადის.)

თერსიტე

რა უმსგავსობაა, რა მაიმუნობაა, რა არამზადობაა! ყველაფრის მიზეზი კი ერთი რქოსანი კაცი და ერთი გავარდნილი დედაკაცია. კარგი მიზეზია, შენ არ მომიკვდე, ჩხუბის დასაწყებად და სისხლის დასაღვრელად! ჭირსაც წაულია ყველანი, ეს ომიც და ეს გარყვნილებაც! (გადის.)

(შემოდიან აგამემნონი, ულისე, ნესტორი, დიომედე და აიაქსი.)

აგამემნონი

სად არის აქილევსი?

პატროკლე

მის კარავშია; უქეიფოდ გახლავთ, ბატონო.

აგამემნონი

უთხარი, თავად გეახლა-თქო აგამემნონი.
ჩვენი შიკრიკნი მან გარეკა, მაგრამ ჩვენ მაინც
არად ჩავაგდეთ წარჩინება ჩვენი მაღალი
და თვით მოვედით. ეს უთხარი! ნუ ეგონება,
რომ დაგვავიწყდა ღირსეული წოდება ჩვენი
და აღარ ვიცით ვინ ვართ.

პატროკლე

დიახ, ყველაფერს ვეტყვი.

(გადის.)

ულისე

ჩვენ დავინახეთ იგი კარვის გაღებულ კარში:
და ავადმყოფს სულაც არა ჰგავს.

აიაქსი

ავად კი გახლავთ, მაგრამ ეს ლომის ავადმყოფობაა, ამაყი გულის ავადმყოფობა. თუ გნებავთ ასიამოვნოთ, ამას ნაღველი შეგიძლიათ უწოდოთ, თუმცა, ჩემს თავს გეფიცებით, ეს გულზვიადობაა. მაგრამ რატომ, რისი ბრალია, ამის მიზეზი თვითონ უნდა თქვას. ერთი სიტყვა მინდა გითხრა, ჩემო ბატონო (განზე გაჰყავს აგამემნონი.).

ნესტორი

რა აიძულებს აიაქსს, ნეტავ, ასე რომ კიცხავს აქილევსს?

ულისე

აქილევსმა მაგის ხუმარა გადაიბირა.

ნესტორი

რომელი, თერსიტე?

ულისე

სწორედ ის.

ნესტორი

მაშ, აიაქსს მასალა შემოლევია თავისი ყბედობისათვის და ეგ არი!

ულისე

არა უშავს რა, ახლა ამაზე იყბედებს, ჩემი ყბედი აქილევსმა წაიყვანაო.

ნესტორი

უფრო უკეთესი, მაგათი დავა ჩვენ უფრო ხელს გვაძლევს, ვიდრე მათი კავშირი. მაგრამ კაი კავშირი კი ჰქონიათ, თუ ერთმა მასხარამ დაურღვია.

ულისე

თუ მეგობრობას სიბრძნე არ აკავშირებს, სისულელეს ადვილად შეუძლია დაარღვიოს. აი, პატროკლეც ჩოდის.

(შემოდის პატროკლე.)

ნესტორი

აქილევსი არ ახლავს!

ულისე

სახსრები კი აქვს სპილოს, მაგრამ თავაზიანი სალამისათვის არ ედრიკება; მუხლებს მარტო საჭიროებისათვის იყენებს, დასაჩოქებლად ვერა!

პატროკლე

ეს მოგახსენათ აქილევსმა: ვწუხვარო ფრიად, თუკი გართობის მძლე სურვილმა არ მოგიყვანათ თქვენ და ამალა თქვენი ესე, დიდად ბრწყინვალე, აქ, მის კარავში; იმედოვნებს, რომ სხვა მიზეზი არ გექნებოდათ, გარდა თქვენი ჯანმრთელობისა და სადილს შემდეგ სასარგებლო გასეირნების სურვილის გარდა.

აგამემნონი

გეტყვი, პატროკლე.
ჩვენ მეტისმეტად კარგად ვიცით ეგ პასუხები.
ცოტა არ იყოს თავს გვარიდებს, აბუჩად გვიგდებს
და ეგებ ფიქრობს ვერ ვახერხებთ ამის გაგებას.
ბევრი ღირსება გააჩნია, ამგვარი ქცევის
ბევრი მიზეზიც გვესმის კარგად, მაგრამ ღირსება
შესაფერისად თუ კაცმა ვერ გამოიყენა,
მას ბრწყინვალება ყველას თვალში დაეკარგება.
დიაღ, ვითარცა მშვენიერ ხილს ბინძურ ლანგარზე
მორთმეულს, ეტოვებთ ხელუხლებლად, არ ვეკარებით.
წადი და უთხარ, მოვიდნენ-თქო აქ სასაუბროდ
და არ შესცოდავ, თუკი ეტყვი, რომ ამპარტავნად
ვთვლით მას დიახაც და გვგონია, თავი ამაოდ
მოაქვს დიდკაცად. მასზე მეტად ღირსეულები
თვალყურს ვადევნებთ მის გუნება-უგუნებობას
სრული სიმშვიდით; დიაღ, მისი განწყობილების
მიქცევ-მოქცევას თითქოს მართლაც დიდ რამედ
ვთვლიდეთ.
წადი, ეს უთხარ და დასძინე კიდევ ერთი რამ:
თუკი თავის თავს მეტისმეტი ფასი დაადო,
ჩვენც აღარ გვინდა, თავს ვანებებთ ხვეწნა-მუდარას.
ეგდოს თავისთვის როგორც ომის რაღაც მანქანა,
მეტად ტლანქი და უვარგისი მეომართათვის.
მოხერხებული ქონდრისკაცი გვიყურებს ბრძოლაში
დევკაცს, ომის ჟამს ჩაძინებულს. ესეც უთხარი.

პატროკლე

ვეტყვი და პასუხს მოგახსენებთ დაუყოვნებლივ.

(გადის.)

აგამემნონი

მეორე პირის მეოხებით მიღებულ პასუხს ვერ დავუკერდებით. უშუალოდ მას უნდა შევხვდეთ. წადი, ულისე და პირდაპირ ელაპარაკე.

(ულისე გადის.)

აიაქსი

მართლა, ვინ სხვაზე მეტი რითია?

აგამემნონი

მარტო იმითი, რომ თავის თავი სხვაზე მეტი ჰგონია.

აიაქსი

ვითომ აგრე დიდია? როგორ, სიც ხომ არ ჰგონია თავი? ონიათ, ჩემზე უკეთე-

აგამემნონი

რა საკითხავია.

აიაქსი

თქვენც მაგას უდასტურებთ და აგრე გგონიათ?

აგამემნონი

არა, კეთილშობილო აიაქს! შენ იმის ტოლი ხარ ძალ-ღონით, სიმამაცით, ჭკუა-გონებით და კეთილშობილებით, ოღონდ უფრო კეთილი ხარ, თავმდაბალი და თავაზიანი.

აიაქსი

რად უნდა იყოს კაცი ამპარტავანი? საიდან უჩნდება ეგ ამპარტავნება? მე არც კი ვიცი, ამპარტავნება რა არის.

აგამემნონი

შენი სული და გული უფრო წმინდაა, აიაქს, და ღირსება უფრო დიდი. ამპარტავანი კაცი თავის თავს ნთქავს. ამპარტავნება — მისი სარკეა, მისი საყვირი, მისი საკუთარი მატიანე, და თუ კაცი საქმით კი არ განადიდებს თავის თავს, არამედ ცარიელი თავის ქებით, მის საქმეს ეს თავის ქება შთანთქავს.

აიაქსი

ამპარტავანი კაცი მეჯავრება, როგორც გაბერილი ბაყაყის მოდგმა.

ნესტორი (განზე)

თავის თავი კი უყვარს! საკვირველი არ არის?

(შემოდის ულისე.)

უ ლ ი ს ე

ხვალ არ აპირებს აქილევსი საბრძოლოდ გასვლას.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაინც რათაო?

უ ლ ი ს ე

არავითარ მიზეზს არ ამბობს,
ჰყოლილია მის გუნება-განწყობილებას,
არავის უწევს არც ანგარიშს, არც რამედ ეკითხება
ვისიმე სურვილს საკუთარი აზრის პატრონი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაშ ამ ჩვენს თხოვნას თავაზიანად მიიჩნევს,
არ გვეახლება და საუბარს არ ინებებს?

უ ლ ი ს ე

ს იდებს, საბაბს დაეძებს,
არაფრის მაქნის შეყრია ამპარტავნებას,
თითქოს შარზე უჩხუბება ლაპარაკის ჟამს;
საკუთარ თავს წარმოდგენა აქვს თავის თავზე,
იხეთი გაბღენძილ გვამშიც კია დავა ამტყდარი
რომელიერსა და ნივთიერ ნაწილებს შორის,
ე, — სამეფოს რომ მოიცავს განხეთქილება
და ართმევს ძალას. სიამაყე ვითარცა ჭირი
მორევია და მგონი ველარც გადაურჩება.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაშინ მივიდეს აიაქსი და ბედი სცადოს:
ჩემო აიაქს, მიდი შენ და მოინახულე!
ამბობენ, რომ ის სხვებზე მეტად გიწევს ანგარიშს
და იქნებ შენი თხოვნით დათმოს ეს ახირება.

უ ლ ი ს ე

ო, ავამემნონ! ნუ ინებებ მაგნაირ საქმეს,
უნდა ვილოცოთ, რომ არ შეხვდეს მას აიაქსი!
ნუთუ იმ ამაყს, ვინც საკუთარ ამპარტავნებას
მისივე ქონის წვენში ხრაკავს როგორც შემწვარ ხორცს,
და მთელი ქვეყნის სადარდელი არ ენაღვლება,
უნდა პატივი მიაგოს და თავი უხაროს
მან, ვისაც ამაყ აქილევსზე მეტ პატივსა ვცემთ?
როგორ იქნება, რომ ეს სამგზის მამაცი გმირი
ისე დამცირდეს, რომ ეახლოს ნაკლებ ღირსეულს!
არა, ბატონო, ვინც არ არის მასზე ნაკლები,
არ უნდა ვნახოთ აქილევსის წინაშე მდგარი
ჩვენი სურვილით.
ეს ხომ გაბღენძილს კიდევ უფრო მეტად გაბერავს
და შეუმატებს კიბორჩხალის თანავარსკვლავედს[7]
ახალ ნაკვერჩხალს, ჰიპერიონს[8] რათა ეამოს.
რაო, რას ბრძანებთ? აიაქსი ეახლოს იმ ბღენძს?
იუპიტერმა დაგვიფაროს ჭექა-ქუხილით
და ეს გვიბრძანოს, აქილევსი თვითონ მობრძანდეს
და თვით ეახლოს ჩვენს აიაქსს!

ნ ე ს ტ ო რ ი (განზე)

მართლაც კარგად თქვა:
ეს პრეფერობა აიაქსის გულს ეფონება.

ო დ ი ს ე ე (განზე)

ხედავთ, როგორ სდუმს ამ უზომო ხოტბით დამტკბარი!

ა ი ა ქ ს ი

თუკი წავედი, მარტო მისთვის წავალ, რომ მუშტით
ჩამოვუწმინდო ამპარტავანს მისი ცხვირ-პირი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ოჰ, არა, არა, არ წახვიდე!

ა ი ა ქ ს ი

თუ ჩემს წინაშეც მოინდომა თავის გაბერვა,
ხელად დავფუშავ. მე ვუჩვენებ, ერთი გამიშვით!

უ ლ ი ს ე

არა, არაფრის გულისათვის არ შეიძლება!

ა ი ა ქ ს ი

ეგ თავხედი უქნარა, ეგა!

ნ ე ს ტ ო რ ი (განზე)

თავის თავზე ამბობს!

ა ი ა ქ ს ი

ზრდილობაც კი დაივიწყა!

უ ლ ი ს ე

ძაღლი ძაღლის ტყავსა ხევს!

ა ი ა ქ ს ი

მე მაგას სისხლს გამოვუშვებ და ისე მოვარჩენ![9]

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

თვითონ მოსარჩენია და ექიმობას კი აპირებს!

ა ი ა ქ ს ი

ყველა რომ ჩემი ჭკუისა იყოს...

უ ლ ი ს ე (განზე)

მაშინ ჭკვიანები გადაშენდებოდნენ!

ა ი ა ქ ს ი

განა ამის მოთმენა შეიძლება? მე მაგას შევაჭმევ, რაც ეკადრება!

ნ ე ს ტ ო რ ი (განზე)

ნახევარს შენ შეჭამ.

ულისე (განზე)

ათჯერ მეტს შენ შეგაჭმევს.

აიაქსი

მე მაგას მოვზელავ, კარგად დავარბილებ.

ნესტორი

ცოტა კიდევ შეუკეთეთ, რომ კარგად მოეკიდოს ცეცხლი, შეაქეთ, შეაქეთ, ცეცხლზე ნავთი დაუსხით.

ულისე (აგამემნონს)

ნუ დაღონდებით, ჩემო მეუფევ.

ნესტორი

ნუ, კეთილშობილო სარდალო, ნუ იზამ ამას.

დიომედე

აქილევსი რად გვინდა! უიმისოდაც კარგად ვიომებთ.

ულისე

განა არა გვყავს ჩვენ ვაჟკაცი მისი ბადალი?
აი, აქ არის, მაგრამ პირში არ მინდა ვაქო
და დუმილს ვარჩევ.

ნესტორი

მერე რატომ? განა არ ვიცით,
ამპარტავანი რომ არ არის აქილევსივით?

ულისე

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ის მისებრ შემძლეა.

აიაქსი

ჰაი, ის ძაღლიშვილი, ყველას რომ მასხრად გვიგდებს! ტროელი მაინც ყოფილიყო!...

ნესტორი

აბა, თქვით, რა ნაკლი მოეძებნება აიაქს!?

ულისე

ამპარტავანია განა?

დიომედე

ან ხოტბის მოტრფიალე?..

ულისე

ან თავპირი ჩამოსტირის?..

დიომედე

ან ახირებულია, ან თავის თავის მოყვარული?

ულისე

მართლაც, აიაქს, შენ ხარ ყოვლად კეთილზნიანი,
ღიდება უფალს და.მას, ვინც შენ მუცლად ჩაგსახა,
ღიდება მშობელს, ვინც გაწოვა ძუძუ უტკბესი,
ღიდება იმას, ვინც აღგზარდა და სამგზის კიდევ
დიდება თვითონ შენ, ვაჟკაცო სწორუპოვარო.
ის კი, ვინც ომის ხელოვნება შენ შეგასწავლა,
მართლაც ღირსია, რომ გაიყოს მარსის სახელი
და უკვდავება მარადისი. მხოლოდ მილონი,
რომელმაც ხარი დასძლია[10] და ქვე დაანარცხა,
მხოლოდ იგი თუ შეგედრება კუნთების ძალით.
მე არ შევაქებ შენს სიბრძნეს და გამჭრიახობას,
რაც ზღუდესავით შემორტყმია გონებას შენსას:
თვითონ ნესტორი აქ ბრძანდება, — ეს გამოცდილი,
მრავლის მნახველი ბერიკაცი, სიბრძნის სალარო.
მას ახლა მართლაც სიბრძნის მეტი სხვა რალა მართებს,
მაგრამ შენც უნდა მომიტევო, მამაო ნესტორ;
რომც ყოფილიყავ ახალგაზრდა აიაქსივით,
აიაქსს სიბრძნით მაშინაც კი ვერ აჯობებდი
და იქნებოდი მისი მსგავსი.

აიაქსი

ნება მიბოძე
მამა გიწოდო.

ულისე

რა თქმა უნდა, შვილო კეთილო.

დიომედე

აიაქს, უნდა მას მიენდო ამიერიდან.

ულისე

უნდა ვიჩქაროთ. აქილევსმა როგორც ირემმა
ტყეს მიაშურა. ახლა უნდა ჩვენმა სარდალმა
სამხედრო საბჭო მოიწვიოს საქმეთა განსჯად.
ტროას მოსულა შემწედ ბევრი ახალი მეფე,
ფიცხელი ომი მოგველის ხვალ, მტკიცედ ჰხამს დგომა.
აი, აქ არის ჩვენი გმირი და ჩვენი ბურჯი
ძალუძს დასძლიოს ყველა ქვეყნის რაინდი ურჩი.

აგამემნონი

წავიდეთ ბჭობად, აქილევსმა ძილს მისცა თავი,
მძიმე ხომალდი იძირება, წინ მიჰქრის ნავი.

(გადიან.)

მოქმედება მესამე

სურათი პირველი

ტროა. პრიამეს სასახლე.

შემოდიან პანდაროსი და მსახური.

პანდაროსი

ჰეი, ძმობილო! გესმის? ერთი სიტყვა მითხარი, გეთაყვა: შენ ხომ არ მისდევ უკან ჰაბუკ უფლისწულ პარისს?

მსახური

დიახ, ბატონო, როცა ის ჩემს წინ მიდის.

პანდაროსი

იმას ემსახურები-მეთქი? გეკითხები.

მსახური

ბატონო, მე ჩემს უფალს ვემსახურები.

პანდაროსი

დიახაც, კეთილშობილ ბატონს ემსახურები. ის მართლაც რომ ქება-დიდების ღირსია.

მსახური

დიდება უფალს!

პანდაროსი

ხომ მიცნობ, განა არ იცი, ვინა ვარ?

მსახური

დიახ, ბატონო, ცოტათი გიცნობ.

პანდაროსი

ძმობილო, უკეთ უნდა გამიცნო. მე ბატონი პანდაროსი გახლავარ.

მსახური

ამიტომ მაქვს თქვენზე პატივისცემა უკეთ გავიცნობ.

პანდაროსი

დიახ, ეგაა ჩემი სურვილი.

მსახური

თქვენი მოწყალება ბრძანდებით.

პანდაროსი

მოწყალებაო! არა, ძმობილო, პატივისცემა და ალმაცებულებაა ჩემი ხარისხები. (სცენის უკან მუსიკა ისმის.) ეს რა მუსიკაა?

მსახური

ბევრი არაფერი ვიცი, ბატონო, მუსიკოსები კი ბევრია.

პანდაროსი

იცნობ ამ მუსიკოსებს?

მსახური

სავსებით, ბატონო.

პანდაროსი

ვისთვის უკრავენ?

მსახური

მსმენელთათვის, ბატონო.

პანდაროსი

ვის საამებლად-მეთქი, ძმობილო?

მსახური

ჩემს საამებლად, ბატონო, და ავრეთვე იმათი, ვისაც მუსიკა უყვარს.

პანდაროსი

ვისი ბრძანებით უკრავენ-მეთქი, გეკითხები.

მსახური

რა ბრძანებაა, ბატონო, მე ვის რას ვუბრძანებ?

პანდაროსი

ძმობილო, მე და შენ ერთმანეთისა არაფერი გვესმის. მე, ვგონებ, ძალზე ზრდილი ვარ და შენ კი ძალზე ცბიერი. გეკითხები, ვისი მოთხოვნით უკრავენ-მეთქი ეს მუსიკოსები?

მსახური

ეს კი დიახაც გასაგებია, ბატონო. ჩემი ბატონის პარისის ბრძანებით უკრავენ. თვითონაც პირადად იქ ბრძანდება. მას თან ახლავს მოკვდავი ვენერა, სილამაზის მწვერვალი, სიყვარულის უხილავი სული.

პანდაროსი

რომელი, ჩემი დისწული კრესიდა?

მსახური

არა, ბატონო, ელენე, განა ვერ მიხვდით ჩემი აღწერილობის მიხედვით?

პანდაროსი

გეტყობა, ყმაწვილო, ქალბატონი კრესიდა არ გინახავს. მე პარისთან სალაპარაკოდ გამომგზავნა ბატონიშვილმა ტროილოსმა. გადაუდებელი საქმე მაქვს, მოსალაპარაკებელი, გაიგე?

მსახური

გადაუდებელი საქმე გქონიათ. ვეცნობ გავიგე თქვენი ნათქვამი.

(შემოდიან პარისი და ელენე ამალითურთ.)

პანდაროსი

მოგესალმებით თქვენ, ბატონიშვილო, და მთელ თქვენს ბრწყინვალე საზოგადოებას! გისურვებთ ბრწყინვალე სურვილებს, მათ ბრწყინვალე აღსრულებას და ბრწყინვალედ წარმართვას! განსაკუთრებით თქვენ, მშვენიერო დედოფალო!! ბრწყინვალე ფიქრები გქონოდეთ ბრწყინვალე ბალიშად!

ელენე

ბატონო ჩემო, თქვენ მთლად ბრწყინვალე სიტყვებად იფრქვევით.

პანდაროსი

თქვენდა საამებლად, საყვარელო დედოფალო. ბატონიშვილო, რატომ შეწყდა ეს მშვენიერი მუსიკა?

პარისი

თქვენ თვითონ შეგვაწყვეტინეთ, ბიძაჩემო, და გეფიცები, თქვენ თვითონ აღაღგენთ მას, თანაც უთუოდ თქვენს საკუთარსაც შეთხზავთ რასმე. ნელ[2], ეს კაცი მთლად ჰარმონიითაა აღსავსე.

პანდაროსი

არა, ქალბატონო, მართალი არ გახლავთ.

ელენე

ნუთუ, ბატონო?

პანდაროსი

გაუთლელი ვარ, გეფიცებით, ძალიან გაუთლელი.

პარისი

კარგი ნათქვამია, ჩემო ბატონო, პირდაპირ შეწყობილი ნათქვამი.

პანდაროსი

პატარა საქმე მაქვს ბატონიშვილთან, საყვარელო დედოფალო. ბატონიშვილო, ნება მიბოძე, ერთი სიტყვა მოგახსენო.

ელენე

არა, მაგით თავიდან ვერ მოგვიშორებ. ვერ უნდა თქვენი სიმღერა მოგვასმენინოთ.

პანდაროსი

თქვენ მეხუმრებით, ტკბილო დედოფალო, მაგრამ, ბატონიშვილო, ჩემი ძვირფასი მეუფე და მეგობარი, შენი ძმა ტროილოსი...

ელენე

ბატონო პანდაროს, თაფლივით ტკბილო პანდაროს!...

პანდაროს

კმარა, ტკბილო დედოფალო, კმარა. (პარისს.) დიდი სიყვარულით მოგმართავს და მავალებს მოგახსენო...

ელენე

არა, შენი სიმღერა არ მოგვაკლო, თორემ ჩვენი ნაღველი შენ დაგახრჩობს.

პანდაროსი

ტკბილო დედოფალო, ტკბილო დედოფალო. მართლაც რომ ტკბილი დედოფალი ხარ.

ელენე

და მერე ტკბილ ქალბატონს რომ აწყენინო, განა დიდი ცოდვა არ იქნება?

პანდაროსი

არა, მაგით ვერ მომთაფლავ. არა-მეთქი, ღმერთმანი, არა! მაგისთანა სიტყვებს არაფრად ვაგდებ. არა, არა, ბატონიშვილო, ტროილოსი გთხოვს, თუ ხელმწიფემ ვახშამზე მომიკითხა, შენ მომხადე ბოდიშიო.

ელენე

ჩემო პანდაროს...

პანდაროსი

რას მიბრძანებს ჩემი ტკბილი დედოფალი, ჩემი უტკბილესი დედოფალი?

პარისი

რა უდევს გუმანში? ამაღამ სად ვახშმობს?

ელენე

მაგრამ, ჩემო ბატონო პანდაროს...

პანდაროსი

რას მიბრძანებს ჩემი ტკბილი დედოფალი? (პარისს.) ჩემი დისწული გაგიწყრება. თვითონვე მოგეხსენება, სადაც ვახშმობს.

პარისი

სიცოცხლეს გეფიცები, იმ მაცდურ კრესიდასთან იქნება[3].

პანდაროსი

არა, არა, აგრე არ არის. ცდები. მაცდური ავადაა.

პარისი

კეთილი, ბოდიშს მოვხდი, რაღაცას ვიტყვი.

პანდაროსი

ძალიან კარგი, ბატონიშვილო, მაგრამ კრესიდა რამ მოგაგონა? არა, ის მაცდური ავადაა.

პარისი

ვხვდები.

პანდაროსი

რას ხვდები? ნეტავი, რას ხვდები? კეთილი, მომეცით საკრავი. აბა მიბრძანეთ, ტკბილო დედოფალო.

ელენე

აი, ეგ კი მომწონს.

პანდაროსი

ჩემი დისწული ერთ რაღაცაზე გიყდება, რაც თქვენ გეკუთვნით, ტკბილო დედოფალო.

ელენე

ის მისი იქნება, ჩემო ბატონო, თუ ეს ჩემი მეუღლე პარისი არ არის.

პანდაროსი

ესა? არა, ის მაგის მუშტარი არ არის. ის სხვისი ტყუპის ცალია.

ელენე

მაგისთანა ტყუპისგან შეიძლება მესამეც გამოვიდეს.

პანდაროსი

კმარა, კმარა, ეგ არ გამაგონოთ. ახლა კი სიმღერას გიმღერებთ.

ელენე

შენი ჭირიმე, შენი, პანდაროს. გეფიცები, ნამდვილად მშვენიერი შუბლი გაქვს.

პანდაროსი

დიახ, შესაძლებელია, შესაძლებელია.

ელენე

ოღონდ სიყვარულზე იმღერე, ყველას რომ გვანადგურებს, ო, კუპიდონო, კუპიდონო, კუპიდონო!

პანდაროსი

სიყვარულზეო? კეთილი, სწორედ აგრე ვიზამ, გეფიცები.

პარისი

დიახ, სიყვარულზე, სიყვარულზე; მარტო სიყვარულზე!

პანდაროსი

გეფიცები, ესეც სწორედ ასე იწყება.

(მღერის.)

სიყვარული, სიყვარული, მარტო სიყვარული!
სიყვარულის ისრის ზუზუნს უნდა უგდო ყური;
ერთნაირად დაიჭრება ხარირემი, ფური.
იმითი კი არ გაკვირვებს, რომ ჭრილობას გიჩენს,
არამედ შიგ იარაში გიღიტინებს თითებს.
მიჯნურებს რომ ყური უგდო, ყველა კვნესით კვდება,
სასიკვდილო ჭრილობაა, მართლაც გეგონება.
მაგრამ მალე სიცილი ცვლის იმათ ოხვრა-მოთქმას
ჰა-ჰა-ჰა ესმის შემდეგ მთელ ადამის მოდგმას.
ცოტა ოჰ-ოჰ--ს თან მოჰყვება ბევრი ჰა-ჰა-ჰა-ჰა,
ოჰ-ოჰ--ოჰ-ოჰ გადიქცევა მარტო ჰა-ჰა-ჰა-ჰად!
ჰეი-ჰო!

ელენე

შეყვარებულია, გეფიცებით, შეყვარებულია ცხვირის წვერამდე!

პარისი

მტრედების მეტს არაფერს გეახლება, ჩემო სიყვარულო, და სწორედ ეგ უხურებს სისხლს; გახურებული სისხლი კი გახურებულ აზრებს ბადებს, გახურებული აზრები — გახურებულ საქმეებს და გახურებული საქმეც — სიყვარულია.

პანდაროსი

ეგ არის სიყვარულის შთამომავლობა? გახურებული სისხლი, გახურებული აზრები და გახურებული საქმეები? ეგ ყველანი სულ იქედნებია და მაშ სიყვარულიც იქედნის ნაშობი ყოფილა, არა?[4] უფალო ჩემო, ნეტავ ბრძოლის ველზე ვიღაა დღეს?

პარისი

ჰექტორი, დეიფობოსი, ჰელენოსი, ანტენორი და ტროას მთელი მხედრობა. მეც მინდოდა იქ ვყოფილიყავი, მაგრამ აი, ჩემი ნელი არ მიშვებს. მაგრამ როგორ მოხდა, რომ არც ჩემი ძმა ტროილოსი წასულა?

ელენე

სადღაც გაეჭედა. შენ ეს კარგად მოგეხსენება, ბატონო პანდაროს.

პანდაროსი

არა ვიცი რა, უტკბესო დედოფალო. მინდა გავიგო, დღეს რა მოხდა. (პარისს.) ხომ არ დაგავიწყდება შენს ძმას ბოდიში მოხადო?

პარისი

ნუ გეფიქრება.

პანდაროსი

მშვიდობით, უტკბესო დედოფალო.

ელენე

შენს ძმისწულს მოკითხვა გადაეცი.

პანდაროსი

გადაეცემ, უტკბესო დედოფალო (გადის. ბრძოლის გაყრის საყვირი გაისმის.).

პარისი

ბრძოლის ველიდან ბრუნდებიან! პრიამეს დარბაზს
ჩვენც მივაშუროთ, ღირსეულად შევხვდეთ მეომართ.
ტკბილო ელენე, მინდა გთხოვო, ჰექტორს აბჯარი
შეხსნა ამ შენი მომხიბლავი ბროლის თითებით.
შესაკრავები მისი ურჩი შენს ბროლის თითებს
უფრო დაჰყვება, ვიდრე ფოლადს ან ბერძენთ ძალას,
შენ მეტი ძალგიძს, ვიდრე ყველა კუნძულის მეფეთ
ერთად აღებულთ. იარაღი აჰყარე ჰექტორს!

ელენე

მეამაყება კიდეც, ვიყო მისი მსახური,
თუკი მან ჩემი სამსახური არ დაიწუნა,
ეს ჩემს მშვენებას მიუმატებს კიდევ ერთ გვირგვინს
და ამით უფრო დაამშვენებს.

პარისი

როგორ მიყვარხარ, სატრფოვ, ფიქრით ვერც კი მიწვდები.

(გადიან.)

სურათი მეორე

იქვე, პანდაროსის ბაღი

სხვადასხვა მხრიდან შემოდიან პანდაროსი და ტროილოსი, მსახური ბიჭი.

პანდაროსი

რაო, სად არის შენი ბატონი? ალბათ ჩემს დისწულ კრესიდასთან, არა?

ბიჭი

არა, ბატონო, თქვენ გელოდებათ, რომ იქ მიიყვანოთ.

(შემოდის ტროილოსი.)

პანდაროსი

აი, ისიც მოდის. რაო, რა ამბავია?

ტროილოსი

აბა, ახლა კი წადი. (ბიჭი გადის.)

პანდაროსი

ჩემი დისწული ინახულე?

ტროილოსი

არა, პანდაროს, მისი კარის წინ ვიტრიალე,
ვით უცხო სულმა, გადაყვანას რომ ელოდება
სტიქსის ნაპირას[1]. შენ იყავი ჩემი ქარონი
და გამიყვანე საჩქაროზე გაღმა მინდვრებში[2],
რათა ზამპასის ყვავილებში ვიცურო ლაღად
ღირსეულთათვის რომ ყვავიან! ჩემო პანდაროს,
კუპიდონის მხრებს ჩამობრდღვენი ფერადი ფრთები
და ჩემთან ერთად გამოფრინდი კრესიდასაკენ.

პანდაროსი

შენ ბაღში დარჩი, მე წავალ და ახლავ მოვიყვან.

(გადის.)

ტროილოსი

თავბრუ მეხვევა თავგზას მიბნევს ეს მოლოდინი,
საყვარლის ხილვის წარმოდგენა ისე ტკბილია,
რომ ცნობას მართმევს. რა იქნება, როდესაც მართლაც
დავეწაღები სიყვარულის უწმინდეს ნექტარს?
ვშიშობ, მოვკვდები, დავირღვევი, გრძნობას დავკარგავ,
ან ისეთ მაღალ ნეტარებას შევუერთდები
შეუცნობელსა, დახვეწილსა და მიუღწეველს,
რაიც ამ უხეშ ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.
ვიშიშვი მეტად და ის კიდევ უფრო მაშინებს
რომ ვერ გავარჩევ სიხარულში განცხრომის გრძნობას,
ვით ცხარე ომში გაქცეულ მტერს კეპავენ ხოლმე
და ველარაფერს ველარ გრძნობენ.

(შემოდის პანდაროსი.)

პანდაროსი

ემზადება და ახლავე მოვა. ახლა გმართებს ჭკუა. ისე წამოწითლებულია და სუნთქვა ისე უჭირს, თითქოს ტყის სულისგან იყოს შეშინებული. წავალ და მოვიყვან. ძალიან ლამაზი ვინმე კია. ისე ფართხალებს, როგორც ახლად დაჭერილი ბეღურა. (გადის.)

ტროილოსი

ეგეთი გრძნობა ეუფლება სწორედ ჩემს გულსაც.
ცეებ-ცხელებით შეპყრობილის მსგავსად ცემს მაჯა,

ღონე მერთმევა, ამრევია გრძნობა-გონება,
როგორც ქვეშევრდომს მოკრძალებულს, თავის
ხელმწიფის
თვალთა შემყურეს.

(შემოდის პანდაროსი კრესიდასთან ერთად.)

პანდაროსი

კარგი, კარგი, კმარა, რა გაწითლებს? სირცხვილი ბავშვობაა. (ტროილოსს.) აი, კრესიდა აქ არის. აბა, ერთი ახლა ამასაც შეჰფიცე, რასაც მე მეფიცებოდი. (კრესიდას.) აბა, სად გარბიხარ? კაცს სულ თვალი უნდა ეჭიროს შენზე, სანამ არ მოთვინიერდები. გონს მოდი, გონს მოდი, უკან-უკან ნუ იწევ, თორემ ხელნაში ჩაგსვამთ. (ტროილოსს.) რას გაჩუმებულხარ, რატომ არაფერს ეუბნები. (კრესიდას.) ჩამოიხსენი ეგ ფარდა და დაგვანახვე შენი სურათი. ვაი, რომ დღეა და ორივეს გეშინიათ დღის სინათლისა. აბა, ერთი ღამე იყოს, როგორ სასწრაფოდ დაუახლოვდებოდით ერთმანეთს. აგრე, აგრე, წინ წადექი და აკოცე ქალბატონს. კალატოზს სახლი ავაშენებინოთ. აქ კარგი ჰაერია. გულები ერთმანეთს შეუთანხმეთ, თორემ ახლავე გავყრით. შავარდენი იმისია, რომ იხვებს დაუფრთხოს ძილი მდინარეში. აბა, დაიწყეთ, დაიწყეთ-მეთქი.

ტროილოსი

სიტყვა წამერთვა შენს შემხედვარეს, ქალბატონო.

პანდაროსი

სიტყვით ვალს ვერ გადაიხდი, საქმეა საჭირო, საქმე. მაგრამ გეტყობა, საქმის უნარიც წაგართვა მაგის შეხედვამ და ვაითუ ველარაფერი მოახერხო. რაო, კიდევ ვერ მორიგდით? მე გიკარნახებთ, ვექსილში როგორ წერენ ხოლმე: „იმის დასტურად, რომ ორივე მხარე ურთიერთშეთანხმებით“... შინ შედით, შინ შედით, მე კი წავალ და ცეცხლს დაგინთებთ! (გადის.)

კრესიდა

შემობრძანდებით შინ, ბატონიშვილო?

ტროილოსი

ოჰ, კრესიდა, რამდენჯერ მინატრია ეგ!

კრესიდა

გინატრია, ბატონიშვილო? ღმერთებმა გიწყალობონ, ო, ბატონიშვილო.

ტროილოსი

რა მიწყალობონ? რატომ აღარაფერს ამბობ, რა მომხიბლავად გაჩუმდი? ნალექი რამ ხომ არ შენიშნა ჩემმა საყვარელმა ჩვენი სიყვარულის წყაროში?

კრესიდა

ნალექი წყალზე მეტია, თუ ჩემს შიშს თვალი არ დაბრმავებია.

ტროილოსი

შიში ანგელოსს ეშმაკად მოგაჩვენებს, შიში ყოველთვის ბრმაა.

კრესიდა

ბრმა შიში, რომელსაც თვალხილული გონება მიუძღვის, უფრო უშიშარ გზას მიაგნებს, ვიდრე ბრმა გონება, რომელიც უშიშრად მიაბიჯებს ბორძიკით. უარესის შიში ხშირად უარესისგან გიხსნის.

ტროილოსი

ო, ჩემს ქალბატონს შიში ნურაფრისა აქვს. კუპიდონის ამალაში საშინელი ურჩხული არ ურევია[3].

კრესიდა

და არც არაფერია საშინელი?

ტროილოსი

არაფერი, გარდა ჩვენივე სიტყვებისა, როდესაც ვიფიცავთ ცრემლის ზღვას დავლვრითო, ცეცხლში ჩავდგებითო, კლდეებს დავღეჭავთო, ვეფხვებს მოვათვინიერებთო. ახე გვგონია, ჩვენს ქალბატონს უფრო უჭირს რამე განსაცდელი გამოვგვიგონოს, ვიდრე ჩვენ — ამ განსაცდელის დაძლევა. აი, ეს არის სიყვარულის საშინელება, ქალბატონო, რომ ჩვენი ნება-სურვილი განუზომელია და ძალ-ღონე კი — შეზღუდული, წადილი უსაზღვროა და საქმე კი მონაა ზღვარისა.

კრესიდა

ამბობენ, ყველა მიჯნური იმაზე მეტის ჩადენას იფიცება, რაც ნამდვილად შეუძლიაო, ათი კაცის საქმეს შევასრულებო — ამბობს, და იმის მეათედსაც არ ასრულებს, რაც ერთ კაცს ძალუძს, კაცი რომ ლომის ხმით ლაპარაკობს და კურდღელივით იქცევა, განა საშინელება არ არის?

ტროილოსი

განა ეგეთები არიან? არა, ჩვენ არა ვართ ეგეთი. შეგვაქეთ, როგორც დავიმსახურებთ, დაგვაფასეთ, როგორც თავს გაჩვენებთ. თავშიშველი ვივლით, ვიდრე გვირგვინის ღირსი არ გავხდებით. ნუ გვაქებთ დღეს იმისათვის, რაც ხვალ უნდა ჩავიდინოთ, და როცა ჩავიდენთ, მცირე სახელით მოიხსენიეთ. ცოტას გეტყვი, მაგრამ გულწრფელად: ტროილოსი ისეთი იქნება კრესიდასათვის, რომ მარტო შური თუ დასცინებს მის სიმართლეს. რასაც სიმართლე იტყვის, ტროილოსის მართალ სიტყვაზე უფრო მართალი არ იქნება.

კრესიდა

შემობრძანდებით შინ, ბატონიშვილო?

(ბრუნდება პანდაროსი.)

პანდაროსი

რაო, ჯერ კიდევ წითლდებით? ჯერ კიდევ ვერ მოილაპარაკეთ?

კრესიდა

იცი რა, ბიძაჩემო, რა სისულელესაც კი ჩავიდენ, ამიერიდან ყველაფერს შენ დაგაბრალებ.

პანდაროსი

დიდი მადლობა მომიხსენებია. თუ ბიჭი გამოგვიყიდათ, ჩემს კისერზე იყოს მისი გაზრდა. ბატონიშვილის ერთგული იყავი და თუ მაგან გიღალატა, ეგეც მე დამაბრალე.

ტროილოსი

ესეც შენი საწინდარი: ბიძაშენის სიტყვა და ჩემი მტკიცე ერთგულება.

პანდაროსი

მე ქალის თავდებიც ვიქნები. ჩვენი მოდგმის ქალები დიდხანს ჯიუტობენ, მაგრამ როცა გათხოვდებიან, ერთგულები ხდებიან ხოლმე. ერთი თუ მოგეწეპნენ, მერე ველარ მოიცილებ.

კრესიდა

გამბედაობა დამიბრუნდა, მომეცა გული,
გამოგიტყდები, უფლისწულო: შენს სიყვარულში
მრავალი ღამე თავზე თეთრად დამთენებია.

ტროილოსი

მაშ რატომ იყო ესდენ კუშტი ჩემი კრესიდა?

კრესიდა

კუშტს ვგავდი მხოლოდ, ნამდვილად კი მყის დაგემონე,
ოდეს პირველად შემომხედე. აწ მომიტევე:
თუ მეტისმეტად ბევრი გითხარ, ვაითუ
ჩემსავ მჩაგვრელად და მტარვალად გადაგაქციო.
ძლიერ მიყვარხარ, ისე ძლიერ, რომ აღარ ძალმიძს
დაგძლიო გრძნობა, მაგრამ არა, ვცრუობ ნამდვილად!
ჩემი ფიქრები თავაშვებულ ბავშვებს მაგონებს,
სულ მინდა თავი მოვუყარო და ვერ ვახერხებ.
შემხედე სულელს — გავკრეფილვარ ცარიელ ენად!
ვინ გვეერთგულოს, აბა, მითხარ, თუკი ჩვენ თვითონ
ვართ საკუთარი საიდუმლოს ცუდად გამცემი?
მიყვარდი ძლიერ, შენს ნახვას კი არ დაეძებდი,
ოღონდ ვნატრობდი — მამაკაცად ვეშვი განგებას,
ანდა ქალისთვის მიეცა მას კაცის უფლება
დაგეესწრო თავის სიყვარულის გამოცხადება.
მიბრძანე, სატრფოვ, დაჭირე კბილი ენას-თქო,
თორემ ვინ იცის, რა არა ვთქვა, რა წამოვროშო,
და მერე თვითვე გავიხადო სანანებელი.
აი, უყურე, ეგ მაცდური შენი დუმილი
მე მაიძულებს არ დავმალო ჩემი სისუსტე
და ჩემი სულის საიდუმლო გამოგიმჟღავნო —
ბატონიშვილო, დაადუმე ჩემი ბაგენი.

ტროილოსი

სწორედ აგრე ვიქმ, თუმც მუსიკა გადმოჩქეფს მათგან.

(პკოცნის.)

პანდაროსი

კარგია, კარგი.

კრესიდა

ბატონიშვილო, გეყვედრები, ეს მომიტევო.
სულ არ მინდოდა რომ მეთხოვნა, მაკოცე-მეთქი,
მრცხვენია! ღმერთო, ეს რა ვქენი, რა ჩავიდინე!
ბატონიშვილო, წავალ, აქ არ დამედგომება.

ტროილოსი

რაო? წახვიდე, საყვარელო ჩემო კრესიდა?

პანდაროსი

წახვიდე? არა, ხვალ დილამდე ველარსად წახვალ.

კრესიდა

გემუდარები!

ტროილოსი

რა გეწყინა, ჩემო კრესიდა?

კრესიდა

ჩემმავე თავმა მაწყენინა, ბატონიშვილო.

ტროილოსი

მერე და შენს თავს მაინც ვერსად ვერ გაექცევი.

კრესიდა

მე მაინც მინდა წავიდე და ეცადო გაქცევა.
ერთი ნაწილი ჩემი მაინც შენთან დარჩება,
რომელმაც უკვე მიმატოვა და შენ დაგიდგა
ყურმოჭრილ მონად. კარგი იყო წავსულიყავი.
ჭკუა დავკარგე, აღარ ვიცი, რაებსა ვროშავ.

ტროილოსი

ვინც ბრძნულად მსჯელობს, იმან იცის კარგად რას ამბობს.

კრესიდა

ბატონიშვილო, იქნებ ვცრუობ და მოხერხებით
მინდა დავტყუო, რა აზრები გიწყვია გულში

და ამ განზრახვით მოგახსენე ეს აღსარებაც.
მინდა შევიტყო, უვნური ხარ, თუ გონიერი,
ან თუ გიყვარვარ, რადგან სიბრძნე და სიყვარული
კაცის ძალ-ღონეს ჭარბობს ერთად, — არც შეედრება
და მხოლოდ ღმერთებს გააჩნიათ ამის შეძლება.

ტროილოსი

ოჰ, რომ შეეძლოს ქალს თავისი ტრფიალის ალი, —
გრძნობის სანთელი ენთოს მარად ჩაუქრობელი
და მიიტანოს სიყვარული და ერთგულება
სიჭაბუკიდან სიბერემდე, ანდა მშვენების
დაჭკნობის შემდეგ სიყვარული კვლავ აღორძინოს,
როდესაც სისხლის მღელვარება დაცხრება ძარღვში.
ან გული მაინც მარწმუნებდეს, რომ ჩემს სიმარტლეს
და ერთგულებას, საყვარელო, ჩემსას შენდამი,
სიყვარულს ჩემსას, გულუბრყვილოს და უანგაროს
თავისი ზომით შეედრება გრძნობები შენი, —
მე ფრთებშესხმული ავიწევდი მაღლა ზეცაში!
მაგრამ ვაგლახ, რომ მიამიტი ვარ, ვით სიბრიყვე,
ყრმა სიმართლეზე უფრო მეტად გამოუცდელი.

კრესიდა

აი, მაგაში კი უთუოდ შეგედავები.

ტროილოსი

ეჰა, დავაო უფლებას და უფლებას შორის!
ვის უნდა ჰქონდეს ჩვენ ორს შორის მეტი უფლება!
დაე, იფიცოს ტროილოსის სახელი მარად
შთამომავლობამ და უპტკიცოს თავის სატრფოებს
დაუსრულებლად ერთგულება ამ შედარებით.
სთქვან, ერთგული ვარ ვით ფოლადი, ვით მთვარის
მიმართ
მცენარეები, ვით ღვის მიმართ ნათელი ღვისა,
ვით დედა-გერიტი ერთგულია თავისი მამლის,
ვით დელამიწა-თავის ღერძის, მაგნიტის — რკინა.
მაგრამ თუ მაინც შედარება შემოელია
ღა ერთგულების სახეობა ვერ მოიგონა,
მარტო ესა თქვას, „ერთგული ვარ ტროილოსივით“
და ეს სიტყვები ყოველგვარი ერთგულების ფიცს
დააგვირგვინებს.

კრესიდა

ეგებ შენ ხარ წინასწარმთქმელი!
თუ გიღალატო და სიმართლეს ვადავუხვიო,
დრო რომ გაეა და ყოველივეს თვალს მოაფარებს,
როდესაც წვიმა დაშლის ტროას ციხე-ვალავანს,
ბრმა დავიწყება ულმობელად შთანთქავს ქალაქებს
და მძლავრ სამეფოთ მტვრად აქცევს და წაშლის ერთიან,
დაე, იცოცხლოს მაშინ ჩემი ღალატის ხსოვნამ
სხვა მოღალატე ქალთა შორის კიღით კიღემდე,
და თქვან, რომ იყო კრესიდაო ისე ვერაგი,
როგორც ჰაერი, როგორც წყალი, ქარი და ქვიშა.
მელა და მგელი კრავისა თუ მცირე ხბოს მიმართ,
უწყალო როგორც ფურირემის მდევარი ჯიქი,
ან გერის მიმართ ულმობელი დედინაცვალი.
დიახ, ღალატის და სიცრუის აღსანიშნავად
თქვან, „ცრუ არისო ვით კრესიდა“.

პანდაროსი

ჰოდა, ეტყობა მორჩენ კიდეც! ბარემ ბეჭედიც დაარტყით, ბეჭედიც დაარტყით. მე მოწამე ვიქნები. ხელი მომეცი, ბატონიშვილო, შენც, ჩემო დისწულო. თუკი ოდესმე ერომანეთს უღალატოთ, მას შემდეგ, რაც მე ამდენი ჯაფა გავწიე, რომ ერთად შემეყარეთ, მაშინ ყველა უბედურ მაჭანკალს სულ ჩემი სახელი აძახონ ქვეყნის აღსასრულამდე — ყველას პანდაროსი დაარქვან; ყველა ერთგულ მიჯნურს — ტროილოსი, ყველა მოღალატე ქალს — კრესიდა და ყველა მაჭანკალს — პანდაროსი. თქვით ამინ.

ტროილოსი

ამინ!

კრესიდა

ამინ!

პანდაროსი

ამინ. ახლა კი ერთ ოთახს გაჩვენებთ. იქ ერთი ტახტია. იმ ტახტმა რომ არაფერი ილაპარაკოს თქვენს მომხიბლავ შეჭიდებაზე, რაც შეგიძლიათ მაგრად დააწექით. აბა, წავიდეთ!

დე, კუპიდონმა მოუელინოს უენო ქალებს ოთახიც, ტახტიც, მაჭანკალიც თქვენსავით მალე!

(გადიან.)

სურათი მესამე

ბერძენთა ბანაკი

შემოდიან აგამემნონი, ულისე, დიომედე, ნესტორი, აიაქსი, მენელაოსი და კალხასი.

კალხასი

დიდებულებო, დადგა ჟამი და მიკარნახებს
ხმამაღლა გთხოვოთ გასამრჯელო სამსახურისთვის,
რაც გავწიეთ. თქვენ თვითონვე მოგეხსენებათ,
რომ მომავალი მე განეჭვრიტე წინასწარულად
და ამის გამო მივატოვე ქალაქი ტროა,
დავთმე ყოველი, რაც გამაჩნდა და მოღალატის
სახელი ვირგე დანაკარგის სამაგიეროდ.
საეჭვო ბედზე გადავცვალე მდგომარეობა,
რომელსაც ვიყავ შეჩვეული დიდი ხანია.
დავაგდე სახლი, მეგობრები, ყველა პატივი,

რაც ჩემს ბუნებას შეჰფეროდა და მქონდა კიდეც.
თქვენს სამსახურში გარდავიქმენ ახალ არსებად
და ყველასათვის უცნობი და უცხო შევიქენ.
გემუდარებით, ახლა მაინც წყალობის თვალით
გადმომხედოთ და აღმისრულოთ მცირე ნაწილი
იმ სიკეთისა, გასამრჯელოდ რასაც დამპირდით.

აგამემნონი

რაო, რას ითხოვ, თქვი, ტროელო, ნუ გერიდება.

კალხასი

გუშინ ტროელი შეგიპყრიათ სარდალი ერთი
და ამა სარდალს ანტენორი ჰქვია სახელად.
ტროას ის მეტად ძვირად ულირს. ხშირად გიცდიათ, —
და მეც ამიტომ ხშირად მითქვამს თქვენთვის მადლობა. —
ჩემი კრესიდა გამოგეხსნათ ტყვეთა სანაცვლოდ,
მაგრამ უარით გისტუმრებდათ ყოველთვის ტროა.
ანტენორი კი, კარგად ვიცი, ისე სჭირდებათ,
რომ ტროელები აღარაფერს დაიშურებენ,
რათა დაიხსნან ტყვეობისგან. რომ ჰოითხოვოთ,
პრიამეს შვილი მოგვეციოთო, უფლისწულსაც კი
გაიმეტებენ, ანტენორი იმდენად უღირთ.
დიდნო მეფენო, ის გაგზავნეთ, გემუდარებით,
და ეგებ ამით ჩემი ქალი გამოისყიდოთ.
კრესიდას მოსვლა მთლად დაჰფარავს ჩემს გასამრჯელოს
ყოველივესთვის, რაც კი თქვენთვის ჩამიდენია.

აგამემნონი

ეს დიომედეს დავავალოთ, მან მიუყვანოს
მტერს ანტენორი და მოგვგვაროს ნაცვლად კრესიდა.
კალხასს ჩვენ უნდა შევუსრულოთ, რასაც მოითხოვს.
მაშ, დიომედე, ტყვეთა გაცვლა შენ გაარიგე
და გადაეცი ისიც, რომ თუ ჰექტორი გვიწვევს
ორთა ბრძოლაში, აიაქსი მზად არის შეხვდეს.

დიომედე

ამას ყველაფერს აღვასრულებ; ვამაყობ კიდეც,
რომ ასეთი რამ დამავალეთ.

(გადიან დიომედე და კალხასი. აქილევსი და პატროკლე გამოდიან თავიანთი კარვიდან.)

ულისე

თავისი კარვის შესასვლელთან დგას აქილევსი,
კარგი იქნება, თუკი ჩვენი მთავარსარდალი
ისე ჩაუვლის, თითქოს იგი აღარც კი ახსოვს.
თქვენც ცალი თვალით გადახედეთ უყურადღებოდ.
მე ჩამოგრჩებით და როდესაც კითხვას დამიწყებს,
რით აიხსნება მათი თვალის არიდებაო,
მე ისეთ წამალს მივაწოდებ, რომ თქვენი ქცევაც
და საკუთარი სიამაყეც, უმართებულო,
თვით შეაზავოს და დალიოს თავისი ნებით.
ძალიან არგებს: საკუთარ თავს ნახავს სარკეში,
ამპარტავნებას დაანახვებს ამპარტავნება,[1]
თორემ დათმობით თავს გაუვა უფრო, თაენებას.

აგამემნონი

ამ რჩევას უნდა დავუჯეროთ და ჩავუაროთ
ამაყ აქილევსს უცნაური ისეთი სახით,
თითქოს ვერც ვამჩნევთ და არავინ არ მიესალმოს,
ან მივესალმოთ ძალზე ცივად. ეს კიდევ უფრო
მეტ წყენას მოჰგვრის. მე წინ წავალ და თქვენ მომყევით.

აქილევსი

სალაპარაკოდ მოდის ისევ მთავარსარდალი?
განა არ ვუთხარ, ტროას მეტად არ ვებრძვი-მეთქი?

აგამემნონი

რაო, რა გვითხრა? სათხოვარი თუ აქვს რაიმე?

ნესტორი

ბატონო ჩემო, მთავარსარდალს ხომ არაფერს თხოვთ?

აქილევსი

არა, არაფერს.

ნესტორი

არაფერსა გთხოვთ აქილევსი, ჩემო ხელმწიფევ.

აგამემნონი

მით უკეთესი.

(აგამემნონი და ნესტორი გადიან.)

აქილევსი

გამარჯობა, გამარჯობა.

მენელაოსი

გაგიმარჯოს.

(გადის.)

აქილევსი

ვგონებ რქოსანმა ყურადღებაც არ მომაქცია.

აიაქსი

რასა იქმ, პატროკლე?

აქილევსი

დილა მშვიდობისა, აიაქს!

აიაქსი

რაო?

აქილევსი

დილა მშვიდობისა.

აიაქსი

დიახ, და ხვალაც მშვიდობის დღე იქნება ალბათ.

(გადის.)

აქილევსი

რა დაემართათ? აქილევსი ვეღარ უცვნიათ?

პატროკლე

უცხოებივით ჩაგიარეს ამპარტავნულად!
წინათ კი ღიმილს და თავდაბრას არ იშურებდნენ,
ძლივს გიბედავდნენ ფეხაკრეფით მოახლოებას
და როგორც წმინდა საკურთხევლის წინაშე თრთოდნენ.

აქილევსი

რაო, დავგლახდი ვითომ ასე, საბრალო გავხდი?
ვიცი, თუ ბედმა ერთხელ მაინც კაცს უღალატა,
მას სხვებიც უმალ ღალატობენ. თავის დაცემას
სხვების თვალებში კაცი უმალ ამოიკითხავს,
ვიდრე იგრძნობდეს, თურმე თავად რომ დაცემულა.
მხოლოდ ზაფხულში დაფრენს კაცი პეპელასავით;
კაცში კაცურის დაფასება არ გვეხერხება;
პატივს ვცემთ მხოლოდ მის პატივს და მდგომარეობას,
სიმდიდრეს, სახელს და დიდებას, რაც მოუხვეჭავს,
ვითარცა ჯილდო ბრმა შემთხვევის წყალობით მარტო.
ოდნავ თუ ფეხი დაგიცურდა, ის სიყვარულიც,
რაც ისევ შენვე გეყრდნობოდა ფეხზე დგომის ჟამს,
წონასწორობას კარგავს და ძირს ეცემა მკვდარი.
მაგრამ ეს ჩემი ბედ-იღბალი არ უნდა იყოს!
მეგობრები ვართ მე და ბედი. ყველაფერი მაქვს,
ჩემი უფლებაც, რაც აქამდე მე მეკუთვნოდა,
გარდა ამ ხალხის თვალებისა. რა ნახეს ნეტავ
ჩემში ისეთი, რომ პატივი აღარ მომაგეს,
წინათ რომ ხშირად და გულუხვად გასცემდნენ ხოლმე.
აგერ ულისეც აქეთ მოდის, წერილს კითხულობს,
შევაწყვეტინებ და მას ვკითხავ, ჰეი, ულისე!

ულისე

დიდი თეტიდეს ვაჟიშვილო, სალამი შენდა!

აქილევსი

წერილს კითხულობ?

ულისე

ერთი კაცი ახირებულა
და მწერს: „კაციო, ვისაც ნიჭი დაჰყვაო უხვად,
შინაგანად თუ გარეგნულად მდიდარიცაა,
თავის ღირსებას იგი მაინც ვერ დაიკვეხნის
და ვერც შეიცნობს, ვიდრე სხვას არ გაათბობს იმით.
და ამ ღირსებით გამთბარი და განათებული
სხვა დაუბრუნებს თავის სითბოს მის პირველ წყაროს“.

აქილევსი

მერე და ეგ ხომ საკვირველი არ არის სულაც!
სილამაზეც კი, რომელიც ჩვენს სახეს ამშვენებს,
მის პატრონს მხოლოდ სხვისი თვალით ძალუძს იხილოს
და თვითონ თვალიც, სრულყოფილი შეგრძნების სული,
ვერ დაინახავს საკუთარ თავს სხვების გარეშე.
როდესაც კაცის თვალი ხვდება სხვა კაცის თვალებს,
იგი სხვის თვალში თავის სალამს ამოიკითხავს.
თვით შემეცნებაც არ მიმართავს მანამ თავის თავს,
ვიდრემდე სხვაში არ იპოვის თავის ანარეკლს[2].
ეს ყოველივე საკვირველი სულაც არ არის.

ულისე

არც მე ვაპირებ შევედავო მაგნაირ აზრებს,
ეგ ცნობილია, მაგრამ, აი, წერილის დამწერს
სურს დაგვიმტკიცოს სათანადო დასაბუთებით,
რომ არაფერი გააჩნია კაცს საკუთარი
და სრულად ვერ ფლობს იგი თავის ვერც ერთ ღირსებას,
ამა ღირსების ნაწილი თუ სხვას არ გადასცა.
მან საკუთარი თავის ფასიც არ იცის სრულად,
ვიდრე სხვა, მისი დამნახავი, ტაშს არ დაუკრავს,
ვით შეძახილზე გამოძახილს გამოსცემს თაღი,
ან ვით ფოლადი აირეკლავს მზეს და გვიგზავნის
უკანვე მზისგან მინიჭებულ სახეს და სითბოს.
ღრმად ჩავუფიქრდი ყოველივე ამას და მაშინ
თვალწინ დამიდგა აიაქსი, უცნობი ჯერაც.
ღმერთო, რა კაცი, რა კაცია, ნეტავ იცოდეთ!
რა ღირსებები გააჩნია, ამ შეუხედავს,
თვალად უგვანოს, საქმეში კი შეუდარებელს!
ზოგს კი უღირსად მიეგება დიდი პატივი,
თუმც უქნარაა და არავის არგია საქმით.
აი, ხვალ ნახავათ, რასაც იზამს, ხვალ გადაწყდება
მისი ბედი და აღიარებს აიაქსს ყველა.
ღმერთო, რას არ იქმს ზოგი კაცი, ზოგიც არას იქმს,
ზოგი ჟინიან ფორტუნას შინ შეეპარება,
ზოგი კი მასვე აგდებული ჰყავს სასაცილოდ.
ერთი მეორის სიამაყით საზრდოობს ზოგჯერ,
თუ სიამაყეს ახლავს კიდეც უზრუნველობა.
შეხედე ბერძენ დიდებულებს! ყველა მათგანი
უხეშ აიაქსს მეგობრულად ურტყამს ხელს მხარზე,
თითქოს ჰექტორის მკერდზე ედგას მას უკვე ფეხი
და დიდი ტროა შეემუსროს შეძრწუნებული.

აქილევსი

მჯერა, რაცა თქვი; ჩამიარეს მათ გვერდით ისე,
თითქოს გლახაკი ვყოფილიყავ; არც კარგი სიტყვა
და არც შეხედვა არ მაღირსეს. მაშ დაივიწყეს,
რაც კი საგმირო საქმე მათთვის ჩამიდენია?

ულისე

ზურგზე ჰკიდია დროს, ბატონო, ისეთი ჩანთა,
რაშიც აგროვებს მოწყალებას დავიწყებისთვის[3].

უმადურობის ურჩხულია ეს დავიწყება,
დიდი და ხარბი; განურჩევლად ნთქავს ყოველივეს.
ყოველი საქმე დავიწყებას ეძლევა სწრაფად,
ძლიევს დამთავრებას რომ მოასწრებს. ამიტომ მტკიცე
ადამიანი უფრთხილდება საკუთარ სახელს
და ფერავს ხოლმე, აპრიალებს როგორც საჭურველს,
რომ არ მოედოს დავიწყების ჟანგი უწყალო:
გასართობად თუ გამოდგება უანგმოდებული!
უფრთხილდი სახელს, რადგან იგი ვიწრო გზით მიდის.
სადაც მეორე ძლიესძლიერობით თუ გაეტევა;
გზა შენ გეჭიროს და გახსოვდეს, მეტოქეობას
ათასი შვილი ჰყავს ზედიზედ დადევნებული.
გზა თუ დაუთმე, ანუ გვერდზე გადაუხვიე,
მომართულება თუ დაკარგე, — როგორც ზღვის ზვირთი
შემოვარდება მოქცევის ჟამს და თუ გიხელთა,
დაგტოვებს უკან.
წინ გამოსული თუ დაეცა მამაცი რაში,
გადასთელავენ მას უკანა რიგები სწრაფად
და გაასწრებენ. თუნდაც საქმე ამჟამინდელი
ჩამორჩებოდეს ბევრად საქმეს, ადრე ჩადენილს,
მაინც დაჩრდილავს ის წინანდელს. დრო ჰგავს
მასპინძელს,
ხელს რომ უნდილად ჩამოართმევს მიმავალ სტუმარს
და მომავალს კი მკლავგაშლილი იხუტებს გულში.
დახვედრა მარად მღიმარეა. განშორებას კი
მუდამ თავპირი ჩამოსტირის. მაშ, ნუღარ ვეძებთ
ჩვენც გასამრჯელოს გარდასული დიდებისათვის.
გონიერება, სილამაზე, გვარიშვილობა,
სიმამაცე თუ ერთგულება სამსახურის ჟამს,
სიყვარული თუ მეგობრობა, გულმოწყალება,
ეს ყოველივე შურიან და ცილისმწამებელ
დროს ემონება. თითქოს მთელი კაცობრიობა
ბუნებამ ერთში დაამგვანა ერთიმეორეს:
ყველა ერთგვარად ხოტბას ასხამს ყოველგვარ ახალს,
თუმცა ახალი ძველისაგან არის შექმნილი.
უფრო აქებენ ოქროსფერად მოოჭვილ ტალახს,
ვიდრე ტალახში ამოვლებულ ბაჯაღლო ოქროს.
თვალი ადიდებს მხოლოდ იმას, რასაც ის ხედავს.
ნუ გაგაკვირვებს ნურც შენ, დიდო ადამიანო,
თუ დღეს აიაქსს ხოტბას ასხამს ყველა ბერძენი.
რაც თვალწინ ელავს, უმალ ამჩნევს მას კაცის თვალი,
ვიდრე უძრავ ნივთს. ოდესღაც ხომ ეს ჟრიამული
შენს ირგვლივ იდგა და კვლავ ძალგიძს ასტეხო იგი,
თუკი არ გინდა შენი თავის ცოცხლად დამარხვა,
შენი სახელის გამოკეტვა ამ შენს კარავში.
შენმა ბრწყინვალე საქმეებმა ამ ბრძოლის ველზე
თვით ღმერთებიც კი შეაჯიბრა ერთიმეორეს
და დიდი მარსი საბრძოლველად გამოიწვია[4].

აქილევსი

განდგომისათვის მიზეზებიც მქონდა საკმაოდ.

ულისე

მაგრამ განდგომის წინააღმდეგ უფრო მეტი გაქვს.
ქვეყანამ იცის, რომ აქილევსს უყვარს პრიამეს
ერთი ასული[5].

აქილევსი

რაო, რა თქვი? ქვეყანამ იცის?

ულისე

და განა გიკვირს? სახელმწიფოს მოდარაჯე თვალს
ძალუძს დათვალოს მარცვალ-მარცვალ პლუტოსის
ოქრო[6],
უძირო სიღრმეს, მიუწვდომელს, უპოვოს ძირი,
ჩასწვდეს სხვის ფიქრებს და აგვიხსნას ღმერთების
მსგავსად
მათი წარმოქმნა და წარმოქმნის მათის მიზეზი.
სახელმწიფოს სულს გააჩნია იდუმალი რამ,
(რაშიც ვერავინ ჩაერევა[7]), რომლის შორსმჭვრეტელ
ქმედებას ვერვინ გამოხატავს სიტყვით ან კალმით.
ურთიერთობა, რაც ტროასთან შენ გაგიმართავს,
ისე გვეხება ჩვენ, როგორც შენ, ჩემო ბატონო,
და აქილევსსაც უფრო მეტად შეეფერება,
თუ დაამარცხებს პოლიქსენას კი არა, — ჰექტორს.
ჭაბუკ პიროსსაც[8] შეაწუხებს შენი ამბავი,
როცა ეს ჭორი ჩვენს კუნძულებს მიაღწევს ბოლოს
და იმღერებენ ამ სიმღერას ბერძნის ქალები!
„დაემონაო აქილევსი ჰექტორის დასა,
აიაქსმა კი ვაჟკაცურად ჰექტორი დასცა“:
მშვიდობით! შენმა სიყვარულმა მალაპარაკა,
ყინულზე დგახარ, ნუ ჩატეხავ, ბრიყვი არა ხარ.
(გადის.)

პატროკლე

მეც ხომ, აქილევს, სწორედ მაგას გეუბნებოდი,
ქალურ სინაზეს მოკლებული ვინმე დიაცი
უფრო ნაკლებად შესაზიზღიც კი არის, ვიდრე
განაზებული მამაკაცი მოქმედების ჟამს.
უმოქმედობას შენსას, ვიცი, მეც მაბრალებენ,
რადგან იციან, რომ მე ომი დიდად არ მიყვარს,
და ვითომ ჩემი ხათრის გამო აღარც შენ ომობ.
ამიტომ აღსდეგ, მოიშორე ეგ კუპიდონი,
ნაზი მკლავებით კისერზე რომ მოგეხვიდებია,
ლომის ფაფარი შეიბერტყე და განაბნიე
ვით დილის ცვარი.

აქილევსი

აიაქსი მაშ ჰექტორს ებრძვის?

პატროკლე

დიახ, და იქნებ მოიხვეჭოს კიდეც სახელი.

აქილევსი

ჩემი სახელი საფრთხეშია, აშკარად ვატყობ.

პატროკლე

კაცი თავის თავს როცა დასჭრის, ძნელია შველა.
არ იკურნება გაჩენილი შენგანვე წყლული.
როდესაც იმას არ აკეთებ, რაც საჭიროა,
საშიშროება თავს წამოყოფს დაუყოვნებლივ
და ვით სხეულში მოდებული ციებ-ცხელება
გიპყრობს მაშინაც, როცა შენთვის მზეს ეფიცხები.

აქილევსი

წადი, პატროკლე, მომიყვანე თერსიტე სწრაფად!
მინდა გაევზავნო აიაქსთან და ვთხოვო სტუმრად
მოიპატიჟოს აქ ტროელი დიდებულები,
ბრძოლის დასასრულს მოიწვიოს უიარაღოდ.
ქალური ჟინი მომერია ავადმყოფურად:
მსურს ეჭვრეტდე ჰექტორს მშვიდობიან სამოსით
მოსილს,
ველაპარაკო, მისი სახის ყურებით გავძღე.
მაგრამ არ გინდა გარჯა, ხედავ, თვითონვე მოდის!

(შემოდის თერსიტე.)

თერსიტე

ჰოი, საკვირველებავ!

აქილევსი

რაო, რა მოხდა?

თერსიტე

აიაქსი დაეხეტება ველზე და თავის თავს ელაპარაკება.

აქილევსი

ეგ რაღაა?

თერსიტე

ეგ ის არის, რომ აიაქსი ხვალ მარტოდმარტო უნდა შეებას ჰექტორს და წინასწარ ისე ეამაყება ეს საგმირო შერკინება, რომ სულ აბდაუბდას როშავს.

აქილევსი

ეგ როგორღა ხდება?

თერსიტე

აი, როგორ: აქეთ-იქით მიდი-მოდის, თითქოს ფარშევანგიაო, ხან გაიელის, ხან გაჩერდება. ფუნდუკის დიასახლისივით რაღაცას ბუტბუტებს. თითქოს საანგარიშო არა აქვს და ზეპირად რაღაცას ანგარიშობსო: ტუჩებს იკვნეტს ჩაფიქრებული გამომეტყველებით, რომ ვინმემ თქვას, თავში ჭკუა ჰქონიაო, თუმცა არა აქვს. არა, ცოტაოდენი კი აქვს, მაგრამ იმდენი რამდენიც ცეცხლია კაჟში. თუ არ ჩამოჰკარი, არ გამოჩნდება. მთლად წამხდარა ეგ უბედური. ჰექტორმა თუ არ მოსტეხა კისერი, ეს ყოყლოჩინობა გასტეხს. აღარც კი მცნობს ვეუბნები: „დილა მშვიდობისა, აიაქს“, ის კი მიპასუხებს, „გმადლობ, აგამემნონ!“ აბა, რას მეტყვი ასეთ კაცზე, მე რომ მთავარსარდალი ვგონივარ? რაღაც უცნაურობაა, თევზია უენო თუ რაღაც ურჩხული. ჯანდაბას, ხალხი რას ამბობს. ტყავის ქურთუკივით გადაიგდე მხარზე და იარე!

აქილევსი

შენ უნდა ჩემს დესპანად გაგგზავნო მაგასთან, თერსიტე.

თერსიტე

ვინა, მე? ის კაცი არავის ხმას არა სცემს; პასუხს არ იძლევა; ამბობს, ეს მათხოვრების საქმეაო. ენა მკლავებში აქვს. ახლავე გამოვაჯავრებ, ოღონდ პატროკლემ მკითხოს რამე და მეც აიაქსს წარმოგიდგენთ.

აქილევსი

აბა ერთი, პატროკლე, უთხარი: უმორჩილესად ვთხოვ მამაც აიაქსს, მოიპატიჟოს ყოვლად ღირსეული ჰექტორი, უსაჭურვლოდ მობრძანდეს ჩემს კარავში. აგრეთვე იშოვოს მისი პიროვნების დამცველი მოწმობა უდიდებულესის და უბრწყინვალესის, ექვსგზის თუ შვიდგზის სახელოვანის ბერძენთა ლაშქრის მთავარსარდლის აგამემნონისაგან და ასე შემდეგ. აბა, დაიწყე!

პატროკლე

იუპიტერის კურთხევა ნუ მოაკლდეს დიდ აიაქსს!

თერსიტე

ჰმ!

პატროკლე

მე გეახელით ღირსეული აქილევსისგან...

თერსიტე

ჰა?

პატროკლე

რომელიც უმორჩილესად გთხოვს, მოიპატიჟო ჰექტორი მის კარავში...

თერსიტე

ჰმ!

პატროკლე

და იშოვო დამცველი მოწმობა აგამემნონისაგან.

თერსიტე

აგამემნონისაგან?

პატროკლე

დიახ, ბატონო.

თერსიტე

ჰა?

პატროკლე

რა პასუხს მიბრძანებ?

თერსიტე

ღმერთი გფარავდეს. გისურვებ მთელი ჩემი გულით.

პატროკლე

თქვენი პასუხი, ბატონო?

თერსიტე

თუ ხვალ კარგი დღე იქნება, თერთმეტი საათისათვის გაირკვევა ასე თუ ისე. მაინც ძვირად დავუსვამ.

პატროკლე

თქვენი პასუხი, ბატონო?

თერსიტე

მშვიდობით ყოფნას გისურვებ, მთელი ჩემი გულით.

აქილევსი

ნუთუ მართლა მაგ დღეშია?

თერსიტე

სწორედ რომ ამაზე უარეს დღეშია. მე არ ვიცი, კიდევ რას დაუკრავს, თუ ჰექტორმა ტვინი დაანთხევინა. ალბათ ვერაფერს, ვიდრე მევიოლინე აპოლონი მაგას მყესებს არ ამოაძრობს, რომ სიმები გააბას თავის საკრავზე.

აქილევსი

კარგი, კმარა, წადი, წერილი წაულე.

თერსიტე

მეორე წერილი მაგის ცხენთან გამატანე, ის უფრო საზრიანი ცხოველია.

აქილევსი

ტვინი მერევა, ვით ნაკადი აღშფოთებული
და ნაკადის ფსკერს ჩემი თვალი ვერ მისწვდომია.

(გადიან აქილევსი და პატროკლე.)

თერსიტე

შენი ტვინის ნაკადი ნეტავ ისე დაიწმინდებოდეს, რომ შიგ ერთი სახედარი მაინც ვაბანაო! ცხვრის მკბენარი მირჩევნია ვიყო, ოღონდ ასეთი გულადი უმეცარი არა მქნა!

(გადის.)

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

ტროა. ქუჩა.

შემოდიან ერთი მხრიდან ენეასი და მსახური ჩირაღდნით, ხოლო მეორე მხრიდან პარისი, დეიფობოსი, ანტენორი, დიომედე და სხვანი ჩირაღდნებით.

პარისი

ჰეი, შესდექი, რომელი ხარ?

დეიფობოსი

ენეასია!

ენეასი

ო, უფლისწულო, დიდო პარის, შენ მობრძანდები?! მე რომ მქონოდა შენნაირი მიზეზი, — დიდხანს ნებივრობისა სარეცელში, — ქვეყნად ვერავინ მომაშორებდა ჩემს მეუღლეს ღმერთების გარდა.

დიომედე

მეც გეთანხმები... მძლე ენეას, დილა მშვიდობის!

პარისი

ხელი მიეცი, მამაც ბერძენს, ჩემო ენეას,
და მოგვიყევი, ბრძოლის ველზე როგორ გეძებდა
შენ დიომედე, დღე ცისმარე — მთელი ეს კვირა!

ენეასი

კარგად ყოფნას და დღეგრძელობას გისურვებ, გმირო, სანამ ჩვენს შორის ზავი სუფევს; მაგრამ როდესაც იარაღასხმულს კვლავ გიხილავ, ველარ დაგინდობ — და ვით მოქიშპე, მოსისხარი, მაშინვე მოგკლავ!

დიომედე

მე, დიომედე, შენს ორივე პირობას ვიღებ.
სანამ მდორედ დის ჩვენი სისხლი, შენც მშვიდად იყავ!
მაგრამ როდესაც კვლავ ატყდება ბრძოლის ქარცეცხლი,
სიცოცხლეს შენსას, ვფიცავ, ისე ჩავუსაფრდები,
როგორც ვერაგი მონადირე თავის სამსხვერპლოს.

ენეასი

ლომს შეეყრები, ფაფარაყრილს, გამძვინვარებულს.
ახლა ტროაში გესალმები კეთილის გულით!
მოგესალმები, ჭეშმარიტად, ანქიზეს[1] ვფიცავ.
თან გეფიცები ვენერას ხელს[2], კაცს არასოდეს,
არ ჰყვარებია უფრო ძლიერ თავისი მტერი,
ვისი სიკვდილიც ასერიგად მოსწყურებია.

დიომედე

ჰო, მეც მანდა ვარ, მიანიჭე, ღმერთო ენეასს
სიცოცხლე, ვიდრე შემოხაზავს მანათობელი
წრეს მრავალ ათასს, თუ თავისი სიკვდილით იგი
უფრო მეტ სახელს არ შემატებს ჩემსავე მახვილს.
თუ უწერია მას სიკვდილი მრავალგან დაჭრილს,
მაშინ მე მერგოს ხვალ დიდება მისი ძლევისა.

ენეასი

ჩვენ კარგად ვიცნობთ დიომედეს, ერთიმეორეს...

დიომედე

დიახ! და ნეტამც გავიცნობდეთ ჩვენ ერთურთს ცუდად.

პარისი

რამდენი ღვარძლი ჩაატანეთ თქვენს კეთილ სალამს
და დიდებული სიძულვილი — სიყვარულს თქვენსას!
ბატონო ჩემო, ასე ადრე რისთვის გარჯილხარ?

ენეასი

მეფემ მომიხმო, მაგრამ რატომ? არ ვიცი ჯერაც.

პარისი

ეს უნდა ეთქვა: შენ ამ ბერძენს უნდა გაუძღვე
კალხასის სახლში და გადასცე მზეთუნახავი
ქალი კრესიდა — ანტენორის გამოსასყიდად.
კვიმატი აზრი არ მასვენებს... უფრო ჰგავს რწმენას...
ეგ ჩემი აზრი, შესაძლოა, სიმართლეც არის:
ჩემს ძმას, ტროილოსს, სურდა ღამე იქ გაეთია.
გამოაღვიძე, გააფრთხილე, რომ ჩვენ მოვდივართ;
თან აუხსენი ყველაფერი. ძალიან ვეჭვობ,
რომ გაუხარდეს ჩვენი მისვლა.

ენეასი

მართალი გახლავთ.
დიახ, უმალვე იგი ტროას დაუთმობს ბერძნებს,
ვიდრე კრესიდას შეელევა.

პარისი

სხვა გზა არ არის.
დასტურ ეს ასე უნდა მოხდეს, — განგებამ ბრძანა.
აბა, ბატონო, წინ გაგვიძეხ! ჩვენ გამოგყვებით.

ენეასი

მშვიდობით გნახეთ.

(გადის.)

პარისი

კეთილშობილო დიომედევ, ერთი მითხარი,
ისე გულწრფელად, ვით ეტყოდი, გულის მეგობარს,
ლამაზ ელენეს ღირსად უფრო რომელი გიჩანს,
მენელაოსი თუ მაინც მე?

დიომედე

ორთავ ხართ ღირსი:
იგი იმიტომ, რომ დაეძებს მას გულმოდგინედ,
ჯოჯოხეთური კივილით და ასეთი გარჯით,
და არ თაკილობს მის შებღალულ სახელს სრულიად.
შენ კი იმიტომ, რომ ესოდენ მოწადინებით
ცდილობ დაიცვა საძრახისი ქალობა მისი,
თუნდ მეგობრებიც და სიმდიდრეც შესწირო მსხვერპლად.
იგი ვით რქიან ქმარს შეჰფერის, წუწუნით გვიკლებს
და ლამის არის, თხლეც კი შესვას, მაგ ქალის ეშხით.
შენ კი ავხორცობ სარეცელზე და გიხარია
სიძვის დიაცმა თუ შეგძინა მემკვიდრეები.
ორთავ გეკუთვნით, ტოლები ხართ თუ აიწონეთ,
თუმცა კახპისთვის უფრო მძიმე ის არის, ვგონებ.

პარისი

მკაცრი ყოფილხარ; შენი ქვეყნის არ ინდობ ასულს.

დიომედე

თვითონ კი ინდობს თვის სამშობლოს? მისმინე პარის:
სისხლის ყოველი ყალბი წვეთი მის უხამს ძარღვში
სიცოცხლედ უღირს თითო ბერძენს. ხოლო ყოველი
მისხალი მისი ბინძური და ბილწი ლეშისა
სიცოცხლედ უღირს თითო ტროელს. ენის აღგმიდან
არ წარმოუთქვამს მას იმდენი სიტყვა კეთილი,
ბერძენ-ტროელი რაც უკვეა აქ გაწყვეტილი.

პარისი

უბრწყინვალესო დიომედევ, შენ ვით ვაჭარი
ცდილობ დაუკლო ფასი იმ ნივთს, რის ყიდვაც გწადის.
კრინტს აღარ დავძრავ; დაე, შენი აღსრულდეს ნება
აღარ მოვყვები გასაყიდი საქონლის ქებას.
ამ გზით წავიდეთ.

(გადიან.)

სურათი მეორე

იქვე. ეზო პანდაროსის სახლის წინ.

შემოდიან ტროილოსი და კრესიდა.

ტროილოსი

ნუ შეწუხდები, ჩემო კარგო, ცივი დილაა.

კრესიდა

ძვირფასო, მხოლოდ, ბიძაჩემს ვთხოვ, ჩამოვიდეს და ჭიშკარი გახსნას.

ტროილოსი

ნუ აწუხებ. შენ კი დაწექი,
დაწექი, რათა ეგ ლამაზი შენი თვალები
დაასვენო და მაგ შენ გრძნობათ შვება შესძინო
ჩვილი ბავშვივით უდრტვინველი.

კრესიდა

მშვიდობით იყავ.

ტროილოსი

გვედრი, დაწექი.

კრესიდა

ნუთუ ყოფნა მოგწყინდა ჩემთან?

ტროილოსი

მამლის ყივილით, ტოროლას ხმით გათენებული,
ასეთი დილა რომ არ იყოს ჩემო კრესიდა; —
ხომ ხედავ ღამე ვეღარ ფარავს სიხარულს ჩვენსას, —
ვერ გავძლებოდი შენთან ყოფნით.

კრესიდა

მოკლეა ღამე!

ტროილოსი

ვწყევლი მაგ ჯადოს! მოსაწყენად, ჯოჯოხეთურად
მაშინ გრძელდება, ერთმანეთი როს ეჯავრებათ.
ხოლო მიჯნურთა ამბორს ფიქრის უმალვე აქრობს.
გამიცივდები და დამძრახავ.

კრესიდა

გთხოვ შეიცადო!
კაცებს არ გიყვართ დაყოვნება...
კრესიდავ, ბრიყვო! უფრო უნდა მეწვალებინე.
მაშინ ნამდვილად შეიცდიდი. სუ! ვიღაც მოდის!

პანდაროსი (სცენის უკან)

რა ხდება, ყველა კარი ღიაა?

ტროილოსი

ბიძაშენია.

კრესიდა

ჭირს წაულია მაგის თავი! დამცინებს ახლა,
რა გაეწყობა, ასეთია ეს ჩემი ბედი.

(შემოდის პანდაროსი.)

პანდაროსი

როგორ, როგორ, ქალწულობა დღეს როგორ ფასობს? შენ, ქალიშვილო! ხომ არ გინახავს ჩემი დისწული კრესიდა?

კრესიდა

თავიდან მომწყდი ბიძაჩემო, გეყო დაცინვა,
შენ მომიყვანე ამ დღემდე და ახლა დამცინი?!

პანდაროსი

სად მოგიყვანე? სად მოგიყვანე? თქვი ერთი, სად მოგიყვანე?

კრესიდა

ო, კმარა, კმარა! წყევლა-კრულვას აღარ მოგაკლებ.
კეთილი არ ხარ და სხვებს მაინც ნუღარ დასტანჯავ.

პანდაროსი

ჰა, ჰა, შე საბრალოვ, შენა! აი, შე ბრიყვო! შენა! ვერ გამოიძინე? არ დაგაძინა ხომ საზიზღარმა კაცმა? ეშმაკსაც წაულია ეგა!

კრესიდა

აი, ხომ მითქვამს! ნეტა ვიღაც თავში ჩაჰკრავდეს.

(სცენის უკან კაკუნი ისმის).

ვინ აკაკუნებს? ბიძაჩემო, გახედე ერთი.
შენ კი, ძვირფასო, კვლავ შემოდი ოთახში ჩემთან.
რატომ იცინი? თითქოს რამე უზნეო მეთქვას?

ტროილოსი

ჰა, ჰა, ჰა!

კრესიდა

არც მიფიქრია რომ ეგ მეთქვას. შენ შეგეშალა.

(სცენის უკან კაკუნი ისმის.)

ლამის კარები ჩამოიღოს! მე გთხოვ შემოდი.
მთელ ტროას მივცემ, ოღონდ შენ აქ, არავინ გნახოს.

(ტროილოსი და კრესიდა გადიან.)

პანდაროსი (კარებისკენ მიემართება)

რომელი ხარ? რა გნებავს? კარებს რად ამტერევ?
გამაგებინე, რა ხდება?

(შემოდის ენეასი.)

ენეასი

დილა მშვიდობის, მასპინძელო, დილა მშვიდობის!

პანდაროსი

ამას ვის ვხედავ! ენეასი — დიდი ბატონი!
ვერ კი გიცანი. რას გვაუწყებ დილაადრიან?

ენეასი

აქ, უფლისწული ტროილოსი არ არის განა?

პანდაროსი

აქ რა საქმე აქვს?

ენეასი

ჰო, კარგი... ვიცი აქ არის, ჩემო ბატონო. ნუ უარჰყოფ;
მისთვისვე ჯობს, რომ მელაპარაკოს.

პანდაროსი

შენ ამბობ რომ აქ არის? აბა ჩემზე მეტი გცოდნია, ჩემმა მზემ. შინ გვიან დავბრუნდი. ნეტა აქ რას უნდა აკეთებდეს?

ენეასი

კმარა, გეყოფა; აბა მიდი, მიდი-მეთქი, მე გეუბნები;
მერწმუნე, უფრო მეტად ავნებ. შენი ერთგულებით ცუდ
სამსახურს გაუწევ. თვალი არ მოგიკრავს, მაგრამ წადი
და სასწრაფოდ მოიყვანე. წადი-მეთქი.

(ბრუნდება ტროილოსი.)

ტროილოსი

მითხარი ერთი, აქ რა ხდება?

ენეასი

ბატონო ჩემო, მოსალმების დროც კი არა მაქვს.
საქმე გვაჩქარებს. სადაცაა აქ გაჩნდებიან
თქვენი ძმა პარის, დეიფობოს და დიომედე,
ბერძენთა გმირი; ანტენორიც იმათთან ერთად.
და სწორედ მისთვის ახლა უნდა გავიღოთ მსხვერპლი —
და დიომედეს ჩავაბაროთ უნდა ასული,
ჩვენი კრესიდა უტურფესი.

ტროილოსი

ვინ ბრძანა ასე?

ენეასი

პრიამემ ბრძანა. ტროას საბჭომ დაუკრა კვერი;
ფეხდაფეხ მსდევენ, რომ ბრძანება აღსრულდეს მისი.

ტროილოსი

როგორ დამცინის ბედი ჩემი და მტაცებს ისევ,
რაც ასე ძვირად მოვიპოვე; წავალ, შევხვდები;
შენ კი ენეას, თითქოს სულაც არ გინახივარ.

ენეასი

დე ასე იყოს. ვერ დამალავს დედაბუნება
მაგ საიდუმლოს უფრო მტკიცედ, ვიდრე მე ძალმიძს.

(ტროილოსი და ენეასი გადიან.)

პანდაროსი

სად გაგონილა? ხეირიანად არც მიუღია და აი დაკარგა? ეშმაკმა დალახვროს ანტენორი! ბატონიშვილი გაგიჟდება. ჭირი ეცეს ანტენორს. ნეტა ერთი მავისთვის კისერი მოეგრიხათ.

(შემოდის კრესიდა.)

კრესიდა

რა ამბავია? ან რა ხდება? ვინ იყო აქა?

პანდაროსი

ოჰ! ოჰ!

კრესიდა

რად ოხრავ ასე? მბრძანებელი სად არის ჩემი?
წასულა! მითხარ ბიძაჩემო, რა ხდება ნეტავ?

პანდაროსი

ო, ნეტამც მიწა გამსკდომოდა და ჩავეტანე!

კრესიდა

ღმერთებო, რა ხდება ჩემს თავს?

პანდაროსი

გემუდარები შინ შებრუნდი. ნეტავი არც კი დაბადებულიყავი! ასეც ვიცოდი, რომ მისი სიკვდილის მიზეზი შეიქმნებოდი. საბრალო ვაჟკაცი! ჭირს წაულია ანტენორი!

კრესიდა

კეთილო ბიძავ, გევედრები მუხლმოდრეკილი
ოჰ, გევედრები მიპასუხე, რა ხდება ჩემს თავს?

პანდაროსი

უნდა წახვიდე ჩემო გოგო, უნდა წახვიდე. ანტენორში გაგცვალეს. უნდა წახვიდე მამაშენთან და ტროილოსს უნდა დაშორდე. ეს კი იმისთვის სიკვდილი იქნება, საწამლავი, ამას ვერ გადაიტანს.

კრესიდა

ღმერთებსა ვფიცავ, მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

პანდაროსი

ვალდებული ხარ.

კრესიდა

არ წავალ, ბიძავ! მამაჩემი გადამავიწყდა
და აღარა მაქვს მე არც გრძნობა ნათესაური,
არც სიყვარული, არცა გვარი და არცა სისხლი;
ქვეყნად არ მინდა სულიერი, ტროილოსს გარდა[2].
ჰოი, ღმერთებო! მე ტროილოსს თუ ვუღალატო,
მონათლეთ მაშინ ორგულობა ჩემი სახელით.
სიკვდილის ძალავ და ჟამთასვლავ, უყავთ ჩემს სხეულს
რაც კი თქვენ ძალგიძთ; ისე მტკიცედ მაქვს ნაშენები
ბურჯი ტრფობისა, დედამიწის ვით შუაგული;
ყველაფერს თვისკენ რომ იზიდავს... წავალ, ვიტირებ.

პანდაროსი

ჰო, წადი, წადი.

კრესიდა

მე ამ დალალებს დავიწეწავ, ღაწვთ დავიხოკავ,
ხმის დაკარგვამდე ვიქვითინებ, რომ გავაგონო
ტროილოსს ჩემსას, ტროადან კი ფეხს არ მოვიცვლი.

სურათი მესამე

იქვე. სცენა პანდაროსის სახლის წინ.

შემოდიან პარისი, ტროილოსი, ენეასი, დეიფობოსი, ანტენორი და დიომედე.

პარისი

დილა გათენდა დიდებული! უკვე დრო არის,
რომ მამაც ბერძენს ჩვენ გადავცეთ ის ბანოვანი.
ჩემო კეთილო ძმავ, ტროილოს, მაშ მოახსენე,
რომ გაემზადოს ქალბატონი და თან დასძინე
იჩქაროს ცოტა.

ტროილოსი

შემობრძანდით, აგერ მის სახლში.
ახლავე მოგვგვრით, რომ გადავცე ბერძენს მე იგი.
მაგრამ იცოდეთ, მაშინ როცა მას ხელი ხელში
მივანდობ უცხოს, მე ვიქნები, ვით მღვდელმსახური,
რომელიც თვის გულს მსხვერპლად სწირავს
საკურთხეველზე.

პარისი

მე ვიცი, ძმაო, რასაც ნიშნავს ეგ სიყვარული...
ვწუხვარ და ნეტა შემძლებოდეს დაგხმარებოდი!
შინ შემობრძანდით, აი აქეთ.

(გადიან.)

სურათი მეოთხე

იქვე. ოთახი პანდაროსის სახლში.

შემოდიან პანდაროსი და კრესიდა.

პანდაროსი

დამშვიდდი, კარგი, დამშვიდდი.

კრესიდა

რად მეუბნები რომ დავმშვიდდე? ეს ჩემი დარდი
დიდებულია. სიღრმეს მისსას მე ახლაღა ვგრძნობ;
სრულყოფილია, თანაც მძაფრი, როგორც მიზეზი
სწორედ ამ დარდის გამომწვევი. როგორ დავმშვიდდე?
მე რომ შემეძლოს დავიოკო ეს ჩემი გრძნობა,
ან შევაზავო ცივსა და სუსტ სასმელთან იგი,
მაშინ ხომ დარდიც უფრო ადრე გაქარწყლდებოდა.
სიყვარულს ჩემსას არ სჭირდება, ხომ განელება!
არც დარდს სჭირდება! განშორება თუმც მეძნელება!

(შემოდის ტროილოსი.)

პანდაროსი

აგერ, აგერ თვითონაც მოდის. ეჰ, ჩემო ტკბილო გუგულებო.

კრესიდა (ეხვევა)

ოჰ, ტროილოს, ტროილოს!

პანდაროსი

ო, რა საამო საცქერალია, მოდით, მეც მოგეხვევით.
„მითხარი, გულო“.... როგორაა სიმღერაში?
„მითხარი გულო, კაეშნით, ოხვრითა და სევდით
ნუთუ სულ არ გიმოკლდება შენ ცხოვრების დღენი“.
ის კი პასუხობს:
„მე ასეთ დარდს ქვეყანაზე ველარაფრით ვძლევდი
ვერც მეგობრებისგან ნუგეშით და ვერც მასთან ლხენით“.
ამაზე მართალი ლექსი ჯერ არ გამოთქმულა. ქვეყნად არაფერი უნდა გადაავდოს კაცმა. შეიძლება ოდესმე ასეთი ლექსიც კი გამოგადგეს. შეხე, ბატკნებივით არ არიან!?

ტროილოსი

კრესიდავ ჩემო, დასტურ ისე წმინდად მიყვარხარ,
რომ მალალ ღმერთებს განშორება განუზრახიათ
ჩემი და შენი; შურით აღვსილთ, რომ იმის ნაცვლად
მათ ვეთაყვანო ცივი ბაგით, — შენ გრაცხავ კერპად.

კრესიდა

ნუთუ ღმერთები შურიანნი არიან მართლა?

პანდაროსი

აბა, აბა, აბა! განა ნათელი არ არის?

კრესიდა

ო, ღმერთო, ტროა ნუთუ მართლა უნდა დავტოვო?

ტროილოსი

რა საზარელი სიმართლეა!

კრესიდა

და შენც ტროილოს?!

ტროილოსი

დიახ, ტროაც და ტროილოსიც.

კრესიდა

ოჰ, ნუთუ მართლა?

ტროილოსი

დიახ! და თანაც ასე უცებ! მუხთალი ბედი
დამშვიდობების დროს არ მაძლევს, ისე მაჩქარებს,
უხეშად ცდილობს მოაშოროს ჩემს ბაგეს შენი,
წინ გვეღობება ერთურთს გულში რომ არ ჩაეკრათ
და ჩვენი ფიცის, სურს რომ ჩაკლას ბგერა პირველი.
ჩვენ ერთმანეთი შევიძინეთ ათასი ოხვრით
და ახლა ვყიდით ჩვენ ერთმანეთს ასე იაფად.
ასე უხეშად, ასე სწრაფად უნდა დავცილდეთ.
დრო უსამართლო, ვითარ ქურდი, ისე მაჩქარებს
და ნაქურდალის უსუსურად ცდილობს დამალვას.
ზეცაში რამდენს ვარსკვლავს ვხედავთ, იმდენ მშვიდობას
მე გისურვებდი, იმდენჯერვე გკოცნი კიდევაც.
მაგრამ ყოველი ერთ სიტყვაში გაერთიანდა:
სიტყვა „მშვიდობით“ აღარიბებს ჩვენს მწყურვალ
ამბორს,
აუგემურებს მარილიან ცრემლის წყალობით.

ენეასი (სცენის გარეთ)

ბატონო ჩემო, ქალბატონი მზად არის უკვე?

ტროილოსი

გესმის? გიხმობენ! ისე ვითარც უხმობენ თურმე
სულები იმათ, განწირულა ვინც სასიკვდილოდ.
მაშ, მოითმინეთ, და ნუ ჩქარობთ! ახლავე მოვა.

პანდაროსი

სადაა ჩემი ცრემლები? იწვიმე ცრემლო, რომ ეს ქარიშხალი ჩავიკლა, თორემ ეს გული ლამის ძირფესვიანად ამომიყარდეს.

კრესიდა

მაშ მე ბერძნებთან უნდა ვიყო?

ტროილოსი

საშველი არ ჩანს!

კრესიდა

მე, მგლოვიარე, — მოზეიმე ბერძენთა შორის!
შევხვდებით კიდევ, ნეტავ როდის?

ტროილოსი

გესმის ძვირფასო, სიყვარულის იყავ ერთგული.

კრესიდა

ერთგული? ნუთუ გულს გაივლე წყეული ეჭვი?

ტროილოსი

არა, ეს ეჭვი მე წამითაც არ გამივლია,
ჩემგან შორს არის. მე გითხარი „იყავ ერთგული“,
არა იმიტომ, რომ ღალატის მე მეშინია.
მზადა ვარ სიკვდილს შევებრძოლო იმის დასტურად,
რომ შენი გული სპეტაკია და უღალატო.
„იყავ ერთგული“ მე გითხარი იმიტომ მხოლოდ,
რომ ერთგულებით, ჩვენ უთუოდ, შევხვდებით ერთურთს

კრესიდა

ჩემო ძვირფასო, განსაცდელი გელის მრავალი,
მაგრამ გჯეროდეს, რომ ერთგული ვიქნები შენი.

ტროილოსი

განსაცდელს ვიძმობ... სამახსოვროდ — აი სახელო!!

კრესიდა

შენ ხელთათმანი გქონდეს ჩემი. მაშ როდის ვნახავ?

ტროილოსი

ბერძენთა დარაჯთ მოვისყიდი, რომ ღამღამობით
გიხილო ხოლმე; მაგრამ შენ კი იყავ ერთგული!

კრესიდა

„იყავ ერთგული“! ღმერთო ჩემო! კვლავ ეს სიტყვები!

ტროილოსი

მისმინე კარგო, ამად მინდა გითხრა სათქმელი,
რომ ბერძენ ჭაბუკთ მრავალი აქვთ ღირსება დიდი.
ბუნებამ მისცა ტანადობა, მოხდენილობა
და სიხალისე: ყოველს ზრდიან — წვრთნით, ხელოვნებით
ხოლო სიახლე, როგორ გვხიბლავს, მოგეხსენება!
ვაგლახ, გავივლე გულში ეჭვი კეთილშობილი,
გემუდარები, ჩამითვალე უმანკო ცოდვად.

კრესიდა

აღარ გიყვარვარ! ღმერთო ჩემო!

ტროილოსი

მაშ მოვკვდე მაშინ; კი არ ვეჭვობ შენს ერთგულებას,
არამედ მე ჩემს ღირსებებში მეპარვის ეჭვი.

არც ცეკვა[2] ვიცი, არც სიმღერა, არც ენა მიჭრის
და არც თამაში შემიძლია; მაგ ყოველივეს
ბერძენნი ისე კოხტად ფლობენ. მაგრამ იცოდე
თითოეული ამ თვისების მიღმა უთუოდ
ჩასაფრებულა მუნჯ-მეტყველი, ჩუმი ეშმაკი
მზაკვრულად ფიქრობს შენ ცდუნებას. მაგრამ არ შეცდე!

კრესიდა

და შენ გგონია, რომ შევცდები?

ტროილოსი

ო, არა, არა! მაგრამ რაღაც უნდა ვიღონოთ,
რომ ჩვენ არ შევცდეთ. ხანდახან ხომ თვით ეხდებით ეშმა,
როდესაც ვცდილობთ, გამოვცადოთ სისუსტე ჩვენი;
ვცდილობთ ვაცდუნოთ საკუთარი მერყევი ძალა.

ენეასი (სცენის გარედან)

ბატონიშვილო...

ტროილოსი

გადამკოცნე, დავშორდეთ ბარემ!

პარისი

ძმაო ტროილოს!

ტროილოსი

ჩემო ძმაო, შენც აქ შემოდი,
თან ენეასი მოიყვანე და ის ბერძენიც.

კრესიდა

ჩემო ბატონო, შენ იქნები ჩემი ერთგული?

ტროილოსი

ვინ? მე? ო, ღმერთო! ჩემი ცოდვა ეგ არის მხოლოდ,
როდესაც სხვები უმიზნებენ სახელს, დიდებას
მე ერთგულებით სისადავეს მოვიხვეჭ მხოლოდ.
ავარაყებენ თვალთმაქცები სპილენძის გვირგვინს[3],
მე კი სულ სადა, ერთგულების გვირგვინი მადგას.
მე გიერთგულებ, ნუ იდარდებ, რადგან გონებას
სისპეტაკის და სისადავის წარმართავს ნება.

(შემოდიან ენეასი, პარისი, ანტენორი, დეიფობოსი და დიომედე.)

მოგესალმები დიომედევ... და ქალბატონი
მომირთმევია ანტენორის გამოსასყიდად.
ამ კარიბჭესთან ჩაგაბარებ მის ხელს, ბატონო,
დღეიდან იგი თქვენი არის. გთხოვ გაუფრთხილდე.
და ჩემს სულს ვფიცავ, თუ ოდესმე, გმირო ბერძენო,
ჩემი მახვილის მსხვერპლად უნდა შენ გადაიქცე
მითხარ — „კრესიდა“, — უვნებელი დარჩები ისე,
ვით პრიამეა ილიონში.

დიომედე

ტურფა კრესიდავ,
დაზოგე სიტყვა მადლობისა შენგან რომ ელის
ბატონიშვილი. თვალთა ელვა, მაგ ღაწვთა ეშხი,
ქომაგი არის ჩემთან შენი, და დიომედეს
მბრძანებელი ხარ შენ დღეიდან. გთხოვ მიმსახურო.

ტროილოსი

ბერძენო, შენ მე უდიერად ნუ მკადრებ რასმე,
ნუ გსურს დაჩრდილო ჩემი თხოვნა მისი შექებით.
ბერძენთა გმირო, დაიხსომე რასაც მე გეტყვი:
იმდენად მაღლა დგას კრესიდა შენ შექებაზე,
რამდენადაც შენ ღირსი არ ხარ მას ემსახურო.
გიბრძანებ მე შენ, გაუფრთხილდე ჩემი გულისთვის,
თორემა ვფიცავ, სასტიკ პლუტონს, თვით აქილევსი,
გმირთა გმირი რომ გადამიდგეს, ვეღარ დაგიცავს
და ყველს გამოგჭრი.

დიომედე

ნუ ხელდები, ტროილოს ჩემო;
ჩემი ხელყოფა არ ეგების, ვით დესპანისა,
და მეც წასვლამდე დავიკებ ჟინსა და ვნებას.
კარგად იცოდე, მე ბრძანებას არვისგან ვიღებ.
კრესიდას სწორედ იმას ვარგებ ღირსია რისიც.
იმიტომ კი არ ვიქმ მე ამას, რომ შენ თქვი ასე,
არამედ თვით ვარ ღირსებით და პატივით სავსე.

ტროილოსი

შევხვდებით გარეთ დიომედევ, მაგ სიყოჩაღეს
დაკარგავ მყისვე და დამალავ ხშირ-ხშირად სახეს.
გარეთ გავიდეთ ქალბატონო, მომეცით ხელი,
გავუზიაროთ ჩვენ ერთმანეთს სიტყვები მწველი.

(გადიან ტროილოსი, კრესიდა და დიომედე. ისმის საყვირის ხმა.)

პარისი

გესმით! ჰექტორის საყვირია.

ენეასი

დილაც გავიდა!
მაშ, ვეგონები მე უფლისწულს ზანტი და ნელი,
რადგან შევპირდი, ბრძოლის ველზე ვიელიდი მის წინ.

პარისი

ეს ტროილოსის ბრალი არის. ვიჩქაროთ აბა.

დეიფობოსი

უნდა ახლავე გავემზადოთ ჩვენ საბრძოლველად.

ენეასი

დიახ, სასიძოს აღტყინებით, ფიცხელ ბრძოლაში
ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ ჰექტორს. უთუოდ ამ დღეს

ტროა ღირსებით განიმტკიცებს თავის დიდებას
და რაინდობის სიმამაცით ამობრწყინდება.

(გადიან.)

სურათი მეხუთე

ბერძენთა ბანაკი. ბრძოლის ველი[1].

შემოდიან აიაქსი იარაღასხმული, აგამემნონი, აქილევსი, პატროკლე, მენელაოსი, ულისე, ნესტორი და სხვები.

აგამემნონი

უკვე აქა ხარ! ბრძოლის ჟინით, ჯან-ღონით სავსე,
და შებრძოლების დროს აჩქარებ, დაუდეგარო.
ჩაბერე საყვირს, რომ აუწყო ტროელებს მოსვლა
შენი, აიაქს. რომ ჰაერმა შეძრწუნებულმა
თავზარი დასცეს შენს მოქიშპეს. იმ დიდ მეომარს.
და აქ მოგვგვაროს.

აიაქსი

აი ქისა! დასცხე ნაღარას!
ფილტვები გასკდეს და გაზეთქე სპილენძის მილიც,
ჩაბერე-მეთქი ნაძირალავ, სანამ ლოყები
დაგასხდეს მრგვალად, ჩრდილოეთით მონაბერ ქარზე[2]
უფრო ძალუმად დაუბეროს, გაშალე მკერდი,
ანთხიე სისხლი თვალებიდან! მოუხმე ჰექტორს!

(ისმის საყვირის ხმა.)

ულისე

არვინ პასუხობს, სდუმს საყვირი.

აქილევსი

ჯერ ხომ ადრეა.

აგამემნონი

შმაგ დიომედეს და კალხასის ასულს არ ჰგვანან?

ულისე

ის უნდა იყოს, მე ნაბიჯი ვიცანი მისი,
ფეხის წვერებზე სიარული სჩვევია მუდამ, —
ეს მისი სული შთაგონებით მიიწევს მაღლა.

(შემოდიან დიომედე და კრესიდა.)

აგამემნონი

ეს კრესიდაა, ქალბატონი?

დიომედე

დიახ ის გახლავთ.

აგამემნონი

გესალმებიან თქვენ ბერძნები, ტურფა ასულო.

ნესტორი

მხედართმთავარი გესალმებათ თქვენ პირზე კოცნით.

ულისე

მხედართმთავარი ჭეშმარიტად გულკეთილია.
თუმც ჩვენი კოცნა იქნებოდა უფრო მთავარი.

ნესტორი

რა ჩინებული რჩევა არის! მაშ მე დავიწყებ.
ესეც ნესტორის წილი არის.

აქილევსი

მე შენ ბაგეთგან ზამთარს უმალ ჩამოგაცილებ,
ტურფა ასულო, გესალმება შენ აქილევსი.

მენელაოსი

მე ერთხელ მქონდა მშვენიერი კოცნის მიზეზი.

პატროკლე

არ გამოდგება ეგ მიზეზი კოცნისთვის ახლა.
რადგან პარისი, კალნიერად, ჩადგა თქვენს შორის,
მიზეზს გაგყარა, მოგაშორა შენ გულის სწორი.

ულისე

კვლავ საჩოთირო ეს მიზეზი აბუჩად გდების!
სიცოცხლეს ვწირავთ რომ ოქროთი მოვურთოთ რქები[3].

პატროკლე

მენელაოსის მაგიერი გაკოცე მე ჯერ.
ეს კი პატროკლეს კოცნა არის.

მენელაოსი

რას ნიშნავს ესა?

პატროკლე

მის ნაცვლად კოცნა მე და პარისს გაგვიხდა წესად.

მენელაოსი

თვით ვითხოვ კოცნას, თუ ასული მე დამრთავს ნებას!

კრესიდა

მეამბორებით? თუ ეგება გსურთ მე გაკოცოთ.

პატროკლე

მას ორივე სურს.

კრესიდა

ცხოვრებისა ჩემი წესია
ეს ჩემი კოცნა მის ამბორზე უკეთესია.
მაშ არ ერგება მას არც კოცნა არავითარი.

მენელაოსი

შენ ხეირს ნახავ, ერთში რომ სამს მიიღებ კოცნას!

კრესიდა

უცნაური ხარ, წყვილს არ იტყვი, — არ გირჩევ მოცდას.

მენელაოსი

კენტი არ გინდა? ყველა კაცი უცნაურია.

კრესიდა

პარისის გარდა. და ეს შენთვის საცნაურია.
შენ კენტად დარჩი, ის გაწყვილდა, ახლა ორია.

მენელაოსი

წკიპურტი ჩამკარ?

კრესიდა

არა, ღმერთებს დავიფიცები.

ულისე

უთანასწორო ბრძოლა იყო, — ფრჩხილი ან რქები.
ო, ქალბატონო, ნება დამრთე, რომ გეამბორო.

კრესიდა

მე ნებასა გრთავ.

ულისე

სურვილი მკლავს.

კრესიდა

მთხოვე რას უცდი.

ულისე

ვენერას მადლმა, მენელაოსს ელენე სახლში
როცა ქალწულად დაუბრუნდეს — კოცნას გთხოვ მაშინ.

კრესიდა

მაშ შენს ვალში ვარ. გავსწორდებით. როს ის დღე მოვა.

ულისე

ულისე უკვე მაგ დღის მოსვლას გამოეთხოვა.

დიომედე

სიტყვას ვერ გავტეხ, მამას უნდა მიგგვაროო ახლა.

(დიომედე მიუძღვის კრესიდას.)

ნესტორი

ეს რა ფხიანი ქალი არის!

ულისე

ფუი მაგასა!
ენად ქცეულა მისი თვალი, ლოყა თუ ბაგე,
არა, ფეხითაც ლაპარაკობს, ცოცხალი სული
გამოკრთის საბნრის თუ სხეულის მოძრაობიდან.
მოულოდნელად რომ შეგხვდება ასეთი ვინმე,
ენაკვიმატი გესალმება ფუქსავატურად;
მყისვე პირს მოხსნის თავის გუდას, — ყურს თუ ათხოვებ,
რაც კი აზრები აბადია, უმალ მოგახლის
და სულ ერთია ვის ეტყოდეს, ოღონდ კი უთხრას,
სალახანებს თუ მოსეირნე გამვლელ-გამომვლელთ.

(გარედან საყვირის ხმა ისმის.)

ყველანი

ტროელთ საყვირი!

აგამემნონი

მოდის უკვე ჯარი, შეხედეთ!

(შემოდის ჰექტორი იარაღასხმული, ენეასი,
ტროილოსი იარაღასხმული და სხვა ტროელები ამალით.)

ენეასი

დიდებულ ბერძენთ გესალმებით! რით აღინიშნოს
ორთა ბრძოლაში გამარჯვება? იქნება გსურდეთ,
რომ ხალხს ეუწყოს ვინაობა გამარჯვებულის?
გინდათ იბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე,
თუ გასცილდებით თქვენ ერთმანეთს, როგორც კი ვინმე,
ხმით, ანდა ნიშნით მოგიწოდებთ მოიქცეთ ასე?
გეკითხებათ ამას ჰექტორი.

აგამემნონი

როგორც თვითონ სურს.

ენეასი

მისთვის ერთია. სჯობს, პირობა იყოს დათქმული.

აქილევსი

ვცანი ჰექტორი, სიამაყეს ამჟღავნებს ცოტას,
მაგრამ იმავ დროს ითვალწუნებს ზომაზე მეტად
მეტოქეს თვისას.

ენეასი

ვინმე სხვა ხარ თუ აქილევსი?

აქილევსი

აქილევსი ვარ და ვინმე სხვა რად უნდა ვიყო?

ენეასი

მაშინ აქილევს, ეს იცოდე, რაც მოიძევა
სიდიადისა და სიმცირის საზღვართა შორის, —
გულადობა და სიამაყე სჩვევია ჰექტორს.
განუსაზღვრელად გულადია, და სიამაყე
აქვს მეტად მცირე. კარგი განსჯით უმალ მიხვდები, —
რაც სიამაყედ მოგეჩვენა, — მოკრძალებაა.
აიაქსს უდრეს სანახევროდ ჰექტორის სისხლი
და სანახევროდ ერჩის მასზე ჰექტორსაც გული;

ნახევარ ჰექტორს, ცალი ხელით, ნახევარ გულით
შეხვდეს ნახევარ ბერძენ-ტროელს, სურს აკაზმული.

აქილევსი

ბრძოლა იქნება მაშ, უსისხლო, მიგიხვდი შენა.

(ბრუნდება დიომედე.)

აგამემნონი

ჰა, დიომედეც მობრძანდება. დიდო რაინდო,
შენ აიაქსის სასარგებლოდ მოგიწევს გარჯა,
როცა ენეასს ბრძოლის წესზე მოურიგდები:
ქანცგაწყვეტამდე იბრძოლებენ თუ სიკვდილამდე?
მაგრამ მებრძოლნი ნაოესავნი ყოფილან რადგან,
გაუნახევრდა ბრძოლის ჟინი ორიეე მათგანს.

(აიაქსი და ჰექტორი ბრძოლის ველზე გადიან.)

ულისე

ჰა, მოემზადნენ!

აგამემნონი

ნეტა ვინ არის ეს ტროელი ასე მწუხარე?

ულისე

ვაჟიშვილია პრიამესი, იგი უმცროსი.
ვაჟკაცი არის ის უებრო, თუმც ახალგაზრდა.
სიტყვამტკიცეა, ლაპარაკობს ნამოქმედარით.
თავს არ შეიქებს. გახელებას მნელად აჰყვება,
მაგრამ თუ აჰყვა, მას ძნელადვე დააშოშმინებ.
გულგახსნილია და ასევე ხელხვაეიანიც,
რადგან, რასაც ფლობს უმალ გასცემს, ნაფიქრალს — იტყვის.
თუმც გაცემამდე უსათუოდ აწონ-დაწონის
და უღირს აზრებს არასოდეს არ განადიდებს.
მამაცი არის ჰექტორივით, უფრო საშიშიც.
რადგან ჰექტორი რისხვის ალში დამთმობი გახლავთ,
ხოლო იგი კი ფიცხელ ომში შურისმგებელი
არის ისე ვით სიყვარული, ეჭვით აღსილი.
სახელად ჰქვია — ტროილოსი და ჰექტორივით
იგი სამშობლოს იმედია, ოღონდ მეორე.
მე ენეასმა ყოველივე მომითხრო ასე,
ხოლო ჭაბუკებს ილიონში ის კარგად იცნობს;
ასეთნაირი არის აზრი იქ მის შესახებ.

(განგაში. ჰექტორი და აიაქსი იბრძეიან.)

აგამემნონი

შეხე, იბრძვიან.

ნესტორი

მაგრად იდექ, აბა აიაქს!

ტროილოსი

ჰე, ცოცხლად ჰექტორ, ნუ კი გძინავს!

აგამემნონი

მიზანში ურტყამს, დასცხე-მეთქი, აიაქს მიდი!

დიომედე

დროა შევწყვიტოთ.

(წყდება საყვირების ხმა.)

ენეასი

უფლისწულებო, ჯმარა-მეთქი, გთხოვთ, რომ შეჩერდეთ.

აიაქსი

ჯერ ვერ გავხურდი, გავაგრძელოთ ჩვენ ორთა ბრძოლა.

დიომედე

როგორც ჰექტორი ინებებდეს.

ჰექტორი

მაშინ შევწყვიტოთ.
დიდო რაინდო, დისშვილი ხარ შენ მამაჩემის,
მამიდაშვილი ხარ პრიამეს მემკვიდრეების.
იცი, გვიკრძალავს ჩვენი სისხლის ვალდებულება
რომ სისხლისმღვრელი ორთა ბრძოლა მოხდეს ჩვენს შორის.
ტროელისა და ბერძნის სისხლის შენ ხარ ნაერთი,
ვერ განასხვავებ ტროელის ხელს ბერძნის ხელისგან,
ვერც იმას იტყვი, რომ ეს ფეხი ბერძნისა არის,
ხოლო მეორე ტროელისა, რომ ცალ ლოყაში
რბის დედის სისხლი, მეორეში კიდევ — მამისა.
ვფიცავ ყოვლისმძლე იუპიტერს, შენს ბერძნულ ნაწილს
უმალ მოვსპობდი. ღმერთებმა კი სამართლიანად
მე ამიკრძალეს დედაშენის — მამიდაჩემის
იმ წმინდა ქალის, შენში მჩქეფი თუნდ წეთი სისხლი
დავაღვრევინო სასტიკ მახვილს. მოდი, აიაქს,
გადაგეხვიო. მეხთამტეხმა მძლე მოგცა მკლავი.
მომეც ხელი ხელს, შენს ბიძაშვილს, პატივისცემა
მსურს რომ მოგიზღო.

აიაქსი

ჰექტორ, მე შენ მადლობას გიხდი:
დიდსულოვანი და თან ლაღი კაცი ყოფილხარ.
მე მოვდიოდი რომ მომეკალ, შენ, ბიძაშვილო,
და მომეხვეჭა ამ მკვლელობით სახელი მეტი.

ჰექტორი

ნეოპტოლემიც[5] სხივმოსილი, რომელსაც მუდამ
დიდება ადგას მუზარადზე, ვერ გაბედავდა
ასეთი ფიქრი გულს გაევლო, რომ თვის სახელი
ჰექტორის მოკვლით შეემოსა შარავანდედით.

ენეასი

ორთავე მხარე მოუთმენლად ელის — რას ბრძანებთ?
რას იზამთ შემდგომ?

ჰექტორი

გიპასუხებთ ამავე წუთში:
გადაეხვივნენ ერთმანეთს-თქო. მშვიდობით იყავ.

აიაქსი

ჩემი ვედრება თუ ოდესმე უნდა აღსრულდეს,
მე ვინატრებდი ბიძაშვილი სახელგანთქმული
რომ სტუმრებოდა ბერძენთ კარავს, ჩვენთან, კარვებში.

დიომედე

აგამემნონიც ამას ამბობს, თვით აქილევსიც,
სურთ უმასპინძლონ მამაც ჰექტორს, საჭურველახსნილს.

ჰექტორი

ენეას, ჩემთან, გთხოვ, მოუხმო ჩემს ძმას ტროილოსს.
და გადაეცი მომლოდინეთ, ტროელთა მბრძანებელს,
ამ მეგობრული საუბარის ეს შინაარსი
და შინ წავიდნენ. ბიძაშვილო, მომეცი ხელი
მოგყვები ლხინზე და რაინდებს თქვენსას გავიცნობ.

აიაქსი

შენს შესახვედრად მოდის გმირი აგამემნონი.

ჰექტორი

გთხოვ, სახელები მითხრა თქვენი დიდებულების;
აქილევსს გარდა, რადგან იგი უკვე ვიცანი,
გამორჩეული და ვეება მასა აქვს ტანი.

აგამემნონი

დიდების ღირსო, გესალმები მე, როგორც კაცი,
რომელსაც არ ჰყავს მტერი შენებრ ძლიერი ქვეყნად.
თუმც ეს არ არის მისალმება. გამიგე სწორად,
რაც უკვე მოხდა და შემდეგში რაც უნდა მოხდეს,
მოდი, ვეცადოთ, დავიწყებას მივცეთ ერთიან,
ხოლო ამჟამად ჩვენმა რწმენამ და სიტყვამ წრფელმა
განლევნოს სრულად სიყალბე და ღვარძლი გულიდან.
მე ამას გეტყვი ვაჟკაცური პირდაპირობით,
რომ დიდო ჰექტორ, გულმხურვალედ მოგესალმებით.

ჰექტორი

მადლობას გიძღვნი მეუფეო, აგამემნონო.

აგამემნონი (ტროილოსს)

შენც გესალმებით, უფლისწულო, დიდი ტროადან.

მენელაოსი

მეც ვუერთდები, დიდებულის ჩემი ძმის სალამს.
ორთავ მეომარს, ძმებს, აქ ჩემთან მოგესალმებით.

ჰექტორი

ვის ვუპასუხოთ?

ენეასი

მენელაოსს კეთილშობილსა.

ჰექტორი

ბატონო ჩემო, მე ხელთათმანს ვფიცავ მარსისა,
მადლობას გიძღვნი. არ დამძრახო, რაც უნდა გითხრა.
შენი ყოფილი ცოლი ჰფიცავს ვენერას თათმანს,
რომ კარგად არის; მოკითხვა კი არ დამაბარა.

მენელაოსი

მისი სახელი არ მიხსენო, ამაზრზენია.

ჰექტორი

ო, მაპატიე, უნებლიედ რომ გაწყენინე.

ნესტორი

მე მინახავხარ ხნკეთილო ტროელო ხშირად,
რა სისასტიკით იკაფავდი გზას ბერძენთ შორის
ბედს მინდობილი. მინახავხარ ვით პერსეოსინ
გახურებული, დეზს რომ ჰკრავდი ფრიგიულ მერანს,
არად აგდებდი შესაწირსაც და დასაზოგსაც,
როდესაც მახვილს შენ ჰაერში აელვარებდი
და არ ჩასცემდი დაცემულებს; და მითქვამს ბევრჯერ
ამ ამბის მომსწრეს მე სხვებისთვის „შეხედეთ, ეს თვით
იუპიტერი ჩამოსულა — სიცოცხლეს ჩუქნის“.
მე მინახავხარ, როს ბერძენთა რკალში მომწყვდეულს
შეგისვენია, რომ მოგეთქვა დაღალულს სული,
ვით ოლიმპიელ მოჭიდავეს. მე ეს მინახავს...
მაგრამ მაგ სახეს, მუდამ დაცულს მუზარადითა,
პირველად ვხედავ. მე მცნობია ბაბუაშენი[7], —
შევბრძოლებივარ. მეომარი ის კარგი იყო.
მაგრამ მარსს ვფიცავ, ყოველ ჩვენგანს რომ
წინამძღოლობს,
შენ ვერ გჯობნიდა. ნება დამრთე, მოხუცი კაცი
გადაგეხვიო, ჩვენს კარვებში მოგიპატიჟო.

ენეასი

ეს ხომ მოხუცი ნესტორია.

ჰექტორი

მოდი, გეხვევი, ხარ ცოცხალი შენ მატიანე
და რა ხანია მიაბიჯებ ხელიხელ დროსთან.
გულში რომ გიკრავ, მიხარია, დარბაისელო.

ნესტორი

ჯობდა ბრძოლისას შეხვედროდნენ ჩვენი ხელები
რომლებიც ახლა ერთურთს შეხვდნენ თავაზიანად.

ჰექტორი

მართლაც რომ ჯობდა!

ნესტორი

ჰა, თეთრ წვერს ვფიცავ, შეგებმოდი ხვალ უსათუოდ
თუმცა მობრძანდი... დროებისა მომსწრე ვარ ბევრის...

ულისე

მიკვირს, როგორ დგას ის ქალაქი, როდესაც ჩვენთან
არის იმისი საძირკველი და დასაყრდენი.

ჰექტორი

ულისევ დიდო, ვიცნობ მე შენს კეთილგანწყობას.
ამოჟლეტილა ეჰ, მრავალი ბერძენ-ტროელი
რაც მე გიხილეთ: შენ იყავი და დიომედე
ჩვენს ილიონში, საბერძნეთის დესპანებს ახლდით[8].

ულისე

გახსოვს ბატონო, რომ გითხარი, რაც მოხდებოდა?
წინასწარხილვა ნახევარი აღსრულდა ჯერეთ,
რადგან მაგ კედლებს, თქვენს ქალაქს რომ ლაღად არტყია
და მტკიცე კოშკებს, კეკლუცად რომ ღრუბელს კოცნიან,
საკუთარ ფუძეს ვაამბორებ.

ჰექტორი

ვერ დავიჯერებ.
აგერ ისინი კვლავაც დგანან. მე ასე ვფიქრობ
რომ ფრიგიული, დაცემული, ყოველი ლოდი
ბერძნებს წვეთ სისხლად დაგიჯდებათ. ყველაფერს
ქვეყნად
აქვს დასასრული და ჟამთასვლა, მსაჯული ძველი,
ერთ დღესაც ყოველს დაასრულებს[9].

ულისე

მაშ მას მივენდოთ.
კეთილშობილო და მამაცო ჰექტორ, მობრძანდი
აგამემნონის შემდეგ მე გთხოვ, რომ დამეწვიო.
ჩემთან კარავში მოვილხინოთ, — გეპატიჟები.

აქილევსი

მე შენ დაგასწრებ თუმც ულისევ, ჩემო ბატონო.
ახლა კი, ჰექტორ, მე შენ გჭამდი თვალებით დიდხანს,
რომ შემესწავლე დაწვრილებით, იცოდე ჰექტორ
დაგიმახსოვრე ნაჭერ-ნაჭერ.

ჰექტორი

აქილევსი ხარ?

აქილევსი

დიახ, გახლავარ აქილევსი.

ჰექტორი

ერთი შესდექი, რათა დავტკბე მე შენი ცქერით.

აქილევსი

აჰა, გაძეხი.

ჰექტორი

მადლობთ, უკვე მეც გეახელით.

აქილევსი

ძალიან სწრაფად! თუ მეორედ დრო მოვიხელთე,
როგორც მუშტარი ასო-ასო აგწონ-დაგწონი.

ჰექტორი

და წამიკითხავ, ვითარცა წიგნს რაინდობაზე.
თუმცა მეტი ძევს ჩემში უფრო, ვიდრე შენ ხედავ.
რას დამაშტერდი და დამთრგუნველ თვალს არ მაშორებ?

აქილევსი

მითხარი, ზეცავ! ამ სხეულის რომელ ნაწილში,
აქეთ თუ იქით უნდა ჩავცე, რომ იგი მოვსპო?!
დამისახელე, სად იქნება ჭრილობის პირი,
ჰექტორის მძლავრი საიდანაც ამოვა სული!
ო, მიპასუხე, მიპასუხე, მაღალო ზეცავ!

ჰექტორი

ღმერთებს ღირსება მაგ პასუხით შეელახებათ;
ამაყო კაცო, შესდექ ცოტაც! ხომ არ გგონია,
რომ ჩემი მოკვლა არის მხოლოდ თავგასართობი
ვარაუდი და მკითხაობა იმის შესახებ,
სად უნდა დამკრა სასიკვდილოდ?

აქილევსი

დიახაც, სწორედ.

ჰექტორი

თვით ორაკულიც რომ იყო შენ — არ დაგიჯერებ.
ამიერიდან კი მიფრთხილდი, რადგან არ ჩაგცემ
აქა და იქა, ან კიდევ იქ. — როგორც შენ ფიქრობ,
არამედ ვფიცავ, გრდემლს, რომელზეც მარსის ჩაფხუტი
გამოუჭედავთ — სადაც ჩაგცემ, ყოველგან მოგკლავ!
თქვენ კი ბერძენნო, გონიერნო, გთხოვთ მომიტევოთ
ეს დამუქრება. თუმცა საქმით ვცდი დავამტკიცო,
რაც კი შევპირდი. თუ არა და...

აიაქსი

გთხოვ, ბიძაშვილო,
ნუ აღეგზნები. აქილევსო შენ კი მუქარას
თავი ანებე; და შემთხვევა ანდა განგება
შენ უსათუოდ კიდევ ბევრჯერ გარგუნებს ჰექტორს,
თუ ივაჟკაცე. თუმცა ვეჭვობ, რომ ნება დაგრთოს
მთავართა საბჭომ, ეს ქიშპობა კვლავ გააგრძელო.

ჰექტორი

გემუდარები, მოდი შევხვდეთ ჩვენ ბრძოლის ველზე.
მას შემდეგ, რაც შენ გამოაკლდი ბერძენთა ბანაკს
ჩვენთვის ეს ომი ფუჭი გახდა!

აქილევსი

მაგას მთხოვ მართლა?
მაშ სიკვდილივით ულმობელი მე ხვალ შეგხვდები!
ახლა გმეგობრობ.

ჰექტორი

მომეც ხელი თანხმობის ნიშნად.

აგამემნონი

ჯერ წამობრძანდით ჩემს კარავში, ბერძენთ მთავრებო, —
იქ მოვილხინოთ, შემდეგ როგორც ჰექტორს ენებოს,
უთუოდ ყველა მოინდომებთ, რომ დაპატიჟოთ
და პატივი სცეთ. ასე, ყველას ის ესტუმრება.
დასცხეთ დაფდაფებს, ააჟღერეთ ყველა საყვირი,
ჩვენ სტუმარს როგორ ვეგებებით, — თვით ნახავს გმირი.

(ყველანი ეადიან ტროილოსის და ულისეს გარდა.)

ტროილოსი

ულისევ დიდო, მიმასწავლე, გემუდარები —
საითკენაა ამ მინდორზე კალხასის ბინა.

ულისე

მენელაოსის კარავშია, ბატონიშვილო,
ამალამ მასთან დიომედე ნადიმობს თურმე,
რომელიც ახლა არც ცას უცქერს, არც დედამიწას —
თვალს არ აშორებს, სიყვარულის მიაპყრობს მზერას
მის მზეთუნახავ ქალს — კრესიდას.

ტროილოსი

ჩემო ბატონო, შენ ძალიან დამავალებდი,
აგამემნონის კარავიდან გამოსვლის შემდეგ
მიმაცილებდი თუკი მასთან.

ულისე

გთხოვ მიმსახურო.
შენ კი მითხარი, თქვენს ტროაში ნეტა კრესიდას
რით სცემდნენ პატივს? გულის სწორი ცრემლს თუ
ღვრის მასზე.

ტროილოსი

ბატონო ჩემო, ვინც ჭრილობით ამაყობს თვისით,
დაცინვის ღირსი არის იგი. ხომ არ წავიდეთ?
იგი უყვარდათ, სატრფოც ჰყავდა — ასეა დღესაც,
ბედის საჯიჯგნი გახდა გრძნობა — ფუჭია კვნესა.

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ბერძენთა ბანაკი. სცენა აქილევსის კარვის წინ.

შემოდიან აქილევსი და პატროკლე.

აქილევსი

ბერძნული ღვინით გავახურებ ამალამ მის სისხლს,
ხვალ გავაგრილებ მე მას ჩემი ბასრი მახვილით.
პატროკლევ, უნდა სათანადოდ გავუმასპინძლდეთ.

პატროკლე

აგერ თერსიტეც მობრძანდება.

(შემოდის თერსიტე.)

აქილევსი

ახალს რას იტყვი
გულლვარძლიანო, უქმურობის სახიერებავ!

თერსიტე

სახეზევე გახატია რაცა ხარ, ბრიყვთაყვანისმცემლების
კერპო, აგერ წერილი მოგიტანე.

აქილევსი

საიდან, ნაწილაკო?

თერსიტე

საიდან? შე მთლად უტვინოვ! საიდან და ტროადან!

პატროკლე

ახლა ვისთანაა ჰექტორი?

თერსიტე

ეგ ტორი მკლავზე არ გაბია? საღ უნდა იყოს!

პატროკლე

კარგი ნათქვამია, შე უბადრუკო! მაგრამ რად გინდა
სულ ეს ქილიკობა?

თერსიტე

გემუდარები, შენ მაინც ხმა გაკმინდე, ყმაწვილო. შენ ლაყბობას რა ხეირი აქვს. ამბობენ რომ აქილევსის მოახლე კაცი ხარ.

პატროკლე

მოახლე კაცი? რას გულისხმობ შე რეგვენო?

თერსიტე

რასა და მის მამრობით კახპას. შე სიდამპლევ სამხრეთული სენისა[1], ნაწლავების გადახლართვავ, თიაქარო, კატარო, ჭაჭებში ქვიშავ, საღათას ძილო, დამბლავ, დასისხლიანებულო თვალებო, გახრწნილო ღვიძლო, ფილტვებში სისინო, ბუშტებში ჩირქო, წელკავო, ხელის გულებზე საკირე ღუმელო, ძელების უკურნებელო სენო[2], მემკვიდრეობითო სირსველავ და კიდევ და კიდევ მრავალო ასეთო უაზრო გამონატყვრენო.

პატროკლე

რატომ, შე მურტალო შურის სკივრო, შენა? რატომ მლანძღავ ასე?

თერსიტე

გლანძღავ?

პატროკლე

არა! წამხდარო ტაკიმასხარა, შე კახპისშვილო. შე ქუჩის ძაღლო, რასაკვირველია არა!

თერსიტე

არა?! აბა მაშ რამ გაგაცოფა. შე ფუჭო, აბრეშუმის ხამი ძაფის გორგალო, შე მწვანე სარჩულის კალთავ, მტკივან თვალში ამოსასმელო[3]; მფლანგველის ქისის ფოჩი ხარ შენა. ეჰ, ნეტა ეს საბრალო დედამიწა როგორ უძლებს შენნაირ ქინქლებს, ბუნების დამცირებას.

პატროკლე

გაეთრიე, შე ნაღველავ, შენა.

თერსიტე

შე სკვინჩას კვერცხო.

აქილევსი

პატროკლევ ტკბილო, ვერ ვასრულებ ხვალის დიდ მიზანს,
მაიძულებენ, რომ ბრძოლაში არ გამოვიდე.
აი, ჰეკუბა დედოფლისა წერილი და მას
მისი ასულის[4], ჩემი სატრფოს ნიშანი მოჰყვა;
ორთავ მავალებს, მაიძულებს ვიყო ერთგული.
ჩემი ფიცისა და მეც არ მსურს ფიცი გავტეხო.
ხოცონ ბერძნები. დე, ჩემს სახელს მიადგეს ჩრდილი.
გადაწყდა უკვე, ჩემი ფიცის ერთგულად ვიქცე.
წამო თერსიტე, რომ გავმართოთ კარავი ჩვენა,
გათენებამდე, მთელი ღამე გაგრძელდეს ლხენა!
წამო პატროკლევ.

(აქილევსი და პატროკლე გადიან.)

თერსიტე

მოჭარბებული სისხლითა და ნაკლები ტვინით ორთავე გააფრენს, მაგრამ თუ ნაკლები სისხლითა და ჭარბი ტვინით გააფრინეს, მაშინ მაგათ მე მოვარჯულებ. აი, აგამემნონი აიღე, პირდაპირი კაცია და კახპები უყვარს, მაგრამ ჭკუა უფრო ნაკლები აქვს ვიდრე ყურში გოგირდი. აი მისი ძმა კი — იუპიტერის გარდასახვაა, ხარიან; რქიანი ქმრების უკვდავსაყოფი ქანდაკებაა და მეტი არაფერი, თავის ძმის ფეხზე ჯაჭვით ჩამოკიდებული ფეხსაცმელების ჩასაცმელი კაწაპია; აბა რა გამოვა თუ გონება ბოღმითა აქვს გაპობილი და ბოღმა გონებით გამაგრებული? რა და ვირი: ჰოდა, ორთავეა ვირიცა და ხარ-კამეჩიც, ჰოდა, მაშ კამეჩიცაა; ე. ი. კამეჩიცაა და ვირიც. აი, ძაღლი რომ ვიყო ან ჯორი, კატა, ქრცვინი, გომბეშო, ხვლიკი, ბუ, ძერა ან ქაშაყი უქვირითოდ, ეგ არაფერია, მაგრამ მენელაოსი რომ ვიყო! ღმერთმანი ჩემს ბედს ავუჯანყდებოდი. ნუ მკითხავთ, რა გინდა იყო, რომ თერსიტე არ ყოფილიყავიო, რადგან სულ ერთია, თუნდაც კეთროვანის ტილი ვიყო, ოღონდ მენელაოსი ნუ ვიქნები. ეჰეი! სულები მიემართებიან ჩირაღდნებით.

(შემოდიან ჰექტორი, ტროილოსი, აიაქსი, აგამემნონი, ულისე, ნესტორი, მენელაოსი და დიომედე ჩირაღდნებით.)

აგამემნონი

ჩვენ გზა აგვებნა, გზა აგვებნა!

აიაქსი

არა, სინათლე აგერ გამოკრთის შორიახლოს.

ჰექტორი

როგორ გაწუხებთ!

აიაქსი

არა, რას ამბობ.

ულისე

აგერ ისიც, თვით გაგიძღვებათ.

(ბრუნდება აქილევსი.)

აქილევსი

სალამი ჰექტორს უმამაცესს, სალამი თქვენდა.

აგამემნონი

დიდო ტროელო უფლისწულო, გემშვიდობები,
შენ გამცილებლებს მეთაურობს თვით აიაქსი.

ჰექტორი

დიდი მადლობა და მშვიდობით, ბერძენთ ბელადო.

მენელაოსი

ღამე მშვიდობის, უფლისწულო.

ჰექტორი

ღამე მშვიდობის, მენელაოს, ტკბილმოუბარო.

თერსიტე

ტკბილო სანაგვე ორმოვ! თქვა რაღა ტკბილმოუბაროო! ტკბილო ჩენმა, ტკბილო ნეხვის ორმოვ!

აქილევსი

მოგესალმებით ყველას ერთად, წამსვლელთ თუ მომსვლელთ.

(გადიან აგამემნონი და მენელაოსი.)

აქილევსი

რჩება მოხუცი აქ ნესტორი, შენც დიომედევ დარჩი და ჰექტორს გაუწიე მეინახობა.

დიომედე

არ შემიძლია მე ბატონო, დიდი საქმე მაქვს, უნდა წავიდე, დროა უკვე, მშვიდობით, ჰექტორ!

ჰექტორი

მომეცი ხელი.

ულისე (ტროილოსს განზე)

მის ჩირაღდანს გამოედევნე, კალხასის კარავს მიადგება. მეც გამოგყვები.

ტროილოსი

ბატონო ჩემო, დიდ პატივს მდებ!

ჰექტორი

აბა მშვიდობით!

(დიომედე გადის, ულისე და ტროილოსი მიყვებიან.)

აქილევსი

მაშ წამობრძანდით, ინახულეთ ჩემი კარავიც.

(გადიან აქილევსი, ჰექტორი, აიაქსი და ნესტორი.)

თერსიტე

დიომედეც ორგული ნაძირალაა, ყველაზე ცბიერი გაიძვერაა. მაგის ლაპარაკს ისევე ვენდობი, როგორც გველის სისინს; დაპირებისას ისევე გულუხვია, როგორც ქოფაკი ყეფისას. მაგრამ დანაპირებს როდის შეასრულებს, იმ დღეს ვარსკვლავთმრიცხველნი თუ იწინასწარმეტყველებენ, რადგან ეს საოცრება იქნება, რაღაც ცვლილების მომასწავებელი. ისე კი, მზე მთვარეს უფრო ადრე დაესისხება შუქს, ვიდრე დიომედე თავის სიტყვას შეასრულებდეს. ჯობს ჰექტორს თავი დავანებო და ამას ავედევნო. ამბობენ ტროელი კახპა უშოვნია და მოღალატე კალხასის კარავში მალავსო. უნდა გავყვე-ყველგან გარყვნილება სუფევს. ყველა აღვირახსნილი ავაზაკია.

(გადის.)

სურათი მეორე

სცენა კალხასის კარვის წინ.

შემოდის დიომედე

დიომედე

აბა, მანდა ხარ? ხმა გამეცი! ჰეი, არ გესმის?

კალხასი (სცენის უკან.)

ეს ვინ იძახის?

დიომედე

დიომედე ვარ. შენ? კალხასი? შვილი სადა ყყავს?

კალხასი (სცენის უკან)

ახლავე გეახლება.

(შემოდიან ტროილოსი და ულისე. მოშორებით დგებიან. უკან თერსიტე მოჰყვებათ.)

ულისე

ისე დადექი ჩირაღდანმა არ მოგვანათოს.

(შემოდის კრესიდა.)

ტროილოსი

კრესიდა მოდის!

დიომედე

სამეურვეოვ, როგორ ხარ, ჩემო?

კრესიდა

ტკბილო შეურვევ, ერთი სიტყვა მინდა რომ გითხრა. (უჩურჩულებს.)

ტროილოსი

შეხედე როგორ დაახლოვდნენ.

ულისე

კაცს პირველსავე დანახვაზე უმღერებს ოცი.

თერსიტე

და პირველივე კაციც აამღერებს თუ გასაღები მოარგო. კარგი დასაკრავია.

დიომედე

დაიმახსოვრებ?

კრესიდა

რა თქმა უნდა, დავიმახსოვრებ.

დიომედე

მაშ დაიხსომე.
და შენი აზრი შენსავ სიტყვებს შეეხმატკბილოს.

ტროილოსი

რა უნდა დაიმახსოვროს?

ულისე

უსმინე!

კრესიდა

ტკბილო ბერძენო, დათაფლულო, ნუღარ მაცთუნებ!

თერსიტე

რა მზაკვრობაა!

დიომედე

ჰო, აბა მაშინ...

კრესიდა

იცი მე შენ რა უნდა გითხრა...

დიომედე

ღმერთმა დალახვროს, მითხარ-მეთქი, ფიცს რატომ ტეხავ?

კრესიდა

ვფიცავ, არ ძალმიძს. მაინც რა გსურს რომ გავაკეთო?

თერსიტე

თვალთმაქცური ფანდია, ვითომ გულღიაა და თანაც კუკუმალაობს.

დიომედე

აკი მითხარი რალაც უნდა გისაჩუქროო?

კრესიდა

გემუდარები, შესრულებას ნუ მომთხოვ ფიცის.
ტკბილო ბერძენო, შეგისრულებ სხვას, რასაც გინდა.

დიომედე

ღამე მშვიდობის.

ტროილოსი

ო, მოთმინებავ, მოთმინებაე!

ულისე

რაო, ტროელო?

კრესიდა

დიომედე...

დიომედე

ღამე მშვიდობის, შენ მე მეტად ვერ გამაბრიყვებ.

ტროილოსი

გაბრიყვდე გიჯობს...

კრესიდა

ყურში გეტყვით მხოლოდ ერთ სიტყვას.

ტროილოსი

დალახვროს ეშმაკმა!

ულისე

ბოღმამ შეგიპყრო უფლისწულო, მე გთხოვ წავიდეთ.
გატყობ გულის ჯავრს ვერ ერევი. ვაითუ რამე წამოგცდეს რისხვით. სახიფათო ადგილასა ვართ.
წასვლის დრო არის ახლა სწორედ. მე გთხოვ წავიდეთ.

ტროილოსი

გთხოვ შევიცადოთ.

ულისე

არა, არა, უნდა წავიდეთ.
აღელვებულხარ, შენ ძალიან. წამო, ბატონო.

ტროილოსი

გთხოვ, ცოტაც დავრჩეთ.

ულისე

თაეს ვერ იჭერ, ჯობს რომ წავიდეთ.

ტროილოსი

გთხოვ შევიცადოთ. ჯოჯოხეთის ტანჯვასა ვფიცავ არ ამოვიღებ ერთ სიტყვასაც.

დიომედე

ღამე მშვიდობის.

კრესიდა

გაბრაზებული რომ მიდიხარ?

ტროილოსი

ნუთუ შენ სწუხარ?
სიმართლევ მწარევ!

ულისე

სუ! ბატონო.

ტროილოსი

ეუპიტერო.
მომათმენინე.

კრესიდა

მეურვეო! ჰეი, ბერძენო?

დიომედე

ფუი ეშმაკსა, მაშ მშვიდობით! მატყუებ ისევ.

კრესიდა

ვფიცავ რომ არა. კიდევ ერთხელ ხომ მოხვალ ჩემთან?!

ულისე

ბატონიშვილო, რას ცახცახებ. უნდა წახვიდე
ეელარ მოითმენ.

ტროილოსი

ეფერება!

ულისე

წამოდი, წამო!

ტროილოსი

არა! გავჩერდეთ. გეფიცები მე იუპიტერს,
კრინტს აღარ დავძრავ. მოთმინება უკვე დარაჯად
ჩემსა და წყენას შუა ჩადგა, ცოტაც შეეყოვნდეთ.

თერსიტე

აბა ერთი შეხე ავხორცობის ეშმაკი თავისი სქელი
გავითა და კოტიტა თითებით როგორ ულიტინებს ყველას.
ითუხთუხე გარყვნილებავ, ითუხთუხე!

დიომედე

მაშინ ინებებ შეასრულო დანაპირები?

კრესიდა

შეგფიცავ, მენდე. თუ არა და მეტს ნუ მენდობი.

დიომედე

რამე ნიშანი სამახსოვრო საწინდრად მომეც.

კრესიდა

მაშ გამოგიტან ამწუთშივე (გადის.)

ულისე

შენ მოთმინება შემომფიცე!

ტროილოსი

ნუ გეშინია.
ჩემს საკუთარ თავს მოვერიე. არც იმას გავცემ
რასაცა ვფიქრობ. მოთმინებად ვიქეც ერთთავად.

(ბრუნდება კრესიდა.)

თერსიტე

აჰა გირაოც გამოიტანა. აბა მიდი, მიდი!

კრესიდა

აი სახსოვრად, დიომედევ, გქონდეს სახელო.

ტროილოსი

ო, სილამაზევ, ერთგულება სად არის შენი?

ულისე

ბატონო ჩემო!

ტროილოსი

თავს ვიკავებ, მოვითმენ-მეთქი!

კრესიდა

აი, შეხედე ამ სახელოს და გაუფრთხილდი...
როგორ ვუყვარდი!.. ვუღალატე!.. მომეცი უკან!...

დიომედე

ეგ ვისი იყო?

კრესიდა

მაგას არ გეტყვი. ჩემი არის იგი ხომ ახლა.
მე ხვალ საღამოს არ შეგხვდები... და არ მოხვიდე.
გემუდარები, დიომედე. ნუ მოხვალ-მეთქი.

თერსიტე

ახლავე ალესავს; კარგად კი უთხრა; სალესი ქვაა.

დიომედე

მომეცი-მეთქი!

კრესიდა

რა? ეს გინდა?

დიომედე

დიახ, სწორედ ეგ!

კრესიდა

ჰოი ღმერთებო! საწინდარო სიყვარულისა
შენი პატრონი ლოგინში წევს და ჩვენზე ფიქრობს:
ჩემზე და შენზე. თანაც ოხრავს. აიღებს თათმანს
ჩაეკონება სანუკვარ ნივთს, სახსოვარს ჩემსას.
ვითარცა მე შენ. ნუ წამართმევ! რადგანაც ვისაც
ამ ნივთს ვუბოძებ, გავაყოლებ მას ჩემს გულს თანვე.

დიომედე

ადრევე მქონდა შენი გული. ეს კი მას მოსდევს.

ტროილოსი

მოვითმენ-მეთქი დავიფიცე!

კრესიდა

არა, არ მოგცემ, დიომედეე. ო, ვფიცავ არა!
სხვა რამეს მოგცემ.

დიომედე

არა. ეს მქონდეს. ვისი არის?

კრესიდა

რად უნდა გითხრა?

დიომედე

მითხარი-მეთქი ვისი იყო?

კრესიდა

იმისი იყო, ვისაც შენზე მეტად ვუყვარდი.
ახლა წაიღე, შენი იყოს.

დიომედე

მაშ ვისი იყო?

კრესიდა

დიანას ყველა მხეცალს ეფიცავ!, და მასაც ვფიცავ,
არავის ვეტყვი ქვეყნად სახელს, ეს ვისიც იყო.

დიომედე

ხვალ მე ჩაჩქანზე დავიმაგრებ, იცოდე მაგას
და პატრონს სული წაუწყმდება თუ არ გამოტყდა.

ტროილოსი

ტარტაროზიც რომ ბრძანდებოდე და რქაზე გქონდეს
წამოგებული. გამოგიწვევ ბრძოლაში მაინც.

კრესიდა

რაც იყო, იყო. წარსულია... თუმცა კი არა:
სიტყვას არ ვიცავ.

დიომედე

აბა მაშინ, კარგად იყავი.
სხვა დროს ნულარ ცდი დიომედე რომ გააცურო.

კრესიდა

ასე ვერ წახვალ. ნუთუ სიტყვის თქმა არ იქნება?
რად აენთები ასე უცებ?!

დიომედე

არ მსურს გაებრიყვედე.

თერსიტე

ეგ არც მე მიყვარს, პლუტონს ვფიცავ. სხვა რომ
ბრიყვდება ეგ უფრო მირჩევნია.

დიომედე

მაშ მე მოვიდე? როდის გინდა?

კრესიდა

ო, მოდი, მოდი!
იუპიტერო, ნუ შემრისხავ.

დიომედე

მაშ გეთხოვები.

კრესიდა

ღამე მშვიდობის, გეეჭვები მალე მოხვიდე. (დიომედე გადის.)
ჩემო ტროილოს, გეთხოვები! თვალი გჭვრეტს ცალი,
ეს ჩემი გული იხედება მეორე თვალით.
ასეთები ვართ, ჩვენ ქალები, ცოდვის მონები,
თვალის შეცდომას უმალვე ქედს ვუხრით ვნებით.
ყველა შეცდომა ცოდვა არის — გამოდის ასე —
გონებას თვალი თუ განაგებს, ურცხვობით ავსებს.

(გადის.)

თერსიტე

არ შეიწუხოს საბუთისთვის მან მეტად თავი
უპრიანია, მოკლედ მოსჭრას — „გავხდი შეძავი“.

ულისე

მორჩა ბატონო.

ტროილოსი

მართლაც მორჩა.

ულისე

მაშ რაღას ეუცდით?

ტროილოსი

მინდა ყოველი წარმოთქმული სიტყვა, მარცვალი
დავიმახსოვრო, აღვიბეჭდო, მაგრამ რომ ვფიქრობ
რასაც ისინი სჩადიოდნენ, თვითონ არ მჯერა.
ცხადი იყო, თუ მომეჩვენა, ვერ გამიგია.
და რადგან მაინც, ჯერაც რჩება რწმენა ჩემს გულში
და იმედი მაქვს მე რატომღაც, ძალიან დიდი,
რომ მატყუებენ ეს თვალები და მასთან სმენაც,
თითქოს ისინი არსებობენ, რომ შეგაცდინონ
და ჩირქი მოსცხონ ყოველივეს. აბა, კრესიდა
აქ როდის იყო!

ულისე

ჯადოქრობა არ შემიძლია.

ტროილოსი

ის არ ყოფილა!

ულისე

როგორ არა, სწორედ ის გახლდათ!

ტროილოსი

მაგას რომ ვამბობ, რა გგონია, გიჟი ვარ განა?!

ულისე

გიჟი არც მე ვარ, სულ ახლახან აქ იყო იგი.

ტროილოსი

ნუ დამაჯერებ! ქალთა მოდგმა მაინც დაინდე!
ჩვენი დედები გაიხსენე. ნუ მივცემთ საბაბს
ჭორიკანებმა უსაფუძვლოდ ილესონ ენა
კრესიდას გამო, ზნეწამხდრობა დასწამონ ქალებს.
მოდი ვიფიქროთ, რომ კრესიდა არ იყო იგი.

ულისე

რა ჰქნა ისეთი, რომ ჩვენ დედებს მან ჩირქი მოსცხო?

ტროილოსი

არც არაფერი, ოღონდ იგი თვითონ არ იყო.

ულისე

ნეტა ვიცოდე საკუთარ თავს რად ისულელებს?

ტროილოსი

ის იყო? არა! დიომედეს კრესიდა გახლდათ!
თუ სილამაზეს სული ახლავს... იგი არ იყო...
და სული ფიცს რომ წარმართავდეს და თავად ფიცი
რომ იყოს მხოლოდ თვალთმაქცობა, და თვით ღმერთები
თავს რომ იქცევდნენ თვალთმაქცობით, და ამ ერთობას
რომ ერქვას წესი, — ის კრესიდა არ არის მაინც.
ჰოი, სიგიჟევ მსჯელობისა, შენ ხომ მიზეზი
ალგძრავს ხან თვისდა სასიკეთოდ, ხან საზიანოდ.
შენი ორმხრივი განჩინებით — გონებას ძალუძს
აჯანყდეს ხოლმე ისე, თავი რომ არ წააგოს,
ხოლო წაგებას გამართლება აუჯანყებლად
გამოუძებნოს... კრესიდაა? არის! არ არის!
გამართულია ორთა ბრძოლა ჩემს სულსა შიგან,
და რაც აქამდე იყო ერთი, განუყოფელი
გაიყო უფრო ვიდრე სფერო ცისა და მიწის.
მიუხედავად ასე მკვეთრად შუა გაყოფის,
მაინც არ რჩება იმათ შორის პატარა ხვრელი,
თუნდაც არაქნეს წმინდა ძაფი რომ გაეტიოს.
ჭეშმარიტებავ, ვით პლუტონის კარიბჭენ მყარო!
ვარ კრესიდასთან ციურ ბანდით გადანასკვული.
ჭეშმარიტება მყარი არის, ისე ვით ზეცა,
მაგრამ ის ბანდი დაიშალა, მოეშვა, გაქრა
და ხელმეორედ გაიკვანძა ხუთივე თითით.
თავისი ფიცის ნაკუწებით, გრძნობის ნამსხვრევით,
გამოხრულ რწმენის ნარჩენებით ნაკოწიწები
ბანდით დიომედს გადაესკვნა ახლა კრესიდა.

ულისე

ნეტავ ტროილოს, ღარსეულო, მაგ ვნების ძალა
თუნდ სანახევროდ არის შენივ სიტყვების ფარდი?

ტროილოსი

დიახ, ბერძენო! აშკარაა ეს ისე, ვითარც
მარიხის გული ასპიროზით აალებული
ნათელი არის. არ ჰყვარებია ქვეყნად არვის
ისე ერთგულად, ისე მძლავრად, როგორც მე მიყვარს.
გესმის, ბერძენო! ისე როგორც მიყვარს კრესიდა,
იმავე ძალით — დიომედე მე მეჯავრება;
ჩაჩქანს შებმული ის სახელო ჩემია-მეთქი.
და თვით ვულკანმა გაუჭედოს თუნდაც ჩაჩქანი
მაინც გავაპობ ამ მახვილით. და ქარაშოტი, —
რომელს უხმობენ ქარბორბალას მეზღვაურები, —
თვით ყოვლისშემძლე მზის მარწუხით შეერთებული
ერთ მთლიან ბორბლად, ისეთ ზათქით ვერ დააცხრება
ნეპტუნის სმენას, ვით მახვილი, დიომედეს რომელსაც
დავკრავ.

თერსიტე

იცოცხლე შეახურებს ავხორცობისთვის!

ტროილოსი

ყალბო კრესიდავ, მოღალატევ, ყალბო და ყალბო.
ყველა მაცდური შენს სანაცვლოდ რომ ერთად დადგეს
მაინც იქნება შენზე წმინდა.

ულისე

ო, დაშოშმინდი,
ეგ აღელვება ყურს მოაპყრობს უთუოდ ჩვენსკენ.

(შემოდის ენეასი.)

ენეასი

ბატონიშვილო, რა ხანია შენ დაგეძებდი,
ჰექტორი უკვე აბჯარს ისხამს ახლა ტროაში;
შენთან დარჩება აიაქსი, რომ გაგაცილოს.

ტროილოსი

ახლავ მოვდივარ. გეთხოვები, რაინდო ზრდილო!
მშვიდობით იყავ მოღალატევ... დაიღვი თავსა
ციხე-სიმაგრე დიომედევ, — საქმეს გიქმ ავსა.

ულისე

მაშ კარიბჭემდე მიგაცილებ.

ტროილოსი

მინდა მადლობა მოგახსენო მე შენ უღრმესი.

(გადიან ტროილოსი, ენეასი და ულისე.)

თერსიტე

ნეტა ერთი ეს ავაზაკი დიომედე შემახვედრა. იცოცხლე, ყვავივით დავჩხავლებდი ავის მომასწავებლად. პატროკლე ყველაფერს მომცემს, ამ კაბპის ამბავს რომ ვამცნობ. თუთიყუში ნუშისთვის უფრო ნაკლებს გაირჯება, ვიდრე პატროკლე ამ სახეირო მეძავისათვის. მრუშობა, მრუშობა, მხოლოდ ომი და მრუშობა. ამას მუდამ ჰყავს მუშტარი. ეშმაკსაც წაულია ყველანი. (გადის.)

სურათი მესამე

ტროა. პრიამეს სახახლის წინ.

შემოდიან ჰექტორი და ანდრომაქე.

ანდრომაქე

ჩემო მეუფევ, აგრე ფიცხი როდის ყოფილხარ,
რომ გაფრთხილება და მუდარა ყურად არ გეღოს?!
გთხოვ, შეიხსენი იარაღი, დღეს ნუ იბრძოლებ!

ჰექტორი

ნუ მაიძულებ მოგაყენო რაიმე წყენა,
შედი შინ-მეთქი, ღმერთებს ვფიცავ, უნდა წავიდე.

ანდრომაქე

სიზმარი ვნახე ავბედითი მე წუხელ ღამით.

ჰექტორი

გაჩერდი-მეთქი.

(შემოდის კასანდრა.)

კასანდრა

ჰექტორს ვეძებ, ჩემს ძმას. სად არის?

ანდრომაქე

აქ არის დაო! შეჭურვილი და სისხლმწყურვალი.
მხარი ამიბი, შევლაღადოთ მუხლზე დაცემით.
ჩვენ მას ხმამაღლა ვემუდაროთ. მე სიზმრად ვნახე
სისხლის მნთხეველი მძვინვარება. და მთელი ღამე
მესიზმრებოდა ხოცვა-ჟლეტა, — სხვა არაფერი.

კასანდრა

წინათგრძნობაა.

ჰექტორი

აგერ ჩემი საყვირიც ისმის.

კასანდრა

დღეს ნუ იბრძოლებ, ტკბილო ძმაო, გაფიცებ ზეცას.

ჰექტორი

გამშორდი-მეთქი. ჩემი ფიცი ესმოდათ ღმერთებს.

კასანდრა

ღმერთებს არ ესმით ბოლმით სავსე და შმაგი ფიცი;
იგი ზიზღსა ჰგვრის მათ ისევე, ვით უსუფთაო
ღვიძლი, ან სხვა რამ სიბინძურე — მსხვერპლთ
შეწირვისას.

ანდრომაქე

ო, დაიჯერე, შენსკენ იყოს თუნდ სამართალი,
როდესაც ვნება მოგაქვს სხვისთვის, მართალი არ ხარ.
რა სხვაობაა: შენთვის იხვეჭ ძალმომრეობით,
თუ — მოწყალება რომ გაიღო, იმისთვის ძარცვავ.

კასანდრა

ფიცის სიმტკიცეს მისი მიზნის სისწორე შეიქმს,
მცდარი მიზნისთვის დადებულ ფიცს არა აქვს ძალა.
ჩამოიხსენი იარაღი, უტკბესო ჰექტორ.

ჰექტორი

იყუჩეთ-მეთქი, არ გითხარით? მარტოდენ ჩემი
ღირსება არის გამგებელი ჩემის ბედისა.
სიცოცხლე ყველას ძვირად უღირს, მაგრამ ღირსეულთ
ღირსება უღირთ უფრო ძვირად, ვიდრე სიცოცხლე.

(შემოდის ტროილოსი.)

რაო, ჭაბუკო? შენც აპირებ დღეს ორთა ბრძოლას?

ანდრომაქე

კასანდრავ, ეგებ ხელი მამამ ააღებინოს.

(კასანდრა გადის.)

ჰექტორი

არა, ტროილოს აიხადე შენ საჭურველი.
ვაჟკაცის უღელს დღეს მე გავწევ. შენ კი აცალე
სანამ კუნთები შეგეკვრება უფრო ძლიერად.
ჯერ კი ადრეა, ნუ აჰყვები ბრძოლის ცდუნებას.
განიარაღდი, მე ვიბრძოლებ, ვაჟო მამაცო,
დღეს ჩემს წილადაც, შენს წილად და ტროას სანაცვლოდ.

ტროილოსი

ერთი ნაკლი გაქვს — გულჩვილობა — ბრძოლის დროს,
ძმაო,
ადამიანზე უფრო მეტად იგი ლომს შვენის.

ჰექტორი

რა ნაკლი არის? მაშ მაძაგე, კარგო ტროილოს.

ტროილოსი

ხშირად ბერძენი რომ ეცემა დამარცხებული,
შენ შემოქნეულ ხმალს აჩერებ და ნებასა რთავ,
რომ მან იცოცხლოს.

ჰექტორი

ვაჟკაცურად ვიბრძვი მე მხოლოდ.

ტროილოსი

ბრიყვულად იბრძვი, ჰექტორ ჩემო, ამ ზეცის მაღლმა.

ჰექტორი

ო, კარგი, კარგი.

ტროილოსი

ვფიცავ ღმერთებს, ბევრად აჯობებს
გადავულოცოთ გულჩვილობა საკუთარ დედებს.
ჩვენ კი, როდესაც საბრძოლველად ავისხამთ აბჯარს,
შურისძიებას დავსვამთ მხედრად ჩვენს მახვილებზე, —
დაუნდობლობას რომ ჰკრას დეზი შეუბრალებლად,
და შებრალებას დაუნდობლად მოსდოს ლაგამი.

ჰექტორი

ფუი, უგულოვ!

ტროილოსი

ბრძოლის წესი ეს არის ჰექტორ.

ჰექტორი

დღეს არ გაგიშვებ საბრძოლველად, ჩემო ტროილოს.

ტროილოსი

ნეტა ვიცოდე რა დამიშლის! ვერც ბედისწერა,
ვერც მორჩილება და ვერც სხვათა უკუმქცეველი
კვერთხი მარსისა, ცეცხლოვანი, ვერ შემაჩერებს.
ვერცა პრიამე და ჰეკუბა მუხლმოდრეკილი,
ცრემლიან თვალით მაცქერალნი ვედრებით ჩემსკენ,
და ვერც შენ, ძმაო, — მაგ მახვილით სამართლიანით
თუნდ წინ აღმიდგე! ვერა ძალა, სიკვდილის გარდა
ვერ შემაჩერებს.

(ბრუნდება კასანდრა პრიამესთან ერთად.)

კასანდრა

შენ შეაჩერე, მამაჩემო. იგი ხომ შენი
დასაყრდენია, შენ კი ტროას ხარ დასაყრდენი.
გამოგეცლება ოდეს იგი, თავს დაგვემხობა
მსწრაფლ ყველაფერი.

პრიამე

მოდი ჰექტორ, და შინ დაბრუნდი.
შენს ცოლს ესიზმრა, დედაშენსაც ხილვა ეწვია,
და კასანდრასაც წინათგრძნობამ ამცნო იგივე.
ზეშთაგონებით მეც ვემსგავსე წინასწარმეტყველს,
რომ შენ გაუწყო: ავბედითი არის დღეის ღამე.
ჰოდა, ნუ მიხვალ.

ჰექტორი

ენესი ბრძოლის ველზეა.
და მეც ბერძნები საბრძოლველად გამოვიწვიე.
მე ვაჟკაცობის ფიცის გამო უნდა გამოვჩნდე
დილააღრიან მათ წინაშე.

პრიამე

ნუ წახვალ-მეთქი!

ჰექტორი

სიტყვას ვერ გავტეხ. შენ ხომ მიცნობ, ეს არ მჩვევია.
მაშასადამე მამაჩემო, ნუ მაიძულებ
რომ ასე შევრცხვე, და მომეცი ნება წავიდე.
მაშ დამილოცე გზა, რომელსაც მე მინდა მივყვე
და შენ რომელსაც მიკრძალავდი, მეფევ პრიამე.

კასანდრა

ო, გთხოვ, პრიამევ, არ დაუთმო!

ანდრომაქე

ნუ უშვებ, მამავ!

ჰექტორი

შენ, ანდრომაქევ, განმარისხე ასეთი ქცევით.
მე თუ გიყვარვარ, შედი-მეთქი, ახლავე შინა.

(ანდრომაქე გადის.)

ტროილოსი

სიზმრებს ამყოლი, ცრუმორწმუნე სულელი გოგო,
წინასწარხილვას რომ იჩემებს.

კასანდრა

მშვიდობით, ჰექტორ!
შეხედეთ! როგორ კვდება იგი, უქრება თვალი,
შეხედეთ, როგორ სდის მას სისხლი ჭრილობებიდან,
შეხედეთ, როგორ ღელავს ტროა, ჰეკუბა მოთქვამს,
ხოლო საბრალო ანდრომაქე ხმამაღლა გოდებს.
აგერ, სიშმაგე, გახელება და გაოცება
ვით მსხვრები შეხვედრიან ერთიმეორეს
და გაჰყვირიან: ჰექტორ! ჰექტორ! ჰექტორი მოკვდა.

ტროილოსი

მოშორდი-მეთქი, წადი ახლავ!

კასანდრა

მშვიდობით ჰექტორ, მე მივდივარ, მაგრამ იცოდე,
ტროას ღალატობ და ამაოდ კარგავ სიცოცხლეს.

(გადის.)

ჰექტორი

გაოცებულხარ მეუფეო, მისი სიტყვებით,
გადი, ქალაქი ანუგეშე; — ვიბრძოლებთ ჩვენა.
ვიქმთ ისეთ რამეს, რომ შეაქებს ამაღამ ენა.

პრიამე

გზა დაგილოცონ დე ღმერთებმა, მშვიდობით, შვილო!

(ჰექტორი და პრიამე ცალ-ცალკე გადიან. განგაშის ხმა ისმის.)

ტროილოსი

უნდა მიფრთხილდე, დიომედევ, შენ, სასახელოვ,
ან შეგაკვდები, ან ვიბრუნებ უკან სახელოს.

(სანამ ტროილოსი გავა, მეორე მხრიდან პანდაროსი შემოდის.)

პანდაროსი

გესმის, ბატონო, გაიგონე, ბატონო ჩემო!

ტროილოსი

რაო რა გინდა?

პანდაროსი

წერილია საწყალ გოგოსგან.

ტროილოსი

აბა მომეცი, წავიკითხო.

პანდაროსი

ოჰ, ეს კახპისშვილი ხველება, ოხერი კახპისშვილი ხველება, როგორ მაწვალებს. თან კიდევ იმ გოგოს სულელური ბედიც ემატება. ან ერთი ან მეორე უსათუოდ ბოლოს მომილებს ამ დღეებში; ახლა ეს თვალებიც მიცრემლიანდება და ისე მტკივა ძვლები, რომ ალბათ ვიღაც მწყევლის, — აბა მეტი რა ვიფიქრო? რაო, რასა გწერს?

ტროილოსი

რასა და სიტყვებს, მხოლოდ სიტყვებს, უგულო სიტყვებს. სინამდვილეში სხვანაირად კი მიდის საქმე.

(წერილს დახევს.)

მიჰყევ ქარს ქარო, აირიე და ჩაენაცვლე.
სიყვარულს ჩემსას სიტყვებით და ცოდვებით კვებავს
საქმით კი დაჰყვა დიომედეს და იმის ნებას.

(გადიან სხვადასხვა მხარეს.)

სურათი მეოთხე

სცენა ტროასა და ბერძენთა ბანაკს შორის

განგაში... შეტაკებები... შემოდის თერსიტე.

თერსიტე

უკვე ფხაჭნიან ერთიმეორეს, წავიდე, ვნახო. ამ საზიზღარ თვალთმაქც და ნაძირალა დიომედეს ასევე ბილწი და გაიძვერა ტროელი შეყვარებულის სახელო წამოუცვამს თავის ჩაჩქანზე. სიამოვნებით ვიხილავდი როცა ერთმანეთს შეხვდებიან; ისე რომ, ამ ახალგაზრდა ტროელმა ვირმა, რომელსაც ასე ძალიან უყვარს კახპა, ეს ავხორცი სახელოიანი ვიგინდარა, უკან გაგზავნოს თავის ფლიდ მეძავთან უსახელოდ. მეორე მხრივ, ამ გაქნილ მოფიცართა თადარიგი ჩირადაც არ ღირს; არც ამ ამყაყებული, თავგის ნაჭამი, გამომხმარი ყველის, — ნესტორისა და არც ამ ხვადი მელიის — ულისესი. ქუჩის უჯიშო ძაღლი აიაქსი ასეთსავე ქეციან ქოფაკ აქილევსს აუხირდა და ახლა ეს ქოფაკი აიაქსი აქილევსს გაებუტა, ჰოდა, ღღეს ალარ იომებს, ესეც მაგათი ჭკუა. ამის შემდეგ ბერძნები მთლად შეიშალნენ და მთელი მათი თადარიგიც წყალში ჩაიყარა. ჩუმად! აგერ სახელო მოდის, იმას კი მეორეც მოჰყვება.

(შემოდის დიომედე, ტროილოსი მოსდევს.)

ტროილოსი

ნუ გამირბიხარ, მდინარე სტიქსს რომ გასცდე თუნდაც, თან გადმოგყვები.

დიომედე

ცილს ნუ მწამებ, — კი არ გავრბივარ,
მე უკან ვიხევ მხოლოდ. მინდა რომ გამოვეყო
სხვებს და ვიბრძოლოთ უკეთესად. აჰა, მიიღე!

თერსიტე

აბა ჩააფრინდი შენს კახპას, ბერძენო, ახლა შენი კახპისა იყოს ტროელო! აბა სახელო, მიდი სახელო!

(ტროილოსი და დიომედე გადიან ბრძოლით. შემოდის ჰექტორი.)

ჰექტორი

ვინ ხარ, ბერძენო? შენ ჰექტორის ხომ არ ხარ სწორი, ან წარჩინებით ანდა სისხლით?

თერსიტე

არა, არა, ერთი ნაძირალა ვარ, საზიზღარი ბილწსიტყვა ვიგინდარა, ბინძური თაღლითი.

ჰექტორი

მე მჯერა შენი. მაშ იცოცხლე.

(გადის.)

თერსიტე

მადლობა ღმერთს, რომ დამიჯერე, მაგრამ ნეტა კისერი მოიტეხო, იმიტომ რომ — შემაშინე. აბა ერთი იმ ნაძირალებს რა დაემართათ? ერთმანეთი თუ გადაყლაპეს? კარგად კი ვიცინებ ამ სანახაობაზე. ისე კი გარყვნილება თავის თავსა ჭამს. წავიდე, ვნახო.

(გადის.)

სურათი მეხუთე

ბრძოლის ველის სხვა მხარე.

შემოდის დიომედე მსახურით.

დიომედე
წადი მსახურო, ბედაური ტროილოსისა
მიჰგვარე ჩემგან ჩემს ქალბატონს, კრესიდას მალე,
და მის წინაშე ჩემს სამსახურს ხოტბა შეასხი:
უთხარ, — დასაჯა ტროილოსი და მოიპოვა
შენი რაინდის სახელი-თქო.

მსახური

წავალ ბატონო.

(გადის. შემოდის აგამემნონი.)

აგამემნონი

ყველამ ისმინეთ, ყველამ-მეთქი სასტიკ პოლიდამს
თურმე მენონი დაუცია; და იმ ნაბიჭვარ
მარგარელონს კი შეუპყრია თვით დორეოსი —
დამდგარა ახლა ფეხგაშლილი — თავის კეტს იქნევს
მიწას გართხმული ეპისტროფეს და სიდიოსის
ცხედრების თავზე. პოლიქსენე მოგვიკლეს ჩვენი.
დაჭრილი არის სასიკვდილოდ ამფიმაქოსი,
მასთან თოასიც. პატროკლე კი უთუოდ მოკლეს,
ან ტყვედ ჩაიგდეს. პალამედე დაასახიჩრეს
ისე, ვერც იცნობ. მშვილდოსანი ჩვენ რისხვასავით
გვეცემა თავზე. დიომედევ, უნდა ვიჩქაროთ,
რომ შევეშველოთ ჩვენებს, თორემ, სულ ამოვწყდებით.

(შემოდის ნესტორი.)

ნესტორი

პატროკლეს გვამი მიუტანეთ აქილევსს ახლავ.
ის კუს ნაბიჭა აიაქსი კი შეარცხვინეთ.
დაჭრის ათასი, ბრძოლის ველზე თურმე ჰექტორი.
ამხედრებული თვის გალათზე აგერ იქ იბრძვის,
მორჩება საქმეს, უმალ ჩნდება სხვაგან ქვეითად.
მისგან კვდებიან, ანდა მის წინ ისე გარბიან,
როგორც თეზები ვეშაპის წინ. სადაც გაჩნდება,
ბერძნები მყისვე ფურფუტ ჩალას დამსგავსებულნი
იმისი ხმალით მოთიბული ეფინებიან.
ყოვლგნით და ყველგან, აქაც, იქაც, კლავს თუ დაინდობს,
უმალ განზრახვას უმორჩილებს სიმარჯვეს თვისას;
რასაც ისურვებს, მასვე სჩადის, და საქმე მისი
გაუტოლდება ძლიერ ხშირად — შეუძლებელსაც.

(შემოდის ულისე.)

ულისე
გამაგრდით ყველა. ბატონებო, თვით აქილევსი
იარაღს ისხამს. ემზადება, ტირის, ფიცსა სდებს
შურისძიების. გაულეიძა მას დღეს სისხლი
პატროკლეს მოკვლამ, მირმიდონელთ ბედი იხილა,
უცხვიროდ დარჩნენ, უხელოდ და მთლად აჩეხილნი
ჰექტორის მიერ. აიაქსი, მეგობარი რომ
დაკარგა თვისი, სულ ცოფებს ყრის, შეიარაღდა,
ასე დაეძებს ის ტროილოსს, ვინც დღეს ნამდვილად
გასაოცარი ჩაიდინა ვაჟკაცობანი;
ქარცეცხლიანი ბრძოლის ველზე იგი ვიდოდა
უზრუნველ ძალით და უძალო მზრუნველობითა,
და თითქოს ბედიც, სულ ყოველთვის ასე მუხთალი
მის მხარეს იყო.

(შემოდის აიაქსი.)

აიაქსი
სად ხარ ტროილოს, შე მშიშარავ?

დიომედე
აგერ იქ არის.

ნესტორი
აბა, მაშ ერთად თავს მოვიყრით.

(შემოდის აქილევსი.)

აქილევსი
მე ჰექტორს ვეძებ!
გამო, მაჩვენე შენი სახე სუსტთა მჩაგვრელო;
გამოდი, ნახე აქილევსი განრისხებული,
ჰექტორ, სადა ხარ? არვინ მინდა, ჰექტორის გარდა.

(გადიან.)

სურათი მეექვსე

ბრძოლის ველის სხვა ადგილი

შემოდის აიაქსი.

აიაქსი
ჰეი, ტროილოს, შე მშიშარავ! გამოყავ თავი!

(შემოდის დიომედე.)

დიომედე
სად ხარ ტროილოს, სადა მეთქი?

აიაქსი
შენ რაღა გინდა?

დიომედე
გამოვასწორო ტროილოსი!

აიაქსი

მთავარსარდლობას დაგითმობდი მე რომ მქონოდა
მაგას კი ვერა. ჰეი სად ხარ, ტროილოს, სად ხარ?

(შემოდის ტროილოსი.)

ტროილოსი

ჰე, მუხანათო დიომედევ, მიცქირე ყალბო;
გადაიხადე ცხენის ვალი შენი სიცოცხლით.

დიომედე

აჰა, აქა ხარ?

აიაქსი

განზე გადექი დიომედევ, მე შევებმები.

დიომედე

მე უნდა მერგოს, სხვანაირად ეგ არ იქნება.

ტროილოსი

მოდით ბერძნებო, თაღლითებო, ორთავე მოდით.

(გადიან ბრძოლით. შემოდის ჰექტორი.)

ჰექტორი

ჰეი, ტროილოს! კარგად იბრძვი ჩემო ძამიკო!

(შემოდის აქილევსი.)

აქილევსი

ძლივს არა გნახე! მაშ გამაგრდი, ახლავე, ჰექტორ!

ჰექტორი

შეისვენებდი ეგებ ცოტას.

აქილევსი

მაგ შენს ზრდილობას არად ვაგდებ, ამაყო ჰექტორ
იხარე, რადგან ამ ჩემს ხელებს არ უბრძოლიათ
კარგა ხანია. ახლა მათი მოუქნელობა
შენს მხარეზეა. მაგრამ მალე კვლავ შევიყრებით
შენს ბედს ეწიე ჯერჯერობით.

(გადის.)

ჰექტორი

მშვიდობით იყავ.
არ დავიღლიდი თავს ამგვარად, მე რომ მცოდნოდა.
შენ შეგხვდებოდი. ჩემო ძმაო, რა ამბავია?

(ბრუნდება ტროილოსი.)

ტროილოსი

თურმე აიაქსს შეუპყრია თვით ენეასი,
სად გაგონილა? მაღალ ზეცის კაშკაშა ვფიცავ,
თან ვერ წაიყვანს; შევებმები ან მეც შემიპყროს
ან მას დავიხსნი. არ ჩავაგდებ არაფრად ჩემს სვეს,
გამოვესალმო წუთისოფელს თუ გინდა დღესვე.

(გადის. შემოდის ბრჭყვიალა აბჯარასხმული მებრძოლი.)

ჰექტორი

შესდექ, ბერძენო! მშვენიერი შენ ხარ ნიშანი,
არა? რად არა? ძალზე მომწონს შენი აბჯარი,
სულ მთლად დავამსხვრევ და გადავხსნი მის ყველა
მოქლონს,
მას კი ხელთ ვიპყრობ. გადამალე ეგ შენი თავი
იჩქარე მხეცო, მონადირემ გაგაძვრე ტყავი.

(გადიან.)

სურათი მეშვიდე

ბრძოლის ველის სხვა მხარე

შემოდიან აქილევსი და მირმიდონელები.

აქილევსი

მომიახლოვდით, მოდით ჩემთან მირმიდონელნო,
დაიმახსოვრეთ რასაც გეტყვით, მომყევით ყველგან,
არ მოიქნიოთ არსად ხმალი, თავს გაუფრთხილდით,
როცა მოვებნი თქვენთან ერთად სისხლიან ჰექტორს,
მაშინ ჩაეცით მახვილები ყოველი მხრიდან
და სისასტიკით თქვენს მსხვერპლს სული გააცხებინეთ.
სადაც თვალს ვაწვდენ იქ მომყევით, იქითკენ მიდით,
ასე გადაწყდა, დღეს ჰექტორი მოკვდება დიდი.

(გადიან.)

(შემოდიან მენელაოსი და პარისი ბრძოლით.
მათ თერსიტე მოჰყვებათ.)

თერსიტე

რქიანი და რქის დამდგმელი შეიბნენ. აბა ხარო, აბა ძაღლო! დასცხე პარის, დასცხე ნაქმარევის ბეღურავ! დასცხე პარის, დასცხე, თორემ ხარი რქებზე წამოგაგებს. აბა! (პარისი და მენელაოსი გადიან. შემოდის მარგარელონი).

მარგარელონი

მობრუნდი მონავ, შემებრძოლე!

თერსიტე

შენ ვინღა ხარ?

მარგარელონი

შვილი გახლავარ უკანონო მე პრიამესი.

თერსიტე

მეც ნაბიჭვარი ვარ. მიყვარს ნაბიჭვრები. მე ნაბიჭვრულად დავიბადე, ნაბიჭვრულად აღვიზარდე, ნაბიჭვრულად ვაზროვნებ, ნაბიჭვრულად ვმამაცობ — ყოველგვარ უკანონობაში. ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს და ნაბიჭვრებმა რაღა დააშავეს. აბა დაუკვირდი — წაჩხუბება ჩვენთვის სახიფათოა. თუ კახპისშვილი კახპისთვის იბრძვის, იგი ცეცხლს ეთამაშება. მშვიდობით ნაბიჭვარო.

(გადის.)

მარგარელონი

მხდალო, ეშმაკსაც წაუღიხარ! (გადის.)

სურათი მერვე

ბრძოლის ველის სხვა მხარე

შემოდის ჰექტორი.

ჰექტორი

დამპალი იყო იგი შიგნით; კარგი აბჯარი
ესხა გარედან და სიცოცხლეც შესწირა მასვე.
მაშ ესეც ასე. სულის მოთქმა მჭირდება აქ მე,
შენც ჩემო ხმალო, სისხლიანი ბევრი ჰქმენ საქმე.

(ჩაჩქანს მოიხდის და ფარსაც უკან ჩამოჰკიდებს. შემოდიან აქილევსი და მირმიდონელნი.)

აქილევსი

შეხედე ჰექტორ, როგორ იწყებს მზე ჩასვლას უკვე,
ღამე საზიზღრად უკან მისდევს, სუნთქვას არ აცლის.
მიმწუხრის ჟამზე დაბნელდა და მზე ასე გვტოვებს.
დღის დასავალზე შენც სიცოცხლეს გამოეთხოვე.

ჰექტორი

ბერძენო, ბრძოლას ნუ იკადრებ, ვარ უჭურველი.

აქილევსი

დაჰკათ ბიჭებო! მისი სისხლის ვარ მე მსურველი.

(ჰექტორი ეცემა.)

ასე დაეცეს ილიონი, დაეცეს ტროა
გული, ძარღვები, ძვალი აქ ძევს და მისიც დროა.
მირმიდონელნო, მაშ დაეცით ყიჟინა მძლავრი —
„ამოიყარა აქილევსმა ჰექტორის ჯავრი“.

(საყვირები უკანდახევის ნიშანს იძლევიან.)

რაო! ბერძნები მოითხოვენ უკან დახევას!

მირმიდონელნი

დიახ, ტროელთა საყვირებიც ასევე ყვირენ.

აქილევსი

მიწას აფარებს გველეშაპი ღამის ფრთას უკვე
და აცალკევებს ჯარებს ბრძოლის გამრიგესავით.
ხმალმა წყურვილი მოიკლა და დანაყრდა თითქოს
ამ გემრიელი სატყუარით. ისიც ძილს ითხოვს.

(ხმალს ქარქაშში აგებს.)

მოდით, ტროელი ჩემი ცხენის კუდს გამოვაბათ!
უნდა ვათრიო ბრძოლის ველზე, მე იგი სწრაფად.

(გადიან.)

სურათი მეცხრე

ბრძოლის ველის სხვა მხარე

შემოდიან აგამემნონი, აიაქსი, მენელაოსი, ნესტორი, დიომედე და სხვები ზარ-ზეიმით. შეძახილები ისმის.

აგამემნონი

ყური დავუგდოთ რას ყვირიან?

ნესტორი

გაჩუმდეს ღოლი!

გარედან

ჰე, აქილევსმა, აქილევსმა, ჰექტორი მოკლა!

დიომედე

გაიძახიან: აქილევსმა ჰექტორი მოკლა!

აიაქსი

სულაც არ არის სატრაბახო თუ მოხდა ასე,
ჰექტორი იყო კაცი — მისებრ ღირსებით სავსე.

აგამემნონი

ახლა კი დროა, ბრძოლის ველი მშვიდად დავტოვოთ.
ჩემთან კარავში რომ მობრძანდეს აქილევსს სთხოვოთ.
ჰექტორი მოკვდა! სჩანს რომ ღმერთებს აქვთ ჩვენი მხარე,
მაშ ტროასაც ვძლევთ და ომებიც შეწყდება ცხარე.

(გადიან დაწყობილები.)

სურათი მეათე

ბრძოლის ველის სხვა მხარე

შემოდიან ენეასი და ტროელები.

ენეასი

ჰეი, შესდექით. ბრძოლის ველი მაინც ჩვენ დაგვრჩა.
ფეხს არ მოვიცვლით. უნდა ვიყოთ აქ მთელი ღამე.

(შემოდის ტროილოსი.)

ტროილოსი

ჰექტორი მოკლეს!

ყველა

ჰექტორ! ღმერთებს დავუწყეველივართ!

ტროილოსი

მოკლულის არი... თვის ცხენის კუდს მკვლელმა
მხეცურად
გამოაბა და სამარცხვინოდ ათრია ველზე.
წარბი შეკარი, დიდო ზეცავ, განრისხდი უმალ,
ისხედით ტახტზე თქვენ ღმერთებო, — დასცინეთ ტროას.
შეგთხოვთ, თავს რისხვა დაგვატეხოთ, — ვითარც
წყალობა —
გარდაუვალი დამარცხება მალე დაგვიდგეს.

ენეასი

ჩემო ბატონო, შენი სიტყვა აღელვებს მთელ ჯარს.

ტროილოსი

არ გესმის ჩემი, რაკი ასე შემესიტყვები
მე არ მაშინებს, არც სიკვდილი, არც უკუქცევა,
მაგრამ თავზარს მცემს ღმერთების და ადამიანთა
რისხვა რომ გველის უმოწყალო. ჰექტორი მოკვდა,
ნეტა პრიამეს ან ჰეკუბას ვინ ეტყვის ამას?
ვინ დაიჩხავლებს ყარყუმივით რომ ყველას ამცნოს
როდესაც შევა ის ტროაში: „ჰექტორი მოკვდა“.
მხოლოდ ეს სიტყვა გააქვავებს პრიამეს უმალ.
და ნიობეად გადააქცევს ქალწულთ თუ ქალებს —
ცივ ქანდაკებად სიჭაბუკის. ეს ერთი სიტყვა
ტროას მაშინვე შეაძრწუნებს. მაგრამ წავიდეთ!
ჰექტორი მოკვდა. რაღას ვიტყვით ჩვენ მეტს, — ავბედითს.
თუმცა შესდექით. საზიზღარო, ბილწო კარვებო,
ასე ამაყად, რომ დამდგარხართ ფრიგიულ ველზე.
როგორც კი მაღლა წამოდგება ცაზე ტიტანი
თავს დაგატყდებით და გაგთელავთ. შენ კი ლაჩარო,
ქვეყნად ვერარა ჩვენს სიძულვილს ვეღარ გათიშავს;
შენთან ვიქნები, როგორც შფოთვა ცოდვილ სინდისის
სიგიჟესავით ბოროტ სულებს რომ გამოიხმობს,
შურისძიების ჩვენ იმედით, — გავსწიოთ ტროას —
ჯავრი მივჩქმალოთ, ამ იმედით, წავიდეთ დროა.

(გადიან ენეასი და ტროელთა ჯარი. სანამ ტროილოსი გადის, მეორე მხრიდან შემოდის პანდაროსი.)

პანდაროსი

ჰეი, გესმის? შენ გეუბნები! გესმის?

ტროილოსი

შორს უსინდისო ვაჭრუკანავ, დასაზრახველი,
ფლიდი და ბილწი სამუდამოდ გერქვას სახელი.

(გადის.)

პანდაროსი

კარგი წამალია ჩემი მტკივანი ძვლებისათვის! ვაჰ სოფელო, სოფელო. აი, როგორ ეჯავრებათ ყველა შუამავალი. მოღალატეებო და მაჭანკლებო, როგორი მოწადინებით დაგსაქმებენ და როგორ ცუდად დაგასაჩუქრებენ ხოლმე! რად უყვართ ასე ჩვენი მოწადინება და რად სძულთ ასე მიღწეული შედეგი? რა ლექსი გამოვთქვა? ნეტა რომელი? აბა ვნახო...
მიიმღერის ბზიკი ლაღად, ისე მხიარულად
დაჰკარგავდეს სანამ ნესტარს და მთელ თაფლსაც
სრულად!
როს დათრგუნავს მას უხეში, რამე ძალის ნება
ტკბილი თაფლიც და ის ტკბილი ჰანგიც უმალ ქრება.
ცოცხალი ხორცით მოვაჭრენო ეს მცნება შუბლზე მიიკარით.
მაჭანკლებს ვეჭვრეტ ამ დარბაზში. აქ არიან ბლომად.
სულ ყველანი გადიქეცით პანდაროსის გლოვად.
ცრემლი არ გაქვთ? მაშინ აბა ოხვრად გადიქეცით
მე კი ნუ მცემთ ამით პატივს, თქვენს მტკივან ძვლებს
ეცით.
მე მიგიჩნევთ ამ საქმეში ზიარ ძმებად, დებად
და ანდერძი ამ ორ თვეში ჩემი გელოდებათ.
გინდათ, ახლაც მოგახსენებთ, მაგრამა მკლავს შიში
ვინჩესტერის ვინმე ბღენძი რომ ბურთს ჩამჩრის პირში.
მანამდე კი ოფლს ვღვრი იოლ გზების საძებნელად.
მაშ წავედი, თქვენ კი ჩემს სენს დაგიტოვებთ ყველას.